საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი

არქეოლოგია

№4

THE SCIENTIFIC JOURNAL OF THE UNIVERSITY OF GEORGIA

ARCHAEOLOGY

რუსუდანის ვერცხლის მონეტები სამშვილდედან

კოლხური ბრინჯაო სიცილიაზე





საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი 2020

საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო
ჟურნალი

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

IV

A R C H A E O L O G Y

The Scientific Journal of the University of Georgia

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

The University of Georgia Publishing House

თბილისი / Tbilisi

2020

საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი
International Archaeological Center of the University of Georgia
www. archaeology.ge

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2020
თბილისი, საქართველო

Printed at The University of Georgia
Tbilisi, Georgia

საავტორო უფლებები © 2020 ეკუთვნის საქართველოს უნივერსიტეტს. ყველა სახის ციფრული ან ბეჭდური სახით გავრცელება წინამდებარე ჟურნალში არსებული სტატიებისა და ფოტო-ვიზუალური მასალისა კომერციული მოგების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია.

Copyright © 2020 All right reserved by the University of Georgia. Permission to make digital or hard copies of part or all of this work for personal or classroom use is granted without fee provided that copies are not made or distributed for profit or commercial adventage.

ჟურნალში წარმოდგენილი სამეცნიერო აზრები და შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა პასუხს არ აგებს სტატიების სამეცნიერო შინაარსზე.

No responsibility for the views expressed by authors in the "Archaeology" scientific journal of the University of Georgia is assumed by the editors or the publisher.

„არქეოლოგია" საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი,
საქართველოს უნივერსიტეტი.
საქართველო, თბილისი. 0175
მ. კოსტავას 77ა, კორპუსი IV
ტელ: (+995 99) 319915

"Archaeology" Scientific journal
of the University of Georgia,
The University of Georgia.
Georgia. Tbilisi. 0175
M. Kostava Street 77, Building IV
Tel: (+995 99) 319915

Email: ug@ug.edu.ge

ISSN 2449-2922

საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „არქეოლოგია“
“Archaeology“ the scientific journal of the University of Georgia

სამეცნიერო რედაქტორი Scientific Editor	დავით ბერიკაშვილი David Berikashvili
ტექნიკური რედაქტორი Managing Editor	ნინო სუარიძე Nino Suaridze
ყდის დიზაინერი Designer	მარი ვერულაშვილი Mari Verulashvili
რედაქტორი Editor	მარინა ჟღენტი Marina Zhgenti

სარედაქციო საბჭო
Editorial Board

დავით ლომიტაშვილი David Lomitashvili	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
გურამ გრიგოლია Guram Grigolia	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
დარეჯან კაჭარავა Daredjan Kacharava	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
იულონ გაგოშიძე Julon Gagoshidze	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
ვახტანგ ლიჩელი Vakhtang Licheli	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Iv. Javakhishvili Tbilisi State University
მინდია ჯალაბაძე Mindia Jalabadze	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum
ლევან ჭაბაშვილი Levan Tchabashvili	საქართველოს უნივერსიტეტი The University of Georgia
ნიკოლოზ მურღულია Nikoloz Murgulia	საქართველოს ეროვნული მუზეუმი Georgian National Museum

ყდაზე:
1. ბრინჯაოს სიტულა დასავლეთ საქართველოდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდი (ფოტოს ავტორი გ. ვაჩაძე).
2. სამშვილდეში აღმოჩენილი დედოფალი რუსუდანის ვერცხლის მონეტები. საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმი (ფოტოს ავტორი დ. ბერიკაშვილი).

სარჩევი
Contents

ლევან ჭაბაშვილი
Levan Tchabashvili
ფენომენების სისტემატიზირება პრეისტორიულ არქეოლოგიაში – კლასიფიკაცია, ტიპოლოგია.....8
Systematization of phenomena in prehistoric archaeology – classification, typology.....14
გვანცა ვაჩაძე
Gvantsa Vachadze
კოლხური ბრინჯაო კუნძულ სიცილიაზე (ინტერკულტურული ურთიერთობებისათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის საწყის ეტაპზე).....15
Colckian bronze on the island of Sicily (For Intercultural Relations during the early Stage of Greek Colonization of the Eastern Black Sea Coast).....23
გიორგი მწყერაძე
Giorgi Mtskeradze
ფოხორაულების ნამოსახლარი (ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა).....24
Habitation site of Fokhorauls (Historical-archaeological review).....31
შოთა თვალაძე
Shota Tvaladze
ლითონის ისრისპირები სამშვილდედან.....32
Metal Arrowheads from Samshilde.....40
დავით დარეჯანაშვილი *ნინო პატარიძე* *მათე ახალაია*
Davit Darejanashvili *Nino Pataridze* *Mate Akhalaia*
ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2019 წელს ჩატარებული გათხრების შედეგები.....42
The 2019 excavation report carried out by Paravani Archaeological Expedition.....74
ნინო თავართქილაძე
Nino Tavartkiladze
ხელოვნურად დეფორმირებული პრაქტიკის მატარებელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხის შესწავლისათვის (ადრეული შუასაუკუნეების სამთავროს სამაროვნის მაგალითზე).....78
To study the issue of ethnic identity of the population with artificially deformed practices (Based on the example of the Early Middle Age Samtavro population).....93
ლევან კვახაძე
Levan Kvakhadze
სამშვილდის ახლად გამოვლენილი ქვის ინდუსტრია.....95
Newly discovered stone industry of Samshvilde.....113
დავით ბერიკაშვილი
David Berikashvili
რუსუდანის ვერცხლის მონეტები სამშვილდედან (2019 წლის აღმოჩენა).....120
Silver Coins of Queen Rusudan from Samshvilde (Discovery of 2019).....142

დავით ბერიკაშვილი *თეა თორდია*
David Berikashvili *Tea Tordia*
სამშვილდის კერამიკული მონაპოვარის კონსერვაცია-რესტავრაცია (2016-2019 წლე-
ბის მასალა).....148
ინტერვიუ არქეოლოგ ჯუმბერ კოპალიანთან 168

საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალ „არქეოლოგიის“ მეოთხე ტომში ქვეყნდება 2019 წელს უნივერსიტეტში ახალგაზრდა არქეოლოგთა IV კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებათა შინაარსები. სტატიები მრავალფეროვანია და ისინი დიდ ქრონოლოგიურ დიაპაზონს მოიცავს.

ჟურნალში ასევე წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების აკადემიური პერსონალის და ქვეყნის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლების სტატიები. წარმოდგენილია როგორც თეორიული ნაშრომები ასევე სხვადასხვა სახის კვლევების შედეგები.

ჟურნალის ამ ნომერში ადგილი ეთმობა საქართველოს უნივერსიტეტში ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქეოლოგიის მიმართულებაზე, 2020 წლის გაზაფხულზე დაცული რამდენიმე საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი შედეგების პუბლიკაციას.

ჟურნალში ტრადიციულად ადგილი ეთმობა რუბრიკებს – „პროექტი“ და „ინტერვიუ“.

რუბრიკა „პროექტში“ წარმოდგენილია საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული კერამიკული ნაწარმის კონსერვაცია-რესტავრაცია. კონსერვაცია-რესტავრაცია სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

რუბრიკა „ინტერვიუ“ ჟურნალის სტუდენტურ ნაწილს წარმოადგენს, სადაც რესპოდენტი სტუდენტების მიერ შერჩეული ცნობილი ქართველი არქეოლოგი ბატონი ჯუმბერ კოპალიანია.

ჟურნალის წინამდებარე გამოცემა მოცულობით უფრო ვრცელია ვიდრე წინა ნომრები. რედაქტორების მხრიდან განხორციელდა მცდელობა დასაბეჭდად მისაღები სტატიებისთვის სტანდარტები უფრო მეტად დახვეწილიყო. აქცენტი კეთდება ასევე ინგლისურ ენაზე შესრულებული რეზიუმეს მოცულობის გაზრდაზე. ჟურნალის მომდევნო ნომრებში ამ მხრივ ძალისხმევა უფრო ინტენსიური გახდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად ჟურნალ „არქეოლოგიის“ მეოთხე ნომერი ხარვეზებისგან მაინც არ არის დაზღვეული. ამასთან დაკავშირებით ყველა რჩევა და რეკომენდაცია მისაღები იქნება.

დ. ბერიკაშვილი, ლ. ჭაბაშვილი

ფენომენების სისტემატიზირება პრეისტორიულ არქეოლოგიაში – კლასიფიკაცია, ტიპოლოგია

ჭაბაშვილი ლევან,
საქართველოს უნივერსიტეტი
tchabashvili@yahoo.com

შესავალი

პრეისტორიული არქეოლოგია, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგები, მიმართავს იმ ფენომენების სისტემატიზირებას რომელთანაც მას შეხება აქვს. არქეოლოგიური ძეგლებისა და არქეოლოგიური მონაპოვრების სისტემატიზირება აუცილებელი პირობაა მათი მეცნიერული შესწავლისათვის. წინამდებარე სტატიის მიზანია განვიხილოთ პრეისტორიულ არქეოლოგიაში გამოყენებული არქეოლოგიური ძეგლებისა და არქეოლოგიური მონაპოვრების სისტემატიზირების ძირითადი პრინციპები და მის საფუძველზე იქნეს განხილული საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიაში ამ მეთოდის გამოყენების მაგალითები.

ტერმინების განმარტება


პრაქტიკაში ზოგჯერ ხდება ტერმინების „კლასიფიკაცია“ და „ტიპოლოგია“ ერთმანეთში აღრევა, თუმცა, ისინი ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს. ტიპოლოგია ელემენტების მასაში ტიპებს აფიქსირებს. ესენია აგებულების პრინციპები, მათი გაერთიანებები, რომლებიც ზოგიერთ ტიპში კარგად არის წარმოდგენილი, ხოლო სხვა ტიპში არცთუ ისე კარგად. ამრიგად არსებობს ელემენტები, რომლებიც ერთზე მეტ ტიპს შეიძლება მიეკუთვნებოდეს. ასევე არსებობს ელემენტები, რომელსაც ტიპოლოგია ვერ მოიცავს მაგ. h და j (ტაბ. 1).

კლასიფიკაცია კი დაფუძნებულია კრიტერიუმების გარკვეულ რაოდენობაზე, რომლებიც შესასწავლ ელემენტებს ან შეესაბამება, ან არ შეესაბამება. აქედან გამომდინარე ის მოიცავს შესასწავლი მასალის სრულ რაოდენობას და დააჯგუფებს მას გარკვეული კლასების მიხედვით. ამასთან ერთად არც ერთ ელემენტს არ აქვს რაიმე განსაკუთრებული სტატუსი [https://www.christianlehmann.eu/ling/typ/typ_vs_klasse.php] (ტაბ. 1).

კლასიფიკაციის მიზანი

კლასიფიკაცია პრეისტორიულ არქეოლოგიაში ნიშნავს იმას, რომ შესასწავლი მასალის დამუშავებისას რაიმე არასტრუქტურირებული გახდება სტრუქტურირებული. მხოლოდ კლასიფიკაციის გზით მოიპოვებს არქეოლოგია ადეკვატურ სურათს შესასწავლი მასალის სახესხვაობების შესახებ. ეს თანაბრად ეხება როგორც არქეოლოგიურ მონაპოვრებს, ასევე არქეოლოგიურ ძეგლებსა თუ ისეთ აბსტრაქტულ ფენომენებს როგორიცაა დაკრძალვის წესი და ნამოსახლარის სტრუქტურა. კლასიფიკაციის პრინციპის მნიშვნელოვანი მიზანია ფენომენები ისე იქნეს დაჯგუფებული, რომ ინდივიდების თანხვედრები ერთ კონკრეტულ კლასში უფრო დიდი იყოს, ვიდრე ინდივიდების თანხვედრები სხვადასხვა კლასებში. მიზანი მიიღწევა თუკი

კლასიფიცირების ფენომენებს შორის კავშირები იმგვარად განისაზღვრება, რომ ნაცვლად ცალკეული ფენომენის (მაგალითად განსაზღვრული არქეოლოგიური მონაპოვარი) განხილვისა – წინა პლანზე უფრო მეტად გამოვა ფენომენების კლასები. „კლასები“ წარმოადგენს ყველა შემდგომი არქეოლოგიური კვლევის საფუძველს. [Eggert. 2012. 122].




ტაბ. 1. Tab.

კლასიფიკაციის სახეები

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ „აღმავალ“ და „დაღმავალ“ კლასიფიკაციებს. რ. ფოსენს (R. Vossen) „აღმავალი“ კლასფიკაციის მაგალითად მოჰყავს შემდეგი შემთხვევა როდესაც ეთნოლოგი მოხვდება რომელიმე სოფელში, სადაც მას უამრავ თიხის ჭურჭელთან აქვს შეხება და ის შეეცდება მათ სისტემატიზირებას მათი გამოყენების მიზნის მიხედვით (ტაბ. 2). ეთნოლოგს გამოკითხვის და საკუთარი დაკვირვების საფუძველზე პირველ საფეხურზე მთელ ამ თიხის ჭურჭელს ჰყოფს სარიტუალო, მარაგის შესანახ და საჭმლის მოსამზადებელ ჭურჭლად. ამის შემდეგ ის ამ ჯგუფებს კიდევ ანაწილებს. საჭმლის მოსამზადებელ ჭურჭელს თავის მხრივ სამ ჯგუფად ჰყოფს. კერძოდ მყარი სახის საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭელი, თხევადი საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭელი და ჭურჭელი რომლის გამოყენებითაც ხდება საჭმლის შეწვა. ამ დანაწილების ბოლო საფეხური ფოსენის მიხედვით არის თხევადი საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭლის დანაწილება სუპის ჭურჭლად, ალკოჰოლური სასმელის ჭურჭლად, ნარკოტიკული საშუალების ჭურჭლად და შხამისთვის გამოსაყენებელ ჭურჭლად. სრულიად ცხადია, რომ აქ ფუნქციის მიხედვითაა განხორციელებული კლასიფიკაცია. მსგავსი კლასიფიკაცია შესაძლებელია რომ განხორციელდეს ასევე სხვა კრიტერიუმების მიხედვითაც. როგორიცაა მაგალითად ფორმა, დამზადების ტექნიკა, შემკულობის სახეობა ან შემკულობის ტექნიკა ან ამ კრიტერიუმების გარკვეული კომბინაციები.

რ. ფოსენმა „დაღმავალი“ კლასიფიკაცის საილუსტრაციოდ სხვა მაგალითი აირჩია. მან წარმოადგინა არქეოლოგის მაგალითი რომელიც რომელიმე კოლექციაში შემავალი მეტნაკლებად ფრაგმენტულად შემორჩენილი თიხის ჭურჭლის კლასფიკა-




ტაბ. 2. Tab.

ციას მიმართავს (ტაბ. 3). მას შემდეგ რაც არქეოლოგი მისი მასალისთვის 16 მისი აზრით მნიშვნელოვან თვისებას განსაზღვრავს – თიხის თვისება (ნიშანი 1), გამჭლევება (ნიშანი 2), დამზადების ტექნიკა (ნიშანი 3 და 4), ზედაპირის თავისებურებები (ნიშანი 5 და 6), ჭურჭლის ფორმა (ნიშნები 7, 8, 9), შემკობის ტექნიკა (ნიშნები 10, 11, 12), შემკობის სტილი (ნიშნები 13, 14, 15, 16) – მიმართავს იმ კერამიკის ფრაგმენტების შესწავლას რომელთაც განსაზღვრული ელემენტების კომბინაციები (ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ხუთი ერთეული) ახასიათებს და მათ ოთხ ტიპად გააერთიანებს (ტიპები A, B, C და D). მას აქ ტიპის პირველი კატეგორია ეწოდება. ტიპები A და B ერთის მხრივ, C და D მეორეს მხრივ, შესაბამისად სამი საერთო ნიშნის საფუძველზე მეორე კატეგორიის (X და Y) ორ ტიპად დაჯგუფდებიან. მათ საბოლოოდ თიხის და გამჭლევების ორი ნიშნის მიხედვით, რომლებიც აქამდე ტიპებად განაწილებაში არ იყვნენ გათვალისწინებული და აქედან გამომდინარე შესაბამისი კლასიფიკაციისთვის არ იყვნენ ბევრი ინფორმაციის მომცემი, გაერთიანებული იქნებიან როგორც ე.წ. ტიპის მესამე კატეგორია [Eggert. 2012. 123–126].

„ნიშანი“ როგორც არქეოლოგიური კონცეფცია

ყველა კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი წინაპირობა არის იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც განსახილველი ფენომენები კლასიფიცირდება. „კლასიფიკაციის კრიტერიუმებს“ უწოდებენ ამ ფენომენების დამახასიათებელ ელემენტებს – ნიშნებს, რომლებიც გამოიყენება როგორც შედარების ერთეულები და მათი საშუალებით ხდება ფენომენების დიფერენცირება ან ერთად დაჯგუფება. არქეოლოგიური მონაპოვარი მასალა – და ასევე არქეოლოგიური ძეგლები წარმოადგენს კომპლექსურ ქმნილებებს, რომლებზეც შესაძლებელია ბევრი სხვადასხვა დამახასიათებელი თავისებურებები დაფიქსირდეს.

დიაგნოსტიკური ნიშნების დადგენა ამავდროულად იწვევს იმ ნიშნების განსაზღვრასაც, რომლებიც არ განიხილება როგორც დიაგნოსტიკური ნიშნები. არადიაგნოსტიკური ნიშნები კონკრეტული მასალის სისტემატიზირებისთვის არ არის მნიშვნელოვანი. ცალკეული ნიშნები, რომლებიც რომელიმე კლასიფიკატორული ერთეულების დეფინიციისთვის უმნიშვნელოა და არადიაგნოსტიკური, სხვა შემთხვევაში შეიძლება გამოდგეს როგორ დიაგნოსტიკური ნიშანი [Eggert. 2012. 128–133].



ტაბ. 3. Tab.

„ტიპი“ როგორც არქეოლოგიური კონცეფცია

მეორე ცენტრალური კლასფიკაციის კონცეფციაა – „ტიპი“. ის XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პრეისტორიული არქეოლოგიის თეორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თუმცა, ამ პერიოდიდან დღემდე გერმანულენოვან არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კონცეფციის შესახებ, რომელსაც როგორც წესი „ტიპოლოგიურ მეთოდს“ ან „ტიპოლოგიას“ უწოდებენ, ძალიან ცოტა სისტემატური ხასიათის გამოკვლევებია გამოქვეყნებული. ბევრ სხვადასხვა არქეოლოგიის სახელმძღვანელოში ეს ცნება ხშირად გვხვდება ოღონდ ისე რომ იგი არ არის საფუძვლიანად განმარტებული.

ცნება „ტიპი“ შეიძლება განმარტებული იქნეს როგორც ნიშნების კომბინაცია, რომელიც სპეციფიური გამოვლინებების ჯგუფს ახასიათებს. ასე მაგალითად, ის თიხის ჭურჭლები, რომელთაც განსაზღვრული ნიშნების კომბინაცია ახასიათებთ, ერთიანდებიან „კერამიკის“ თუ „თიხის ჭურჭლის“ ტიპში. თიხის ჭურჭლები, როგორც ასეთი, გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, იდენტურები კი არ არიან, არამედ წარმოადგენენ კონკრეტულ ტიპს. ისინი კი, თავის მხრივ, თიხის ჭურჭლის განსაზღვრულ კლასებად ერთიანდებიან.

აქ წარმოდგენილი „ტიპის“ კონცეფციის დეფინიცია არანაირ კანონზომიერებას არ შეიცავს, თუ, მაგალითად, რამდენი ნიშანია საჭირო და საკმარისია იმისთვის, რომ რომელიმე კონკრეტული ობიექტი მიკუთვნებული იქნეს რომელიმე ტიპზე (გაერთიანდეს რომელიმე ტიპში). მაგრამ იმის გამო, რომ ერთი ტიპისთვის ნიშნების

კომბინაციაა საჭირო, გამოდის, რომ მინიმუმ ორი ნიშანი მაინც არის აუცილებელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიურ პრაქტიკაში ძალიან ხშირად გამოყენებული ტიპის კონცეფცია მხოლოდ ერთადერთ დიაგნოსტიკურ კრიტერიუმს ეყრდნობა.

იერარქიულად ქვემოთ მდგომი სიბრტყის ერთეულებს „ვარიანტი“ ან „ჯგუფი“ ეწოდება.

ტიპის კონცეფციის ამ დეფინიციიდან გამომდინარეობს ერთი მხრივ ის, რომ ტიპები წარმოადგენს შედარებით კლასიფიკატორულ ერთეულებს, რომელთა მახასიათებელი ნიშნები კლასიფიკაციის განმხორციელებლის წინაშე მდგარი პრობლემატიკიდან გამომდინარეობს. მეორე მხრივ კი ცხადი ხდება, რომ ტიპების შემთხვევაში საქმე ეხება აბსტრაქციებს და არა რეალურ ობიექტებს. ამ მიზეზის გამო სასურველი იქნებოდა თუ უფრო დავაზუსტებდით ცნებებს, რომლებიც პრაქტიკაში გამოიყენება.

ზოგადად კი, ზემოთ დასახელებული მეთოდოლოგიური პრინციპები ბოლომდე განსაზღვრული არ არის.

ფაქტია, რომ ისეთი ფუნდამენტური პუბლიკაციების სერიაც კი როგორიცაა მაგალითად Prähostorische Bronzefunde – PBF (პრეისტორიული ხანის ბრინჯაოს არტეფაქტები), რომელიც მიზნად ისახავს ბრინჯაოს არტეფაქტების ფართომასშტაბიან პუბლიკაციას, კრიტიკას იმსახურებს არასრულად განსაზღვრული მეთოდოლოგიური საფუძვლების გამო [Eggert. 2012. 133–139].

მაგალითები ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური თეორიული ხასიათის გამოკვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს არქეოლოგიური ფენომენების სისტემატიზირებას, ამ პროცესისთვის თეორიული საფუძვლების შემუშავებას, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, პრეისტორიულ არქეოლოგიასთან დაკავშირებით, ჩვენთვის არ არის ცნობილი.

თუმცა, უამრავ პუბლიკაციაშია წარმოდგენილი მისი განხორციელების პრაქტიკული მაგალითები. ო. ჯაფარიძე კოლხური ცულების კლასიფიცირებასთან დაკავშირებით გამოიყენებს ტერმინებს „ტიპოლოგიური კლასიფიკაცია“, „ტიპოლოგია“, „კლასიფიკაცია“, „დაჯგუფება“ [ჯაფარიძე. 1950. 39–41]. იმავე კოლხური ცულების შესწავლის ისტორიის გადახედვა გვაჩვენებს თუ რა სირთულის საკითხთან გვაქვს საქმე, რამდენად აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობა და თეორიული საფუძვლების შემუშავება. ო. ჯაფარიძე კოლხურ ცულებს სამ ტიპად ყოფს, აქედან I და II ტიპები კიდევ თითო ქვეტიპს შეიცავს [ჯაფარიძე. 1950. 41–79]. დ. ქორიძემ კოლხური კულტურის ცულების განვითარებაში ორი ქრონოლოგიური ეტაპი გამოყო. თითოეული ეტაპი ცულების რამდენიმე სახეობით და ქვესახეობით არის წარმოდგენილი [ქორიძე. 1968. 15-30]. კოლხური კულტურის ცულები სამ ტიპად აქვს დაყოფილი თ. მიქელაძეს [Микеладзе. 1990. 39-44], ხოლო ლ. სახაროვას – ექვს ტიპად [სახაროვა. 1998. 34–36].

დასკვნა

XXI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, მაშინ, როდესაც არქეოლოგიაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვადასხვა მიღწევები, როდესაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია არქეოლოგიური გათხრები მრავალრიცხოვანი სინჯების გარეშე საბუნებისმეტყველო კვლევებისთვის, როდესაც არქეოლოგიური მონაპოვრების გარკვეული ნაწილი (ძვალი, ნახშირი, კერამიკა) შესაძლებელია, მეტნაკლებად ზუსტად დათარიღდეს, ხოლო მეორე ნაწილის (კერამიკა, ქვა, ლითონი) ზუსტი წარმომავლობა იქნეს განსაზღვრული, როდესაც არქეოლოგიაში კვლევის საგანი ხდება სულ უფრო კონკრეტული საკითხები. ბუნებრივად ჩნდება კითხვა – კიდევ არის თუ არა საჭირო შემუშავებული იქნეს არქეოლოგიური ძეგლებისა და მონაპოვრების კლასიფიკაცია, მათი ტიპებად, ქვეტიპებად და ა.შ. დაყოფა. და რა გამოყენება შეიძლება ჰქონდეს მას.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული პროგრესი არ ეწინააღმდეგება არქეოლოგიური ფენომენების სისტემატიზირების მიზანშეწონილობას და პირიქით, მისი განხორციელების აუცილებლობა დღის წესრიგში დგება.

წინამდებარე სტატიის მიზანს არ წარმოადგენს პრეისტორიული არქეოლოგიური ფენომენების სისტემატიზირების უნიფიცირებული საფუძვლების შემუშავება. ეს საკითხი სპეციალური კვლევის მიზანს წარმოადგენს. სტატიაში მხოლოდ მიმოხილული იქნა ამ მეთოდის ძირითადი პრინციპები და საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიაში ამ მეთოდის გამოყენების მაგალითები.

გამოყენებული ლიტერატურა

სახაროვა, ლ. (1998). *კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ.* ძიებანი 1.

ქორიძე, დ. (1968). *ლიხნის განძი და კოლხურ–ყობანური ცულების გენეზისის საკითხისათვის.* საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXV-B.

ჯაფარიძე, ო. (1950). *კოლხური ცული.* საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVI-B.

Eggert, M. K. H. (2012). *Prähistorische Archäologie*. Konzepte und Methoden. Tübingen.

Микеладзе, Т.К. *К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы – раннего железа).* Тбилиси.

https://www.christianlehmann.eu/ling/typ/typ_vs_klasse.php

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. 1. ტიპოლოგია და კლასიფიკაცია.
https://www.christianlehmann.eu/ling/typ/typ_vs_klasse.php-ის მიხედვით.

ტაბ. 2. დაღმავალი ხაზით კლასიფიკაცია. Eggert M. K. H. 2012. ტაბ. 21.

ტაბ. 3. აღმავალი ხაზით კლასიფიკაცია. Eggert M. K. H. 2012. ტაბ. 22.

Systematization of phenomena in prehistoric archaeology – classification, typology

Tchabashvili Levan,
The University of Georgia
tchabashvili@yahoo.com

Summary

Prehistoric archaeology, similar to other areas of sciences, use systematization of phenomena which they have contact with. Systematization of archaeological monument and artifacts is a necessary precondition for their scientific study. This article reviews the basic principles of systematization method used in prehistoric archaeology and examples of using this method in the Georgian archaeology of the Bronze Age are discussed based on them.

Sometimes, the terms “classification” and “typology” are confused in practice. Their meanings are explained in the article and an attempt is made to distinguish them.

The goal of classification is explained in the article. In prehistoric archaeology, classification means that in the course of processing material under study something that it unstructured will become structured. Archaeology will obtain an adequate picture of varieties of materials to be studied by it only by means of classification.”Upward” and “downward” classifications are distinguished in scientific literature.

Concept of a “sign” is reviewed in the article. A significant precondition of all classifications is to determine criteria according to which the phenomena under review are classified. “Classification criteria” refer to elements characteristic to these phenomena – signs, which are used as comparison units and phenomena are differentiated or grouped together using them.

The second central classification concept is “type”. The concept “type” may be explained as a combination of signs.

Special studies of theoretical nature which aim at systematizing archaeological phenomena, development of theoretical grounds for this process, have not been conducted in connection with prehistoric archeology in the Georgian scientific literature.

However, practical examples of its implementation are presented in many publications.

This article was not intended to develop unified principles of systematization of prehistoric archaeological phenomena. This issue represents the subject of a special study. Only the main principles of this method and examples of using this method in the Georgian archaeology of the Bronze Age are reviewed in the article.

List of Illustrations

Tab. 1. Typology and classification. After:
https://www.christianlehmann.eu/ling/typ/typ_vs_klasse.php.
Tab. 2. Classification.”upward”. Eggert M. K. H. 2012. Pic. 21.
Tab. 3. Classification.”downward”. Eggert M. K. H. 2012. Pic. 22.

კოლხური ბრინჯაო კუნძულ სიცილიაზე

(ინტერკულტურული ურთიერთობებისათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის საწყის ეტაპზე)

ვაჩაძე გვანცა,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gvandervachadze@yahoo.com

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.1

სტატია ეძღვნება კუნძულ სიცილიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებს, რომლებიც სტილისტური და მორფოლოგიური ნიშნებით ანალოგებს ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებულ კოლხურ და ზოგადად, კავკასიურ მატერიალურ კულტურაში პოულობენ. შესაბამისად, კვლევა გარკვეულწილად ფარავს ძველი სამყაროს გაცვლითი და სავაჭრო ურთიერთობების თემატიკას. სტატიის მიზანი ამ ვრცელი საკითხის კარდინალური გადაწყვეტა არ არის, მისი დანიშნულებაა მონაცემთა განახლება და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციული ლაკუნის შევსება.

ბრინჯაოს არტეფაქტები კუნძულ სიცილიაზე მდებარე სამ არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩნდა*. ნივთები შემორჩენილია ფრაგმენტულად და წარმოდგენილია ორი ჯგუფით: სიტულების სახელურებით და ზარაკებით.

პირველად სიტულებთან დაკავშირებული არტეფაქტები კუნძულის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ჯელაში, დემეტრე თესმოფოროსისადმი მიძღვნილ ბითალემის ტაძარში აღმოჩნდა. ტაძრის არსებობის დასაწყისი ძვ.წ. VII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით ისაზღვრება და მისი ცხოვრების პირველი ფაზა ძვ.წ VI საუკუნის შუა ხანებამდე გრძელდება [Tarditi. 2016. 51]. საველე ანგარიშის მიხედვით, უძველეს - n5 ფენაში სხვადასხვა დონეზე გაბნეული არაერთი ნივთი დაფიქსირდა [Orlandini. 1965-67. 1-3]. ამავე ფენის ზედა ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს სიტულის სამი სახელური (ტაბ. I,1) [Tarditi. 2016. 61]. სტრატიგრაფიული პოზიციის და შავპრიალა სტამნოსის ტიპზე დაყრდნობით, ნივთების თარიღი ძვ.წ. VI საუკუნის მეორე მეოთხედით განისაზღვრა [Orlandini. 1965-67. 9]. ძველი ჩანაწერებიდან ჩვენთვის საინტერესო არტეფაქტების უშუალო წარმოშობაზე ცნობები შემონახული არ არის. აღწერებში ისინი მოიხსენიება, როგორც „ფრაგმენტები არაიდენტიფიცირებული ობიექტებისა“ [Orlandini. 1965-67. 17; ტაბ.VI, 4]. მოგვიანებით სახელურები ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც ზოგადად, კავკასიის რეგიონიდან წაღებული სიტულის ფრაგმენტები [Verger. 2003. 547; Tarditi. 2016. 61].

ბრინჯაოს ზარაკების ნაწილი აღმოჩენილია ბერძნული კოლონიის, სელინუნტის აგორას გათხრებისას. სიცილიური წარმოშობის ნივთებთან ერთად აქ იყო იმდროინდელი მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრებიდან დიდი რაოდენობით იმპორტირებული სხვადასხვაგვარი მასალა [Baitinger. 2016. 13]. იმპორტულ ბრინჯაოს ნაწარმს შორის, ყველაზე დაშორებული აღმოსავლეთიდან სახელდება ორი ზარაკი. პირველი ნივთის ფრაგმენტი შედარებით მოზრდილია, დეფორმირებულია და გატეხილია ორ ნაწილად. შესაძლოა ჰქონოდა რკინის ენა. მის იდენტიფიცირებას აადვილებს კარგად


* ტექსტში მოყვანილი ბრინჯაოს მასალები გაბნეულია იტალიის, საბერძნეთის, თურქეთისა და გერმანიის სამუზეუმო ფონდებში, ამდენად, ამ ეტაპზე, თითოეული ნივთის უშუალოდ მონახულება ვერ მოხერხდა.



1




2



3



4



5



6

ტაბ. I. Tab.

შემორჩენილი ვერტიკალური წიწვოვანი ხის ორნამენტი (ტაბ. I,2). ზარაკის არქეოლოგიური კონტექსტი ძვ.წ. VI საუკუნის გვიანი პერიოდით ან ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება. მეორე ფრაგმენტი გაცილებით მომცროა და უნდა წარმოადგენდეს ზარაკის კიდეს. შემორჩენილი აქვს სადა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური რელიეფური დეკორის თითო მწკრივი (ტაბ. I,3). მოპოვებულ იქნა ფენაში, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ორივე ფრაგმენტი

დაკავშირებულია ცხენის აღკაზმულობასთან და შენიშნულია, რომ ამ ტიპის ზარაკებს საუკეთესო ანალოგები ზოგადად კავკასიასა და მეზობელ რეგიონებში ეძებნებათ [Baitinger. 2016. 132-134; ტაბ. 41. 744, 745; Baitinger. 2016ა. 36].

კვლევისათვის საინტერესო ბრინჯაოს ფრაგმენტი აღმოჩნდა სელინუნტის დასავლეთით მდებარე მანიკალუნგას გორაზე არსებულ გაგერას სამაროვანზე, ძვ.წ. VI საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ N159 სამარხში, პითოსთან და კორინთულ არიბალოსთან ერთად. ნივთის იდენტიფიცირება იმთავითვე ვერ მოხერხდა, თუმცა მოგვიანებით, სელინუნტის აგორას ანალოგიურმა აღმოჩენებმა ცხადყო, რომ ფრაგმენტი წარმოადგენდა ზარაკს (ტაბ. I.4) [Kustermann. 2002. 212; ტაბ. LXXIX. 978].

სიცილიაზე აღმოჩენილი, კვლევისათვის საინტერესო ბრინჯაოს არტეფაქტების რაოდენობა ჯერჯერობით ამ მონაცემებით იფარგლება*. სტატიაში, ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადი ტერმინის, „კავკასიურის“ გამოყენება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ნივთებს პარალელები ეძებნებათ კავკასიონის ქედის როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ რეგიონებში.

კავკასიაში გავრცელებული ბრინჯაოს სიტულების ნაწილს ზოომორფულყურებიანი სახელურები აქვს, ნაწილს კი სადა. კოლხურ კულტურაში, უორნამენტო ვარიანტებთან ერთად, ბითალემის ტაძარში მოპოვებული ზოომორფულყურებიანი ფრაგმენტის ანალოგები დასტურდება როგორც განძების, ასევე სამარხების შემადგენლობაში**. ბრინჯაოს ჭურჭელი, სახელურების ამგვარი დეკორით, ჩნდება ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან, უფრო მეტად კი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში და არსებობას ძვ.წ. V საუკუნემდე აგრძელებს. ბრინჯაოს ლამბაქი ზოომორფული ყურებით მოპოვებულია ლუხვანოში [ქორიძე. 1965. 34; ტაბ. XVIII. 12]. ერთი სახელური აღმოჩნდა ქვიშარის განძში [ქორიძე. 1965. 34; ტაბ. IV. 10; ტაბ. XLI. 29]. სამი სიტულა შედიოდა ოყურეშის განძის შემადგენლობაში (ტაბ. II, 2-3) [Куфтин. 1943. 26-27; ტაბ. XII; ქორიძე. 1965. 34]. ერთი სრულად შემორჩენილი სიტულა დასავლეთ საქართველოდან დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ტაბ. II, 1). ასევე, სამი ამგვარი სახელური აღმოჩნდა ცაიშის სამაროვნის N1 კოლექტიურ სამარხ ორმოში [პაპუაშვილი. 2015. 12; ტაბ. 67. 8,9]. უკვე კლასიკური პერიოდისათვის, ამ ტიპის დეკორის მქონე სიტულები მოპოვებულია ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ სამარხებში (ვანი, საირხე, ქობულეთი-ფიჭვნარი) [Эрлих. 2011. 505-508].

საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჯამში ორ ათეულზე მეტი ზოომორფულყურებიანი სიტულა გვხვდება ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ელიტურ სამარხებში*** [Эрлих. 2011. 505-508]. არსებული მონაცემების მიხედვით, ჩრდილოეთით, ყველაზე დაშორებულ პუნქტში, ამგვარი სახელურების მქონე სიტულა აღმოჩენილია ჟაბოტინში, უკ-

---

* სიცილიის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა გვიან XIX საუკუნეში დაიწყო. მეცნიერული კვლევის პარალელურად, კუნძულზე მიმდინარეობდა არალეგალური არქეოლოგიური გათხრები [Baitinger. 2016.17]. გარდა ამისა, აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ნაწილი გამოუქვეყნებელია, ამდენად, არსებობს იმის ალბათობა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან წამოღებული არტეფაქტების რაოდენობა სამომავლოდ გაიზარდოს.

** შენიშვნისათვის მადლობას ვუხდით ბ-ნ რევაზ პაპუაშვილს.

*** ერთ-ერთი მოსაზრებით, ზოომორფულსახელურებიანი სიტულების ჩრდილო კავკასიაში გავრცელების მიზეზი, თლიას საწარმოო ცენტრში, ჩრდილო კავკასიური ელიტისათვის მათი სპეციალური დაკვეთით დამზადება უნდა ყოფილიყო. სხვა მოსაზრებებით, ბრინჯაოს სიტულების წარმოშობას დიდი კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობებს, ან კავკასიის ჩრდილო დასავლეთ არეალს უკავშირებენ [Эрлих. 2011. 510-512].

რაინაში, ხოლო სამხრეთით, არარატის მთის ძირას არსებულ იგდირის სამაროვანზე. [Куфтин. 1943. 25-27; პაპუაშვილი. 2003. 67]. კავკასიის მასშტაბით, ყველაზე დიდი რაოდენობით ბრინჯაოს სიტულა (26ც) აღმოჩენილია თლიას სამაროვანზე, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამარხეულ კონტექსტში [Техов. 2002. 182-83]. თლიას მონაპოვრების შემთხვევაში მცირე განსხვავებაა ზოომორფული დეკორის ნაცვლად სახელურების სადა ან წნული დეკორით გაფორმება. რაოდენობრივი სიუხვის გამო მკვლევართა ნაწილი სიტულების წარმოების ცენტრს ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებისათვის ცენტრალური კავკა_ სიონის სამხრეთ ფერდობზე ათავსებს* [Эрлих. 2011. 510-512]. სხვა მოსაზრებით, მათი წარმოება კოლხეთის ტერიტორიას უკავშირდება [ლორთქიფანიძე. 2002. 174]. ჩვენ მიერ გაზიარებულია უკანასკნელი მოსაზრება, ვინაიდან, ჩრდილო კავკასიისაგან განსხვავებით, კოლხეთში ამ ტიპის ჭურჭელი დროის უფრო ხანგრძლივ მონაკვეთში არსებობს, სახელურების ზოომორფული დეკორით გაფორმება კი გარდა ბრინჯაოს პროდუქტისა, ტიპიურია დიდი რაოდენობის კერამიკული ნაწარმისათვის. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ „სიტულების დეკორი ზედმიწევნით იმეორებს იმავე ხანის კოლხური თიხის ჭურჭლის ე.წ. ზოომორფული ყურების შემკულობას“ [ლორთქიფანიძე. 2002. 174].

სიტულების მსგავსად, სელინუნტის აგორასა და მანიკალუნგას სამაროვანზე აღმოჩენილ ზარაკებს, პარალელები ეძებნება საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ მატერიალურ კულტურაში, სადაც ზარაკებზე პირველი ორნამენტული გამოსახულება ძვ.წ. VI საუკუნიდან ჩნდება და წარმოდგენილია ნაღარი ხაზებით შესრულებული სტილიზებული წიწვოვანი ხის ორნამენტით [ჭანიშვილი. 2006. 139]. ამ ტიპის ზარაკები აღმოჩენილია კაზრეთში [სინაურიძე. 1985. 30; ტაბ. XX], ბოლნისში, [ტყეშელაშვილი. 1969. 41-42; ტაბ. XI. 598], კიკეთში [დავლიანიძე. 1983. 108; ტაბ. XI. 28], ციხიანის სამაროვანზე [Нутсубидзе. 1978. 69-70; ტაბ. 24. 7] ყაზბეგის განძში [წითლანაძე.1976. 26-33] და ა.შ. დასავლეთ საქართველოდან შეიძლება დასახელდეს საირხის [ნადირაძე. 1990. 26-33, 36], იაშთხვას სამაროვნის [კვირკველია. 1978. 74-80], ქვედა ეშერის [Шамба. 1980. 213], ნამარნუს [პაპუაშვილი, პაპუაშვილი. 2006. 51] და ა.შ. მონაპოვრები. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ტიპის ზარაკები ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან ზომებით და ვერტიკალურად დატანილი ორნამენტის სტილიზაციით. მიუხედავად ამისა, მორფოლოგიური მახასიათებლებისა და დეკორის მიხედვით, დასახელებული ზარაკები გამოირჩევა ანალოგიური დანიშნულების მქონე სხვა ნივთებისაგან და ცალკე ჯგუფს აყალიბებენ.

კავკასიის მასშტაბით, ამავე ტიპის ზარაკები აღმოჩენილია ჩრდილოეთით, სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე და ასევე სამხრეთით, მაგ. კარმირ ბლურში [Baitinger. 2016. 133]. კავკასიის ფარგლებს გარეთ, ბრინჯაოს ამ ტიპის ზარაკი ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს აღმოჩნდა კუნძულ სამოსის დასავლეთ სამაროვანზე, ფართო სამარხის კონსტრუქციაში ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებულ ცეცხლოვან ფენაში, ძალზე მაღალი ხარისხის კერამიკასთან ერთად (ტაბ. I.5) [Löwe. 1996. 76]. დამატებით, ბრინჯაოს ზარაკები, აბზინდებთან და ცხენზე გვერდულად მჯდომარე მხედარი ქალის ქანდაკებასთან ერთად აღმოჩენილია სამოსზე არსებულ ჰერას ტაძარში. ნივთები იმთავითვე ზოგადკავკასიურ ნაწარმად იქნა მიჩნეული [Jantzen. 1972. 80-84]. კოლონი-

* ბრინჯაოს სიტულებს შეეხო: ა. იესენი, ბ. კუფტინი, ე. კრუპნოვი, ლ. სახაროვა, ბ. ტეხოვი, ო. ლორთქიფანიძე, ვ. კოზენკოვა, ს. დუდარევი, ლ. გალანინა, ვ. პეტრენკო და ვ. ერლიხი [Эрлих. 2011. 505-506].

ზაციამდელი კონტაქტების საკითხის კვლევისას ამ მონაპოვარს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მოგვიანებით, ცაიშის კოლხურ კოლექტიურ სამარხებში აღმოჩენილი ანალოგიური სკულპტურების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახადა ნივთების წარმოშობის არეალი კოლხეთთან გაიგივებულიყო* [პაპუაშვილი. 2010. 50-51].



ტაბ. II. Tab.

სიცილიაზე აღმოჩენილი კოლხური და ზოგადად კავკასიური** ბრინჯაოს ნივთების რაოდენობრივი სიმცირე და წერილობითი წყაროების არარსებობა საშუალებას არ

* კუნძულ სამოსზე, ჰერაიონში, ე.წ. კავკასიური ტიპის ზარაკებთან ერთად აღმოჩენილი ბრინჯაოს მხედარი ქალის ქანდაკებით არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარი დაინტერესდა, მათ შორის იყვნენ: თ. მიქელაძე, ო. ლორთქიფანიძე, ვ. ლიჩელი და ა.შ. საკითხის მოცულობის გამო თითოეული მეცნიერის მოსაზრება ტექსტში წარმოდგენილი არ არის. საკითხის გარშემო არსებული დისკუსიის სრულად გასაცნობად იხ. ვაჩაძე. 2019. გვ. 14-20.

** სიცილიაზე მოპოვებული სიტულის ფრაგმენტი, როგორც უკვე ითქვა, დამახასიათებელი სტილისტური ნიშნების გამო კოლხური წარმოშობის არტეფაქტად არის მიჩნეული. რაც შეეხება ზარაკებს, მორფოლოგიური ან მხატვრული დეტალების მიხედვით მათი რომელიმე კონკრეტული რეგიონისადმი მიკუთვნება შედარებით რთულია, რაც განაპირობებს ზოგადი ტერმინის „კავკასიურის“ გამოყენებას. ნივთების წარმოების ცენტრის უფრო ზუსტად განსასაზღვრად აუცილებელია სამომავლოდ ბრინჯაოს იზოტოპური ანალიზების ჩატარება.

იძლევა ამ ორ რეგიონს შორის გაცვლითი ან სავაჭრო ურთიერთობები რეგულარული ხასიათის მქონედ მივიჩნიოთ. თუმცა, ამავე კუთხით, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ არტეფაქტები სამ სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე და კონტექსტში იქნა აღმოჩენილი: სამაროვანზე, ტაძრის და აგორას ტერიტორიაზე. განსხვავებულია ნივთების ქრონოლოგიაც. ეს გარემოება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ კოლხეთიდან/კავკასიიდან წაღებული ბრინჯაოს აქ მოხვედრა ერთჯერადი შემთხვევა არ უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ მარშრუტების კვლევა, რომლითაც ატრეფაქტებმა კუნძულამდე მიაღწიეს. ამ მიმართულებით, მთავარი მინიშნება უნდა იყოს ის გარემოება, რომ ზღვის სიახლოვეს მდებარე სელინუნტის და ჯელას ბერძნული დასახლებები დაარსების მომენტიდან უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდნენ. სელინუნტის სამხრეთ ნაწილიდან საზღვაო მარშრუტები გადიოდა ხმელთაშუაზღვისპირეთისკენ და ატლანტიკის ოკეანეში [Baitinger. 2016. 15]. ხოლო ჯელას დასახლებაში, სადაც ლითონის ბუნებრივი რესურსები არ მოიპოვებოდა, ძვ.წ. VII საუკუნიდან ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებამდე აღმოჩენილი ლითონის რაოდენობა 110 კგ-ს აჭარბებს [Tarditi. 2016. 63].

სიცილიის არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ბრინჯაოს სიტულის ფრაგმენტებისა და ზარაკების გავრცელების შესაძლო გზების კვლევისას, გასათვალისწინებელია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, არტეფაქტები აქ ინტერმედიალური სადგურის - მაგალითად, სელინუნტის შემთხვევაში, მილეთის მეშვეობით უნდა მოხვედრილიყო. ამ ვარაუდის არგუმენტად სახელდება მილეთში, დიდიმას აპოლონის ტაძარში იმავე ტიპის ბრინჯაოს ზარაკების (ტაბ. I.6) და სიტულის სახელურის აღმოჩენები*, როგორიც აგორაზეა. ზოგადად, სელინუნტის არქეოლოგიური მონაპოვრისათვის დამახასიათებელია ძალზე დიდი რაოდენობის იონური იმპორტი, აღმოსავლურ ბერძნული კერამიკა და სატრანსპორტო ამფორები [Baitinger. 2016. 133]. იონურ ცენტრებთან რომ კოლხეთს ჯერ კიდევ კოლონიზაციამდე და მის საწყის პერიოდში ჰქონდა გარკვეული კავშირი, ამას ზემომოყვანილი სამოსის ჰერაიონის და სამოსის დასავლეთ სამაროვნის აღმოჩენები ადასტურებს. ამავე მოსაზრებას ამყარებს კვლევაში წარმოდგენილი ახალი მასალებიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ სელინუნტი, ჯელა, მილეთი და სამოსი ზღვის სიახლოვეს მდებარე პუნქტებია, სავარაუდოა, რომ პროდუქტის ცირკულაცია სწორედ ზღვის საშუალებით მომხდარიყო. ამ ნივთების, როგორც გაცვლითი საქონლის ღირებულებისა და მათი დანიშნულების საკითხებზე მსჯელობისას მიმანიშნებელია ის ფაქტი, რომ არტეფაქტები ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედის განმავლობაში იმდროინდელი სამყაროს საკვანძო მნიშვნელობის ცენტრებში იჩენს თავს. როგორც ჩანს მათ ნაწილს ძღვენის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ამაზე მეტყველებს მათი აღმოჩენა ტაძრების კონტექსტში (ჯელა, დიდიმა, სამოსი). რაც შეეხება ნივთების მეორე ჯგუფს, ამ ეტაპზე მათი როლის/მფლობელის ვინაობის განსასაზღვრად რაიმე მყარი არგუმენტის შემოთავაზება შედარებით რთულია, ვინაიდან ისინი მოპოვებულია საქალაქო დასახლებაში, ან სამაროვანზე და წარმოდგენილია ძალზე მცირე რაოდენობის ბრინჯაოს ზარაკებით (სელინუნტი, მანიკალუნგა, სამოსი).

* მილეთში დიდიმას აპოლონის ტაძრისა და მის სიახლოვეს მდებარე არეალში აღმოჩენილი კავკასიური ბრინჯაოს ნივთებიდან ამ ეტაპზე მხოლოდ ბრინჯაოს ერთი ზარაკი არის გამოქვეყნებული [იხ. Bumke. 2008. გვ. 87–96; ტაბ. 11, a-b] ნივთების დანარჩენი ნაწილი პუბლიკაციისათვის მზადების პროცესშია.

მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, განხილულ აღმოჩენებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის წინარე და საწყის პერიოდში რეგიონის გარესამყაროსთან არსებული ურთიერთობის რეკონსტრუქციისას. ახალი მონაცემების მიხედვით, ბრინჯაოს კოლხური სიტულების გავრცელების აქამდე ცნობილი არეალი საგრძნობლად ფართოვდება და დასავლეთით კუნძულ სიცილიამდე, ხოლო სამხრეთით უკვე მილეთამდე აღწევს. კვლევაში წარმოდგენილი ბრინჯაოს ყველა ნივთი უნდა მოიაზრებოდეს როგორც არსებული კონტაქტების მტკიცებულება, რომლის მიხედვით, გარესამყაროსთან მიმართებაში, კოლხეთისა და ზოგადად კავკასიის როლი უფრო აქტიური ჩანს, ვიდრე ეს აქამდე არქეოლოგიურად დასტურდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

დავლიანიძე, ც. (1983). *ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში.* თბილისი.

ვაჩაძე, გ. (2019). *ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკა კოლხეთში და ინტერკულტურული ურთიერთობები (ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში).* თბილისი.

კვირკველია, გ. (1978). *იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები.* საქართველოს არქეოლოგიის საკითხები 1. თბილისი.

ლორთქიფანიძე, ო. (2002). *ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან.* თბილისი.

ნადირაძე, ჯ. (1990). *საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი.* თბილისი

პაპუაშვილი, რ. (2003). *კოლხური ბრინჯაოს ექსპორტი.* ძიებანი N12. თბილისი.

პაპუაშვილი, რ. (2010). *ანთროპომორფული გამოსახულებები ცაიშიდან.* კულტურულ საისტორიო ძიებანი. თბილისი.

პაპუაშვილი, რ. (2015). *ცაიშის სამაროვანი.* თბილისი. ზუგდიდი.

პაპუაშვილი, რ., პაპუაშვილი, ნ. (2006). *ნამარნუ (ძვ.წ. II-I ათასწლეულების ძეგლები).* გურია IV. თბილისი.

სინაურიძე, მ. (1985). *კამრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

ტყეშელაშვილი, ო. (1969). *ფოლადაურის ხეობა.* თბილისი.

ქორიძე, დ. (1965). *კოლხური კულტურის ისტორიისათვის.* თბილისი

წითლანაძე, ლ. (1976). *ხევის არქეოლოგიური ძეგლები.* თბილისი.

ჭანიშვილი, თ. (2006). *მაგიური დანიშნულების არტეფაქტი (ზარაკი) ანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსებიდან.* კულტურულ საისტორიო ძიებანი N17-18. თბილისი.

Baitine, H. (2016). *Selinus V, Die metallfunde aus Selinunt, Der fundstoff aus den Grabungen des Deutschen Archäologischen Instituts auf der Agora*. Reichert Verlag Wiesbaden.

Baitiner, H. (2016). *Greeks and indigenious people in archaic Sicily-Methodological considerations of material culture and identity.* Material culture and Identity between the Mediterranean world and central Europe. Mainz.

Bumke, H. (2008). *Zeugnisse für Kulturtransfer aus dem archaischen Apollonheiligtum von Didyma.* Kult(ur)kontakte. Apollon in Milet/Didyma, Histria, Myus, Naukratis und auf Zypern: Akten der Table Ronde in Mainz vom 11-12. März 2004. Rahden/westf: Leidorf.

Chiara, T. (2016). *The metal objects from the sanctuary of Bitalemi and their context*. Material culture and Identity between the Mediterranean world and central Europe. Mainz.

Jantzen, U. (1972). *Aguptische und orientalische Bronzen aus dem Heraion von Samos.* SAMOS VIII. Bonn.

Kustermann, A. G. (2002). *Selinunte, Necropoli di manicalunga, Le tombe della contrada Gaggera.* Soveria mannelli: Rubettino.

Löwe, W. (1996). *Die Kasseler grabung 1894 in der Nekropole der Archaischen Stadt*. Samos die Kasseler grabung–1894, In der nekropole der archaischen stadt von Johannes Boehlau und Edward Habich. Staatliche Museen Kassel.

Möbius, H. (1938). *Kaukasische glocken in Samos.* Marburger Studien. Marburg.

Orlandini, P. (1965-67). *Gela – Depositi votivi di bronzo premonetale nel santuario di demetra thesmophoros a bitalemi.* Annali 12-14. Roma.

Verger, S. (2003). *Des objects Gaulois dans les sanctuaires Archaiques de Gréce, de Sicilie et d'Italie*. Comptes rendus des séances de L'Année, Paris, Diffusion de Boccard, 11, Rue de Médicis.

Куфтин, Б. А. (1943). *Урартский колумбарий у подошвы Арарата Куро-Араксский енеолит.* Оммиск из Вестника Гос. Музея Грузии XIII В. Тбилиси.

Нутсубидзе, А. А. (1978). *Археологические раскопки в сел абано.* საქართველოს არქეოლოგიის საკითხები 1. თბილისი.

Техов, Б.В. (2002). *Тайны древних погрееий.* Владиавказ.

Шамба, Г.К. (1980). *Раскопки в селе Нижняя Эшера.* ПАИ 1977 году. Тбилиси.

Эрлих, В. Р. (2011). *Бронзовые ситулы из элитных погребений Кавказа как пример внутрикавказской коммуикации (к вопросу о центре производства и верхней дате бытования).* Боспорский Феномен, население, язики, контакты. Санкт-Петербург.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I: 1-ბრინჯაოს სიტულას სახელურის, ჯელა Orlandini P. 1965-67-ის მიხედვით. ტაბ.VI,4; 2-ბრინჯაოს ზარაკის ფრაგმენტი, სელინუნტე Baitinger 2016-ის მიხედვით. ტაბ.41,744; 3-ბრინჯაოს ზარაკის ფრაგმენტი სელინუნტე Baitinger 2016-ის მიხედვით. ტაბ.41,744; 4-ბრინჯაოს ზარაკის ფრაგმენტი, გაგერას სამაროვანი Kustermann G. 2002-ის მიხედვით. ტაბ. LXXIX. 978; 5-ბრინჯაოს ზარაკის ფრაგმენტი, სამოსის დასავლეთ სამაროვანი Möbius H. 1938-ის მიხედვით. ტაბ.66, 1a-1b; 6-ბრინჯაოს ზარაკის ფრაგმენტი, დიდიმა Bumke H. 2008-ის მიხედვით. ტაბ. 11, a-b.

ტაბ. II: 1-ბრინჯაოს სიტულა, დასავლეთ საქართველო. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2,3-ბრინჯაოს სიტულები ოყურეშის განძი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 4-5. ბრინჯაოს ზარაკები, ყაზბეგის განძი.

Colckian bronze on the island of Sicily

(For Intercultural Relations during the early Stage of Greek Colonization of the Eastern Black Sea Coast)

Vachadze Gvantsa,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
gvandervachadze@yahoo.com

Given scientific paper is focused on bronze bells and bronze zoomorphic handles of situla from Sicily. All these items find stylistic and morphological parallels with the artefacts of Colchian and generally Caucasian origin. Objects have been found in Selinunt, in Manicalunga and in Gela and date with the early VIth and Vth centuries BC. Some of the objects can be defined as a part of gift giving cycle, since they have been unearthed in sanctuary context. As for the second group of the items, it is relatively difficult to propose any solid argument at interpreting their role or identity of owner due to their small number and absence of literary sources.

In Colchis During the Ist half of the Ist millennium BC situlas with zoomorphic handles have been found in cemeteries and in hoards. Similar zoomorphic handles are also characteristic for the ornamentation of the typical Colchian ceramic patterns. Colchian Situlas had been widely spread and are found in the neighboring regions, especially in the North Caucasus, reaching Ukraine and also to the south in the territory of present day Turkey.

Bronze bells with the vertical relief lines and in some cases with fishbone ornamentation are also common for Colchian, especially eastern Georgian and generally Caucasian archaeological culture. Though in this last case isotopic analysis of bronze is necessary to determine relatively narrow area of the artefacts.

According to the special scientific literature, these bronze objects had to be transported in Greek settlements of Sicily via the Ionian Station. In addition, it must be mentioned that Colchis had some connection with the Ionian centers before Greek's colonization of the eastern Black sea cost and during its initial period. This is evidenced by very few discoveries of bronze items from the Heraion of Samos, western cemetery of Samos and lately by the recent discoveries from Milethus.

Despite the scarcity of Bronze artefacts discussed in the article each of the item should be considered as material manifestation of ancient exchange interactions as a consequence of which distribution area of Colkhian and generally Caucasian artefacts expands, reaching as far as Milethus and Sicily.

Description of tabs

Tab. I: 1-Bronze handle of Situla, Gela. According to Orlandini P. 1965-67: tab.VI,4; 2-Fragment of bronze bell, Selinunt. According to Baitinger 2016: tab.41,744; 3- Fragment of bronze bell, Selinunt. According to Baitinger 2016: tab.41, 745; 4-Fragment of bronze bell, Gaggera necropolis. According to Kustermann G. 2002: tab. LXXIX. 978; 5- Fragment of bronze bell, Samos western necropolis. According to Möbius H. 1938: tab.66, 1a-1b 6-Fragment of bronze bell, Didyma. According to Bumke H. 2008: tab. 11, a-b; გვანცა

Tab. II: Bronze situla, western Georgia. Georgian National Museum. 2,3-Bronze situlas, Okureshi hoard. Georgian National Museum. 4,5. Bronze bells, Kazbegi Hoard.

ფოხორაულების ნამოსახლარი
(ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა)

მწყერაძე გიორგი,
საქართველოს უნივერსიტეტი
giorgi.mtskeradze@gmail.com

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.2

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქ. თელავთან მდებარე ერთი, მეტად საინტერესო, არქეოლოგიური ძეგლის მიმოხილვა, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის და მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრეს მოეპოვება მასზე გარკვეული ინფორმაცია. ამ ძეგლით ჩვენი დაინტერესება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იქ ჩანს საზოგადოების განვითარების პრაქტიკულად უწყვეტი ჯაჭვი, დაწყებული ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან, შუა საუკუნეების ჩათვლით. ნაშრომს, რასაკვირველია ამ ძეგლთან დაკავშირებული ისტორიულ-არქეოლოგიური საკითხების სრული, ამომწურავი გაშუქების პრეტენზია ვერ ექნება. ამჟამად ჩვენს ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებში გაბნეულ ცნობებზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ ერთიანი სურათი ამ ძეგლისა, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენას გვიქმნის რეგიონის მატერიალური კულტურისა და საზოგადოების უწყვეტი განვითარების შესახებ.

ადგილი „ფოხორაულები“ მდებარეობს თელავის ჩრდილოეთით ალაზნის დაცემულ ვაკეზე. ეს ტერიტორია („ფოხორაულები“) თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურის თემს ეკუთვნის. კურდღელაური ცივ-გომბორის ჩრდილოეთით ქ. თელავის ძირშია გაშენებული.

გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამოსახლო

ნასოფლარ ფოხორაულების ზედაპირზე ჩანს ადრე და გვიანფეოდალური ხანის ნამოსახლარი და რამდენიმე ეკლესია. აქ არავითარი შემაღლება არ ჩანს, რომელიც მიუთითებდა ადრეული სამოსახლოს არსებობაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ადგილას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამოსახლო აღმოჩნდა 2,5-3 მეტრის სიღრმეზე. სამოსახლომ თავი იჩინა მაწანწარისა და თელავის ხევების ზემო ალაზნის ახალი კოლექტორული არხის გაჭრის დროს (XX ს-ის 60-იანი წლები). კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა, კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით აწარმოა არქეოლოგიური გათხრები. ნამოსახლარის ზედა ფენები დალამული და დაღორღილია ცივ-გომბორის ჩრდილოეთი ფერდებიდან მოვარდნილი წყლების მიერ. როგორც ჩანს, ნამოსახლარი ძველადვე ძლიერ დაუნგრევიათ და დაუწვავთ, შემდეგ ცივ-გომბორის ქედის წყლებს მთლიანად დაუშლია.

დაზვერვითი შურფების მიხედვით ირკვევა, რომ ალაზნის ვაკეზე განლაგებულ ფოხორაულების ნამოსახლარს 40000 კვადრატული მეტრი უნდა სჭეროდა. მთლიანად გაითხარა ფართობი 25×15 მ. აქ გამოვლინდა ნაგებობათა კედლების რიყის ქვის საძირკვლები, რომელთა ზედა ნაწილი წნული და თიხით შელესილი უნდა ყოფილიყო, რაც დამწვარ ბათქაშზე შემორჩენილი ანაბეჭდების მიხედვით ირკვევა. გადახურვა

შესაძლოა ბანური იყო, ამის საბუთად გამოდგება ერთ-ერთი სათავსოს იატაკზე აღმოჩენილი რამდენიმე მსხვილი ძელის დანახშირებული ნაშთები. მიკვლეული ნაშთების მიხედვით იატაკი თიხატკეპნილი უნდა ყოფილიყო.

ნამოსახლარის შესასწავლ ფართობზე აღმოჩნდა მისი სინქრონული ორმოსამარხი, რომელიც მხოლოდ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლებსა და თიხის ჭურჭელს შეიცავდა. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდით, რომ საქმე გვაქვს ძველი ტრადიციის გადმონაშთთან, როდესაც წესად იყო სამარხების სამოსახლოსთან გამართვა. მით უმეტეს, რომ „ფოხორაულებში“ ე.წ კენოტაფი სამარხია აღმოჩენილი.

„ფოხორაულების“ ნამოსახლარზე შეკრებილი თიხის ჭურჭელი დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან, გამომწვარია ლეგად ან ლეგა-მოყავისფროდ, ზედაპირი დასერილი აქვს კონცენტრული ხაზებით. ჭურჭელი ყვარელწყლისა და თეთრწყლების სამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის იდენტურია და ამდენად ამავე პერიოდის უნდა იყოს. ე.ი. ძვ. წ. XI-X საუკუნეების. ფოხორაულების ნამოსახლარი არის მატერიალური დადასტურება იმისა, რომ ამ რეგიონში ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან მაინც მძლავრი დასახლებული პუნქტია მიწაზე დამჯდარი ცხოვრების წესით. [ფიცხელაური. 1973. 38].

ანტიკური ხანის სამაროვანი

ფოხორაულების შემოგარენში სოფელ გულგულასთან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად პოულობს სხვადასხვა სახის ნივთებს: კერამიკას, ბრინჯაოს იარაღს და სხვ. XX ს-ის 60-იან წლებში აქ დაფიქსირებულ იქნა ანტიკური ხანის სამაროვანი (თუმცა მისი გათხრა-დოკუმენტირება არ მომხდარა). 1937 წელს ამ სამაროვანის სავარაუდო ტერიტორიიდან თელავის მუზეუმში შემთხვევითი მონაპოვრის სახით შესულია ორი ჭურჭელი. ერთი მათგანი წითელკეციანი სამფეხა ლანგარია (ინვ. №3007) (სურ. 1). მეორე კი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი ოთხფეხა ჯამი (ინვ. №693). (სურ. 2). ეს მასალა უეჭველად სამარხეული წარმომავლობისაა და კეცის ფაქტურითა და ფორმით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს ძვ. წ IV-III საუკუნეების კერამიკასთან. [ლაღიაშვილი. 2017. 8-9].



სურ. 1 Pic.



სურ. 2 Pic.

მართალია, გვიანბრინჯაოს ხანაში ეს ძეგლი განადგურდა, მაგრამ აქ ანტიკურ ხანაში მაინც გრძელდება ცხოვრება. ამის თქმის საფუძველს აღმოჩენილი ნივთები იძლევა, რომელიც სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის. როგორც ჩანს ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იქნებოდა დასახლების კვალი აღნიშნულ ხანაში.

ადრე ქრისტიანული ხანა და განვითარებული შუა საუკუნეები

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმმა (ხელმძღვანელი - ცისანა ჩიკოიძე) „ფოხორაულების“ ტერიტორიაზე აწარმოა არქეოლოგიური გათხრები. შესწავლილ იქნა ფეოდალური ხანის ნამოსახლარი, რომელიც უშუალოდ ადევს ზემოდან განხილულ გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარს.

ყველაზე ინტენსიურად ეს ნამოსახლარი დასახლებული ყოფილა ადრე და განვითარებულ შუასაუკუნეებში, რაზედაც მიგვანიშნებს ოთხი ბაზილიკური ეკლესიის ნანგრევები, რომლებიც მოსახლეობაში ცნობილია „დიდი ეკლესიის“, „პატარა ეკლესიის“, „ყვავიჭამიას“ და „ღვთის ეკლესიის“ სახელით.

ექსპედიციამ გათხარა „პატარა ეკლესია“ (სურ. 3), რომელიც აშენებულია თითქმის თანაბარი ზომის რიყის ქვისაგან. მას აქვს სხვადასხვა ზომის რამდენადმე დაგრძელებული სამი დარბაზი. თითოეულ დარბაზს აღმოსავლეთის მხრიდან აქვს ნალისებრი აფსიდა და გადახურულია სფერული თაღით, ამრიგად ეკლესია შედგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამი ნავისაგან („ეკლესიისაგან“), რომლებიც ერთმანეთთან თითო კარით არიან დაკავშირებულნი. შუა ნავი უფრო ფართო და მაღალია. მას აქვს მკვეთრად გამოყოფილი აფსიდა, შუაში დატანებული გრძელი სარკმლით. საკურთხეველი იატაკიდან ამაღლებულია 20 სმ-ით. იატაკი მოპირკეთებულია კირხსნარით.




სურ. 3 Pic.

გვერდითი ნავები უფრო დაბლებია. მათ აქვთ დამოუკიდებელი ნალისებური აფსიდები, რომლებშიც თითო მოგრძო ფორმის სარკმელია დაყოლებული. იატაკები არ არის შემორჩენილი. გვერდითი ეკლესიებისა და მთავარი ნავის დამაკავშირებელი კარები ერთმანეთის მიმართ აბსოლუტური სიმეტრიით არის განლაგებული. მათი თავანი ქვები (არქიტრავები) 1,7 მ სიგრძისაა. არც ერთ ნავში არ არის გამოყოფილი დამატებითი სათავსო.

ეკლესიის დასავლეთის კედლის გარკვეულ მონაკვეთზე, გარედან, მიწის ზედაპირიდან 2,5 მ სიმაღლეზე, დატოვებულია რიყის ქვის შვერილები (კონსოლები), ჩანს რაღაც შემდგომი მინაშენისთვის, რომელიც აღარ დაუმთავრებიათ და ამის გამო შესაბამისი კარებები ამოუქოლავთ.

როგორც ეკლესიის აღწერიდან ჩანს, იგი წარმოადგენს ე.წ. სამეკლესიან ბაზილიკას (სურ. 4), რომელსაც აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი ბაზილიკური ეკლესიების ქართულ ვარიაციად მიიჩნევს. ამ ახალ არქიტექტურულ კომპოზიციათა შორის მკვლევარი უძველესად თვლის ბოლნისის ქაფანაქჩისა [http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/b/qafanaqchi.html-] და ვანათის ეკლესიებს [http://saunje.ge/index.php?id=1059&lang=en], რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ გამოყოფილი დამატებითი სარიტუალო ნაწილები - პოსტოფორიუმები და დასავლეთის გარშემოსავლელი. ავტორი ამ ეკლესიებს V-VI სს. მიჯნით ათარიღებს.



სურ. 4 Pic.

გეგმის მიხედვით ფოხორაულების „პატარა ეკლესია“ მსგავსია ამ ეკლესიებისა, მაგრამ მისი თავდაპირველი პროექტი უფრო რთული და განვითარებული ჩანს. მის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნავებს აქვს ორ-ორი თაღოვანი შესასვლელი, დასავლეთის მხრიდან გაჭრილი კარი და გარშემოსავლელის ჩანაფიქრი (შემორჩენილი კონსოლების სახით).

იმის გამო, რომ ფოხორაულების ეკლესიას ემჩნევა ფორმათა განვითარების კვალი, ჩვენ ვთვლით, რომ იგი აშენებული უნდა იყოს ბოლნისის ქაფანაქჩისა და ვანათის ეკლესიებზე უფრო გვიან. „პატარა ეკლესიის“ დეტალებს ახლო პარალელები ეძებნებათ გ. ჩუბინაშვილის მიერ I ტიპში გაერთიანებულ ძეგლებთან მაგ; კარდანახის

„საბაწმინდისა“ და კისისხევის „კონდამიანის“ ეკლესიებთან. მაგრამ ძირითადად იმ ნიშნის მიხედვით, რომ არა აქვს გამოყოფილი პოსტოფორიუმები, რაც მეორე ჯგუფში გაერთიანებულ ყველა ეკლესიას უკვე მხატვრულად დამთავრებულ ფორმაში გააჩნია.

კახეთში სამშენებლო მასალად ძირითადად ხევებში აკრეფილ რიყის ქვას ხმარობდნენ. ამდენად კახელ ხუროთმოძღვრებს დეკორატიული ეფექტების მიღწევის საშუალება ნაკლებად ჰქონდათ, ამოტომ კახელი ხუროთმოძღვრები ორნამენტის გამოყვანის საკმაოდ ორიგინალურ ხერხს მიმართავდნენ: ორნამენტი გამოჰყავდათ დუღაბსა და კერამიკაში.

ამ მხრივ განსახუთრებით საყურადღებოა ორიგინალური არქიტექტურული დეკორატიული დეტალები, რომლებიც აღმოჩნდა ფოხორაულების „პატარა ეკლესიის“ გათხრის დროს. ისინი საინტერესოა როგორც ამ ეკლესიის მხატვრულ - სტილისტური შესწავლისთვის, ისე კახეთის ხუროთმოძღვრული დეკორის განვითარების ისტორიისთვის.


ფოხორაულების ეკლესიაში მოპოვებული კარნიზები დამზადებულია ყალიბში წითლად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი, კარგად დამუშავებული თიხისგან. თითქმის ყველა ნატეხს ემჩნევა ნათითურები.

კარნიზები ორი ტიპისაა. ერთ ჯგუფს აქვს რელიეფური კბილანები, რომლებზეც გამოძერწილია ჯვრები, ხოლო კბილანებს შორის ასევე რელიეფურად გამოყვანილია მცენარეული ორნამენტი. თითო კარნიზზე ჯვრის ოთხი რელიეფური გამოსახულებაა (სურ. 5).



სურ. 5 Pic.

მეორე ჯგუფის კარნიზები ბრტყელი და სამსაფეხურიანია. შუა საფეხურზე რელიეფურად გამოყვანილია ძველი ქართული წარწერა, რომელიც შესრულებულია ნუსხურნარევი ასომთავრულით. წარწერა თიხაზე დაშტამპულია უკუღმა, ნეგატიურად. ტექსტი ყველგან ერთი და იგივეა და შედგება სამი დაქარაგმებული სიტყვისაგან, რომლებიც ქარაგმის გახსნის შემდეგ ასე იკითხება: „ქრისტე შეიწყალე ეკოლ“. მესამე სიტყვის ქარაგმის გახსნა არ მოხერხდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ დაქარაგმებულია ეკლესიის მშენებლობასთან ან მის რესტავრაციასთან დაკავშირებული პიროვნების სახელი (სურ. 6).



სურ. 6 Pic.

წარწერის პალეოგრაფიის შესახებ გამოთქმულია ორგვარი მოსაზრება: რიგი სპეციალისტებისა ვარაუდობენ, რომ წარწერა მიეკუთვნება IX-X საუკუნეების მიჯნას, ზოგიერთი კი მას XII საუკუნის ბოლო ეტაპზე ადრეულად არ მიიჩნევს. წარწერა შედგება სამი სიტყვისგან, რომელიც რვა ასოთია გადმოცემული. პალეოგრაფიის თვალსაზრისით საყურადღებოა წარწერაში გამოყენებული ორი ასო ე და ლ, რომელთაც ქართული ასომთავრული დამწერლობის უძველესი ნიმუშებისათვის დამახასიათებელი მოხაზულობა აქვთ. კერძოდ, მათ არ აქვთ წინ გამოწეული ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც X საუკუნიდან ჩნდება. გარდა ამისა, ასო *ш*-ს ნუსხური დამწერლობისთვის დამახასიათებელი მოხაზულობა უჩანს. ნუსხურნარევი ასომთავრულით შესრულებული დამწერლობის ნიმუშები კი გვხვდება IX-X საუკუნეების წარწერებში. ამრიგად, პალეოგრაფიულად წარწერა შესაძლებელია X საუკუნის წინა ხნით დავათარიღოთ.

არქეოლოგიური სტრატიგრაფია მხარს უჭერს კარნიზების თარიღზე გამოთქმულ პირველ მოსაზრებას. მათი დამზადების თარიღი XI საუკუნეს არ უნდა სცდებოდეს, რადგან XI-XII საუკუნეებით თარიღდება ეკლესიის სამხრეთ ნავში აღმოჩენილი ორი საძვალე, რომელთა კედლებიც აშენებულია ორივე ტიპის კერამიკული კარნიზებით, რაც აშკარად მათ მეორად გამოყენებაზე მიუთითებს. სამარხებში აღმოჩენილი მოჭიქული ჯამები და სამაჯურები სამარხებს XI-XII საუკუნეებით ათარიღებს.

ამრიგად სამარხები თარიღდება XI-XII საუკუნეებით, ხოლო ამ სამარხებში სამშენებლო მასალად კარნიზების ხმარება კი მის მეორად გამოყენებაზე და ამდენად, უფრო ადრეულ წარმოშობაზე მოუთითებს.

ეკლესია გადახურული ყოფილა კრამიტით. სამწუხაროდ შემორჩენილია მხოლოდ გვიანდელი გადახურვის კვალი. ეკლესიის გარშემო ეყარა „ღარიანი“ და „გვერდებაკეცილი“ კრამიტის ფრაგმენტები, რომელთა უმრავლესობა შემკული იყო ნიშნებით: რელიეფურად ამოყვანილი წიბოებით, სხივებით, ხვეულებით და სხვ.

მსგავსი ორნამენტით შემკული კრამიტები დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც ალაზნის ისე ივრის ხეობაში, რომლებიც გვინი შუასაუკუნეებით თარიღდებიან.

ფოხორაულების სამეკლესიანი ბაზილიკის არქეოლოგიურმა შესწავლამ კიდევ ერთხელ ცხადყო VI-VII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების დიდი აღმავლობა. ასეთი ძეგლების სიმრავლე უტყუარი მოწმობაა კახეთ-ჰერეთის დიდი ნივთიერი და კულტურული მომძლავრებისა აღნიშნულ ხანაში. მაღალმა ეკონომიკურმა დონემ კი განსაზღვრა ქვეყნის ინტენსიური დასახლება [ჩიკოიძე. 1973. 14-20].

დასკვნა

ამრიგად, ფოხორაულების ნასოფლარის არქეოლოგიური შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ არეალში ცხოვრება უწყვეტად მიმდინარეობდა, რომელიც იწყება ბრინჯაოს ხანიდან, გრძელდება ანტიკურ ხანაში და ცხოვრების ყველაზე ინტენსიურ ხასიათს განვითარებულ შუა საუკუნეებში აღწევს. ეს ნასოფლარი საინტერესოა ასევე არქიტექტურული თვალსაზრისით. ვინაიდან აქ მდებარე ოთხი ეკლესიიდან მხოლოდ ერთია არქეოლოგიურად შესწავლილი, სადაც საკმაოდ საინტერესო ნივთიერი მასალა გამოვლინდა.

ყოველივე ეს მიუთითებს ძეგლის მნიშვნელობაზე და იმ ფაქტზე, რომ ფოხორაულების ნასოფლარი მდიდარი ისტორიულ-არქეოლოგიური წყაროა, რომლის ძირეულად შესწავლის შედეგად კიდევ უფრო ნათელი გახდება აქ მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონე. ნასოფლარი საქართველოში არსებული ისტორიული პროცესების მიხედვით ვითარდებოდა. მისი სამომავლოდ შესწავლა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ამ რეგიონის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა

ლაღიაშვილი, გ. (2017). *ისტორიულ-არქეოლოგიური გზამკვლევი*. ნამოსახლარი „ფოხორაულები“.

ფიცხელაური, კ. (1973). *აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VIIსს.)*. მეცნიერება. თბილისი.

ჩიკოიძე, ც. (1973). *ქალაქი თელავი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)*. თბილისი.

http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/b/qafanaqchi.html;- ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკა (ბოლნისის ქაფანაქჩი) VI ს.

http://saunje.ge/index.php?id=1059&lang=en; - ვანათის სამეკლესიიანი ბაზილიკა - ჟღერს ქვის ჰარმონია, ტ.14, - თბ., „ციცინათელა“, 2007.

სურათების აღწერილობა

სურ 1. წითელკეციანი სამფეხა ლანგარი. ლაღიაშვილი გ. 2017. ისტორიულ-არქეოლოგიური გზამკვლევი. ნამოსახლარი „ფოხორაულები“; გვ.8.

სურ 2. ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი ოთხფეხა ჯამი. ლაღიაშვილი გ. 2017. ისტორიულ-არქეოლოგიური გზამკვლევი. ნამოსახლარი „ფოხორაულები“; გვ.8.

სურ 3. „პატარა ეკლესია“. ფოტო გიორგი მწყერაძის.

სურ 4. „პატარა ეკლესიის“ გეგმა. ჩიკოიძე ც. 1973. „ქალაქი თელავი“ (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა) გვ.15.

სურ 5. ჯვრის გამოსახულებიანი კარნიზი. ჩიკოიძე ც. 1973. „ქალაქი თელავი“ (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა) გვ.17.

სურ 6. კარნიზზე დაქარაგმებული წარწერა. ჩიკოიძე ც. 1973. „ქალაქი თელავი“ (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა) გვ.18.

Habitation site of Fokhorauls (Historical-archaeological review)

Mtskeradze Giorgi,
The University of Georgia
giorgi.mtskeradze@gmail.com

Summary

The purpose of this paper is Overview of one of the most interesting archaeological sites near Telavi, which is less well known to the general public and only a narrow circle of specialists can obtain some information about it. Our interest in the place of residence was conditioned the fact, that there seems to be a virtually continuous chain of community development, starting in BC From the turn of the II-I millenni, including the Middle Ages. The place "Fokhorauli" is located on the fallen plain of Alazani north of Telavi. On the surface of the habitation site of Fokhorauls are seen the remains of early and late feudal times and several churches. There is no evidence of an early habitation here, which indicated the existence of an early habitation, but nevertheless, Archaeological study of Fokhoruli reveals that life in this area was continuous, starting from the Bronze Age, continuing in antiquity and reaching the most intense character in the developed Middle Ages. Most intensively this settlement was inhabited In the early and developed Middle Ages. It is also interesting from an architectural point of view. Since only one of the four churches located here has been archaeologically studied, it has revealed some very interesting material. The habitation site of Fokhorauli is a rich historical-archeological source, through a thorough study of which the level of socio-economic and cultural development of the population living here will become clearer. habitation site was developing according to the historical processes in Georgia. Studying it in the future will be a step forward in exploring the population and culture of this region.

List of Illustrations

Pic. 1. Red-bodied tripod Bowl. Lagiashvili G. 2017. Historical-Archaeological Guide. Habitation site of "Fokhorauls".

Pic. 2. Gray four-legged bowl. Lagiashvili G. 2017. Historical-Archaeological Guide. Habitation site of "Fokhorauls".

Pic. 3 "Little Church". Photo by Giorgi Mtskeradze.

Pic 4. Plan of the "Little Church". Chikoidze Ts. 1973. "Telavi City" (Historical-Archaeological Survey) p.15.

Pic. 5. Cross image on cornice. Chikoidze Ts. 1973. "Telavi City" (Historical-Archaeological Survey) p.17.

Pic 6. Inscription on cornice. Chikoidze Ts. 1973. "Telavi City" (Historical-Archaeological Survey) p.18

ლითონის ისრისპირები სამშვილდედან

თვალაძე შოთა,
საქართველოს უნივერსიტეტი
shota.ug.tvaladze@gmail.com

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.3



სურ. 1 Pic.

ისრის, იგივე ზროს ყველაზე ძველი სახეობა, რომელიც საქართველოშია აღმოჩენილი, პალეოლითის ხანას განეკუთვნება და დამზადებულია კაჟისგან [ელაშვილი. 1959. 26]. ადრებრინჯაოს ხანაში ადამიანი განვითარების სხვა საფეხურზე გადადის, რის შემდგომაც ისრისპირები მზადდებოდა ისეთი მასალისგან, როგორიც არის: კაჟი, ხე, ობსიდიანი, ძვალი, ბრინჯაო და რკინა. კოლხებში ისრისპირების გამოყენება ნაკლებად შეიმჩნევა. ქსენოფონტე სამხრეთ-ქართველურ ტომებს შორის გამოყოფს მხოლოდ კარდუხებს [კავკასიელი მონადირე, შემგროვებლები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე], რომელთა ძირითად იარაღს სწორედ მშვილდ-ისარი წარმოადგენდა [ბერულავა. 2013. 19]

სულხან საბა ორბელიანის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველოში ცნობილია 11 ტიპის ისარი. „ისარი ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართაი. ხოლო განიყოფიან სხუა და სხუა სახელებითა. ფრთე დაბალი და პირ წურილი, რომელსა ყივჩაყნი და თურქნი იქონებენ, არის საყალნო, ზომიერი ისარი, ფრთე მობრტყე და პირ მობრტყე არს სარჩა. მისგან უგრძესი, პირ დიდი და ფრთე მაღალი არს ქეიბური. ისარი სარჩის მსგავსი და პირგანპებული მომცრო არს ქიბორჯი. ისარი ქეიბურის მსგავსი, პირ დიდი და განპებული არს ბოძალი. ისარი სარჩის ტოლი, სამ ფრთოსანი, უპირო წვერ-მგრგუალი არს ყოდალი. ყოდლისა უგრძესი წუერმწვეტი ჯვარედად ჩხირ დასხმული არს ღრჯა. ფრთე მაღალი, გრძელი, გრკალ შემობმული არს სეფქა. უფრთო უპირო ისარი არს გეზი. სამალი არს ღარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი მის ღარით სასროლი. სხუანიც რამ ისარნი არიან, რომელსამე ბორძლად უწოდენ და სხუ-

ასა სხუასა. ხოლო ყრმათა ისარ ცუდასა - წინწკიტელა“[ელაშვილი. 1959. 26].

ისრის წვერების თითოეულ ჩამოთვლილ სახეობას გააჩნია თავისი უპირატესობა. მაგალითად, ბლაგვწვერიანი ისრის პირების გამოყენება, მოსახერხებელი იყო ფრინველებზე და პატარა ძვირფას ტყავიან ცხოველებზე სანადიროდ. ბლაგვბოლოიანი ისრის წვერები სწორი წვერით გამოიყენება თევზაობის დროს. ამ შემთხვევაში ისარი გამოებმებოდა მშვილდს გრძელი თოკით.

წინამდებარე სტატიაში, ვისაუბრებ საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, სამშვილდის ნაქალაქარზე (სურ.1) აღმოჩენილ სამ ისრისპირზე.

საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია, სამშვილდის ნაქალაქარზე უკვე მეშვიდე წელია აწარმოებს არქეოლოგიურ კვლევებს. [ბერიკაშვილი და სხვა. 2012-2019] სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად აღმოჩენილია სამი ტიპის ისრისპირი. აქედან ერთი ისრისპირი აღმოჩნდა სამშვილდის ციტადელში, კერძოდ თხრილ № 60-ში (სურ.2) ხოლო ორი ისრისპირი ნაქალაქარის აღმოსავლეთით, სიონის უბანზე თხრილ № 8-ში (სურ. 3).




სურ. 2 Pic.



სურ. 3 Pic.

თხრილი № 60 - მდებარეობს ციტადელში, სამეფო აბანოს აღმოსავლეთით (სურ.4). აღნიშნული თხრილის შესწავლა დაიწყო 2016 წელს. კორდოვანი ფენის მოხსნისთანავე, მიწის ზედაპირიდან 20 სმ სიღრმეზე, გამოჩნდა ბაზალტის მოზრდილი კვადრების წყობა, ხოლო მის ქვეშ აღმოჩნდა კიდევ უფრო ადრეული პერიოდის სათავსო ნაგებობის ნანგრევები. დადგინდა, რომ აღნიშნული ნანგრევი წარმოადგენდა სათავსოს კედლებისა და გადახურვის ნაშთს. სათავსოს დათარიღებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მოჭიქული ჯამის აღმოჩენა (სურ.5), რომელიც თავისი ჭიქურქვეშა გრავირებითა და შეფერილობით დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის, კერძოდ XII–XIII სს. აღნიშნულ ჯამთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე მინის სამაჯურის ფრაგმენტები და მინისავე ნაწარმისგან დამზადებული თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ასევე განვითარებული შუა საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენდა სათავსოს დასავლეთ მონაკვეთში მონეტების განძის პოვნა. აღნიშნული განძი აერთიანებს ქართველი მეფეების მონეტებს: დემეტრე I-ის (1125–1156), გიორგი III-ის (1156 –1184), გიორგი III-ისა და თამარის (1178–1184), თამარის (1184–1210), გიორგი IV ლაშას (1210–1223), რუსუდანის (1223–1245). როგორც ვხედავთ აღნიშნული მონეტები მთლიანად ადასტურებენ თხრილ № 60-ის სათავსოს თარიღს [ბერიკაშვილი, პატარიძე. 2019. 52]



სურ. 4 Pic.



სურ. 5 Pic.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთ - ერთი ისრისპირი (სურ.6) აღმოჩენილია თხრილ № 60-ის, კონტექსტ № 6-ში, რომელიც წარმოადგენს ნგრევის შედეგად დატოვებულ აგურის ნაყარს და განფენილია კირით მოლესილი სათავსოს იატაკზე, ქვეშ მოყოლებული აქვს ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტები და დოქის ნამტვრევები. [ბერიკაშვილი და სხვა. 2017. 6 – 8] ისრისპირი აღმოჩენილია მიწის ზედაპირიდან 1,30 სმ - სიღრმეზე, ხოლო ნულოვანი წერტილიდან 4,8 მ. ლითონისგან დამზადებული ისრისპირი რკინისაა. თავის შუა ნაწილი აქვს ოდნავ ფართე და ოთხწახნაგა, ბოლოში წაწვეტებული წვერით, რომელიც თავისი ფორმით საბრძოლო დანიშნულებისათვის უნდა ყოფილიყო დამზადებული. აღმოჩენილი მასალის მიხედვით, რომელიც ზემოთ იყო განხილული, (ჯამი, მინის სამაჯურები, მინის თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, მონეტების განძი) შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ისრისპირი განეკუთვნება განვითარებულ შუასაუკუნეებს და მისი ქრონოლოგიური ჩარჩო უნდა იყოს XII – XIII სს.



სურ. 6 Pic.

ორი ისრისპირი (სურ.7. სურ.8), აღმოჩენელია სამშვილდის ციტადელის აღმოსავლეთით, ეგრეთ წოდებულ სიონის უბანზე, კერძოდ თხრილ № 8-ში. აღნიშნული თხრილის კვლევა ექსპედიციამ დაიწყო 2016 წელს [ბერიკაშვილი და სხვა. 2016. 10]. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ თავი იჩინა განვითარებული შუა საუკუნეების მასალამ, რომლის ფენის სისქე იყო 40-60 სანტიმეტრი სიმძლავრის და მთლიანად ფარავდა ბაზალტის დედაქანზე მოწყობილ ე.წ. კირის მოედანს. ამავე ფენაში, ჩაშვებული იყო გვიანდელი და შუა საუკუნეების სამარხები, სამეურნეო ორმოები, რო-

მელიც შეადგენდა სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ მონაპოვარსა და პერიოდს. ისრისპირები აღმოჩენილია კონტექსტ № 1-ში, რომელშიც აღმოჩნდა; ობსიდიანის ანატკეცები და ანამტვრევები, მოჭიქული და სადა კეციანი კერამიკის ფრაგმენტები, ლითონის ნივთები, ძალზედ მცირე ოსტეოლოგიური მასალა და დამუშავებული სათამაშო კოჭები. აღნიშნული მასალის თარიღი, რომელიც მრავალფეროვანია, თარიღდება XII-XV საუკუნეებით [ბერიკაშვილი და სხვა. 2016.10]. აღმოჩენილი სამარხები სტრატიგრაფიულად განეკუთვნება გვიანდელ შუა საუკუნეებს, შესაძლებელია სამშვილდეში ერთ - ერთი შემოსევის დროს (ჯაჰან - შაჰის შემოსევა 1440 წ). თომა მაწოფელის ცნობით ყარა-ყოინლუს თურქმანთა სახელმწიფოს მბრძანებელმა და თავრიზის მეფემ სამშვილდის მოსახლეობა განსაკუთრებული სისასტიკით დასაჯა, რითიც შეიძლება აიხსნას ექსპედიციის მიერ გამოვლენილ სამარხებში თითქმის ყველა ადამიანის ძალისმიერი ხერხებით მოკვდინების კვალის არსებობა [ბერიკაშვილი და სხვა. 2016. 13]. ორივე ისრისპირს განსხვავებული ფორმა გააჩნია. ერთ (სურ. 7) შედარებით ვიწრო, ბრტყელი ფორმის, რომელსაც შუაში ვერტიკალური ზოლი მოყვება, თავი ბოლოსკენ უვიწროვდება, მეორე ისრისპირი (სურ. 8) ოთხწახნაგა, ბოლოსკენ შევიწროვებულია და საბრძოლო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. მეტალის ნივთიერება აქაც არის რკინა. აღნიშნული ორი ისრისპირი, რომელიც აღმოჩნდა თხრილ № 8-ში, სხვა არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად (კერამიკის ფრაგმენტები, სათამაშო კოჭები, სამარხები) გვაძლევს დათარიღების საშუალებას და მათ აქცევს X-XV საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში.



სურ. 7 Pic.



სურ. 8 Pic.

დასკვნა - საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევის შედეგად, სამშვილდის ნაქალაქარზე აღმოჩენილია სამი განსხვავებული ფორმის ლითონის ისრისპირი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო არ სცდება XII-XV საუკუნეებს. სამივე, ერთი და იმავე დანიშნულების, ნივთი კიდევ ერთხელ ადასტურებს ქალაქის მნიშვნელობასა და ბრძოლისუნარიანობას, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და იარაღის აღმოჩენები, მათი ნაირსახეობა კიდევ უფრო ამყარებენ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს იმის შესახებ თუ რამდენად ხშირად უწევდა ისტორიულ ქალაქ სამშვილდეს ბრძოლების გადატანა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიკაშვილი, დ., გაგოშიძე, გ., გაბუნია, თ. (2012). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გაგოშიძე, გ., გაბუნია, თ., ცირამუა, ს. (2013). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., ცირამუა, ს., გიგილაშვილი, დ., გაგოშიძე, გ., გაბუნია, თ. (2014). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., ივანიშვილი, ი., ლომიძე, ვ., ოდილავაძე, დ., ბუხსიანიძე, მ., გაბუნია, თ. (2015). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., ბუხსიანიძე, მ., ყვავაძე, ე., ბითაძე, ლ., გაბუნია, თ. (2016). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., ყვავაძე, ე., მიულერი, ა., კუპალი, ი. (2017). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., პატარიძე, მ., კუპალი, ი. (2018). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., კუპალი, ი., ივანიშვილი, ი. (2019). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი.

ბერულავა, ნ. (2013). *კოლხური შეიარაღების განვითარება ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანებში.* თბილისი.

ელაშვილი, ვ. (1959). *მშვილდოსნობა.* თბილისი.

ილუსტრაციების აღწერილობა

სურ.№ 1. სამშვილდის ნაქალაქარი [ავტორი დ. ბერიკაშვილი].

სურ.№ 2. თხრილი № 60 [ავტორი დ. ბერიკაშვილი].

სურ.№ 3. თხრილი № 8 [ავტორი დ. ბერიკავილი].

სურ.№ 4. სამშვილდის ტოპოგრაფიული გეგმა [ავტორები ი. ივანიშვილი. ვ. ლომიძე].

სურ.№ 5. მოჭიქული ჯამი [ავტორი შ. თვალაძე].

სურ.№ 6. ლითონის ისრისპირი [ავტორი შ. თვალაძე].

სურ.№ 7. ლითონის ისრისპირი [ავტორი შ. თვალაძე].

სურ.№ 8. ლითონის ისრისპირი [ავტორი შ. თვალაძე].

Metal Arrowheads from Samshilde

Tvaladze Shota,
University of Georgia
shota.ug.tvaladze@gmail.com

Summary

The University of Georgia's Samshvilde Archaeological Expedition has been conducting archaeological research for seven years in the city site of Samshvilde. Three different types of arrowheads have been discovered along with various archaeological findings. One of the arrowheads was found in the Samshvilde Citadel, specifically in trench No. 60 (fig. 2) and two in the east of the city site, at trench No. 8 in the Sioni district (fig. 3). Trench No. 60 - located in the Citadel, east of the Royal Bath (fig. 4). The study of this trench began in 2016. Upon removal of the cordon layer, at the depth of 20 cm from the ground surface, a large basalt quadric structure appeared, and beneath it was found the remains of an even earlier period storage building. It was deduced that the said debris represented the remains of the walls and the roof of the depot. For dating of the storage building, the discovery of the glazed bowl (fig. 5) was essential, which is characteristic of the developed Middle Ages with its glazed engraving and coloring, in particular XII - XIII centuries. Along with the mentioned bowl were also found fragments of glass bracelet and fragments of thin-walled vessels also made of glass, which are also characteristic of the developed Middle Ages. One of the most important discoveries was the discovery of coins in the western part of the storage building. The treasure of these coins cover the period of kings; Demetre I (1125–1156) Georg III (1156–1184), Georg III and Tamar (1178–1184), Tamar (1184–1210), Georg IV Lasha (1210–1223), Rusudan (1223–1245). As we can see the above coins fully confirm the date of the trench No. 60. As already noted, one of the arrowheads (fig. 6) is found in Trench No. 60, in Context No. 6, which represents the bulk of the bricks left behind by the demolition, and is scattered on the limed floor of a storage room, underneath which are flat and furrow-like tile fragments and clay pitcher scraps. Arrowhead is found at the depth of 1.30 cm from the surface, and 4.08 cm from the zero point. The metal arrowhead is made of iron. The middle part is slightly wide and quadruped, with a sharp tip, which should have been designed for combat purposes. According to the discovered material discussed above (bowl, glass bracelets, fragments of thin-walled glass vessels, coin treasures), we may think that the mentioned arrowhead belongs to the developed Middle Ages and its chronological frame must be XII - XIII centuries. Two arrowheads (fig. 7, fig. 8), are found east of the Samshvilde Citadel at the so-called Sioni site, specifically in the trench №8. The expedition began the research of the aforementioned trench in 2016. After removing the cordon layer, a developed medieval material appeared, the thickness of which was 40-60 cm and completely covered the Basalt foundation of Lime Square. In the same layer, late and medieval tombs, agricultural pits, comprising various types of archaeological excavations and periods were discharged. The arrowheads were found in context No. 1 in which were found: Offsidian scraps and flakes, glazed and plain ceramic fragments, metal items and small osteological material and processed toy spools. The date of this material, which is diverse, dates back to the 12th - 15th centuries. The discovered tombs are stratigraphically dating to the late Middle Ages, possibly during one of the invasions of Samshvil-

de (Jahan - Shah invasion in 1440). According to Toma Motsapeli, the ruler of the Turkman state of Kara Koyunlu and the king of Tavriz punished the people of Samshvilde with extreme cruelty, which may explain the forceful deaths of almost all humans in the tombs revealed by the expedition [Berikashvili and other. 2016. 13]. Both arrowheads have different shapes. One (fig. 7) is of a relatively narrow, flat shape with a vertical stripe in the middle, with the head narrowed at the end; The second arrowhead (fig. 8) is four-sided, narrow ended, and should have been made for combat. The metallic substance here, too, is iron. The mentioned two arrowheads, found in Trench No. 8, together with other archaeological finds [pottery fragments, toy bits, tombs] allow us to date them and place them in a chronological framework of 10 - 15 centuries. Conclusion - As a result of the Archaeological Expedition of the University of Georgia Samshvilde Expedition, three different forms of metal arrowheads were found in the town of Samshvilde, the chronological framework of which does not go beyond the XII-XV centuries. All three items of the same purpose reaffirm the city's importance and ability to fight, its geographical location and weapon discoveries, their variety is further supported by reports in Georgian and foreign written sources of how often the historic city of Samshvilde had to face battle.

Description of illustrations

Pic. № 1. Former city Samshvilde [By D. Berikashvili].
Pic. № 2. Trench №60 [By D. Berikashvili].
Pic. № 3. Trench №n8 [By D. Berikashvili].
Pic. № 4. Topographic Plan of Samshwilde [By I. Ivanishvili V. Lomidze].
Pic. № 5. Glazed bowl [By Sh. Tvaladze].
Pic. № 6. Metal arrowhead [By Sh. Tvaladze].
Pic. № 7. Metal arrowhead [By Sh. Tvaladze].
Pic. № 8. Metal arrowhead [By Sh. Tvaladze].

ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2019 წელს ჩატარებული გათხრების შედეგები

დარეჯანაშვილი დავით,
ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის თანახელმძღვანელი
d.darejanashvili@gmail.com

პატარიძე ნინო,
ფარავნის არქეოლოგიური პროექტის ხელმძღვანელი
pataridze.ni@gmail.com

ახალაია მათე,
ფარავნის არქეოლოგიური პროექტის დოკუმენტირება-დაარქივების სისტემის ხელმძღვანელი
mate.akhalaia.2@iliauni.edu.ge

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.4

აბსტრაქტი

ამ სტატიაში ვრცლად არის განხილული 2019 წელს ფარავნის ტბის ტერიტორიაზე, სოფელ ახალი ხულგუმოს მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. ხსენებულ მიდამოებში ექსპედიციის მოწყობა ჩატარება მას შემდეგ გადაწყდა, რაც 2018 წელს დისტანციური ზონდირების მეთოდით დაზვერვების შედეგად უამრავი არქეოლოგიური ძეგლი გამოვლინდა [პატარიძე 2019, 339]. გამოვლენილ ძეგლებიდან შეირჩა ყორღანი, რომელთანაც თითქოს სისტემურად დაწყობილი ქვებისაგან შემდგარი (სარიტუალო) გზა მიდიოდა. ეს სარიტუალო გზა უკეთესად გამოჩნდა აეროგადაღებების შედეგად. გადაწყდა ამ ყორღანის შესწავლა, რადგან სარიტუალო გზები ყორღანებზე აქამდე ცნობილი იყო მხოლოდ დმანისიდან [ჯახიანი კ; ღლიღვაშვილი ე. 1998: 88] და წალკის ტერიტორიიდან [ნარიმანიშვილი გ. 2000, 48-49], ფარავნის მიმდებარედ კი სარიტუალო გზის მქონე ყორღანის პირველი დაფიქსირებული შემთხვევა გახლავთ. მიმდინარე არქეოლოგიური სეზონის პირობებში მოხერხდა ხსენებული ყორღანის ნაწილობრივ შესწავლა. ასევე ექსპედიციამ შეძლო სოფელ ხულგუმოში, ერთ-ერთი მოსახლის კუთვნილ სახნავ-სათეს ადგილში, გადარჩენითი არქეოლოგიის მიზნით, ერთი სადაზვერვო თხრილის გაკეთება და შუა საუკუნეების პერიოდის მასალის შეგროვება. ასევე მოხერხდა, როგორც ეს საპროექტო წინადადებით ჰქონდა გამიზნული, შაორის მთის მიდამოებში დაზვერვების შედეგად გამოვლენილ ნასახლარზე ორი სადაზვერვო თხრილის გაკეთება.მოცემულ სტატიაში ყველა ზემოხსენებული სამუშაოების 2019 წლის შედეგებია განხილულია.

შესავალი

ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის 2019 წლის სეზონი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სრული დაფინანსებით წარიმართა. სწორედ ამ სეზონზე დაიწყო ყორღანული სამარხის შესწავლა, რომელიც ფარავნის ტბის მიმდებარედ, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ახალ ხულგუმოსთან მდებარეობს. ასევე გაკეთდა სამი სადაზვერვო თხრილი ორ, სხვადასხვა პერიოდის ნასახლარზე.

ფარავანის ტერიტორია არქეოლოგიურად ნაკლებად შესწავლილ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს. ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები, ჯერ კიდევ 1940-იან წლებში ბორის კუფტინმა აწარმოა. მან გამოავლინა და შეისწავლა 4 ყორღანი [კუფტინი 1941]. შესწავლილი ყორღანებიდან 3 დაუკავშირა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურას, ხოლო ერთი ადრებრინჯაოს ხანას (III ათასწლეულის I ნახევარი) [კუფტინი 1941, ჟორჟიკაშვილი; გოგაძე; 1972]. სწორედ ამ ყორღანში აღმოჩენილ არტეფაქტებთან პოულობს პარალელს, 2003-2007 წლებში ფარავნის მიდამოებში შესწავლილი მარტყოფული ყორღანის მასალა [Kvavadze., Kakhiani 2010, 474]. ფარავნის მიდამოებში, ე. გოგაძის მიერ კიდევ ერთი ყორღანი იქნა გათხრილი. სამარხი მკვლევარმა გვიანი ბრინჯაოს ხანით დაათარიღა [გოგაძე 1979]. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან საინტერესო აღმოჩნდა 2003-2007 წლებში განხორციელებული ექსპედიციის შედეგები, რომლის დროსაც გაითხარა III ათასწლეულის, არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო კონსტრუქციის კომპლექსური ყორღანი. სამარხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს პალინოლოგიური კვლევების შედეგები, რომლის მიხედვითაც, მესამე ათასწლეულის შუა ხანებში ფარავნის ტერიტორია ტყის მასივით იყო დაფარული და მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვითაც გამოირჩეოდა [Kvavadze; Kakhiani; 2010, 473].

როგორც უკვე აღვნიშნეთ 2019 წელს ფარავნის მიმდებარე ტერიტორიაზე დავიწყეთ კიდევ ერთი საინტერესო ყორღანის შესწავლა, რომელიც 2018 წლის დისტანციური ზონდირების მეთოდით დაზვერვების შედეგად გამოვლინდა [პატარიძე 2019, 339].

ექსპედიციის საველე დოკუმენტაცია შედგენილი იქნა ახალი, სპეციალურად ფარავნის ექსპედიციაზე მორგებული მეთოდის მიხედვით. მონაცემთა ბაზების შესადგენად გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამა FailMaker-ი, სადაც საველე დოკუმენტაციასთან ერთად დაზვერვების დროს აკრეფილი და არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული მასალების მონაცემები შეიკრიბა.

სტატიაში, ქვემოთ მითითებული აბრევიატურა „ფაე“ შემოკლებული ვერსიაა “ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის“ აღსანიშნავად. ფარავნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამუშაო ადგილები დაჰყო უბნებად. ყორღანის თხრილი/ები მოიხსენიება 01 უბნად, ხოლო სოფელ ახალ ხულგუმოში, გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების საწარმოებლად გაკეთებული სადაზვერვო თხრილი 02 უბნად. რაც შეეხება შაორის დასავლეთით მდებარე ნასახლარზე შესწავლილ თხრილებს, ისინი 03 უბნად გვაქვს მოხსენიებული.


ფაე 01 თ1
(ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიცია უბანი 01, თხრილი 1)

ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი უბანი (მთავარი) წარმოადგენს ყორღანულ სამარხს, რომელიც მდებარეობს ფარავნის ტბის ჩრდილო დასავლეთ შეფენილ ბუნებრივ გორაკებზე, შაორის ნამოსახლარ გორისაკენ მიმავალ გზაზე. ზღვის დონიდან 2166.47 მ. უმაღლესი, 2165.69 მ. უდაბლეს სიმაღლეზე, (GPS: E398749.72 N4592377.16)*. ექსპედიციამ დაიწყო ამ ტერიტორიაზე არსებული ყორღანული სამარხის არქეოლოგიური შესწავლა.


* ტექსტში ყველა წარმოდგენილი GPS კოორდინატი მოცემულია UTM სისტემაში.

ყორღანი წარმოადგენს მომრგვალებულ, ქვაყრილიან 29 მ. დიამეტრის მასიურ სამარხს, რომელთანაც 19 მეტრის სიგრძისა და 4.10-5 მეტრის სიგანის სარიტუალო გზა მიდის. სარიტუალო გზა მიწის ზედაპირის მოხსნამდეც თვალნათლივ ჩანდა 2018 წელს გადაღებულ აეროფოტოებზე. გზა მდებარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე, მცირედი დახრით სამხრეთ დასავლეთისკენ. უნდა აღინიშნოს, რომ აეროფოტოებში გამოჩნდა, მეორე დიაგონალურ ზოლზე განთავსებული ყრილი, რომელიც ყორღანს ასევე დასავლეთიდან უერთდებოდა. ეს ქვაყრილი დამხრობილი იყო ჩრდილო აღმოსავლეთიდან სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით, თუმცა პირველი ქვაყრილიანი გზისაგან განსხვავებით ის უფრო ვიწრო ჩანდა. თავიდანვე გადაწყდა ამ ორივე ქვაყრილის არქეოლოგიური შესწავლა, რათა დაგვედგინა ყორღანისა და ამ ქვაყრილების ურთიერთმიმართება.

დოკუმენტირების პროცესის გამარტივების მიზნით გაკეთდა კვადრატული ბადე, რომელიც გასწორდა ჩრდილოეთის ხაზზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. დაინომრა ლათინური ასოებისა და ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით არაბული ციფრების მეშვეობით, (მაგ: E5, G6 და ა.შ.). თითოეული კვადრატი წარმოადგენდა 5x5 მ სიბრტყეზე განთავსებულ ფართობს. თხრილის ფართობის გაზრდის აუცილებლობის შემთხვევის გათვალისწინებით კვადრატების ბადე თავიდანვე უფრო დიდ ზონაზე იქნა მორგებული. ამ სისტემამ საბოლოოდ გაამართლა, რადგან აეროფოტოზე არსებული სიტუაციით ყორღანის დიამეტრი 23 მ-ს წარმოადგენდა, მისი ქვაყრილის მიწისაგან სრულიად გათავისუფლების შემდეგ ყორღანის დიამეტრი 29 მ-მდე გაიზარდა.



სურ. 1 Fig. აეროფოტო, კვადრატების ბადით. / Aerophototopography, the quadrants.



სურ. 2 Fig. ყორღანი გათხრების დაწყებამდე. / The Kurgan before the excavations.



სურ. 3 Fig. ყორღანი და მისი ქვაყრილის დიამეტრი სეზონის დასრულების შემდეგ. The Kurgan and dm of stone mound after the season ended.

ყორღანის გათხრა დავიწყეთ ფარავნის ექსპედიციაზე ადაპტირებული, ექსპერიმენტული მეთოდით. ამ მეთოდის თანახმად გასათხრელი ტერიტორია დაიყო კონტექსტებად (ფენის მახასიათებელი), ანუ მოხდა მიწის მასის, (რომელიც ყორღანს ფარავდა), სარიტუალო გზის (უერთდებოდა ყორღანს) და ყორღანის ქვაყრილის ცალ-ცალკე კონტექსტებად გამოყოფა. ასევე ცალკე კონტექსტად მოვიხსენიეთ სამარხის ქვაყრილზე გამოვლენილი ფოსო, რომლის დანიშნულებად მენჰირის (საფლავის ქვის) დამაგრება ვივარაუდეთ. ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად ფოსოს შემავსებელი მიწაც ცალკე კონტექსტად უნდა გამოყოფილიყო და შესაბამისი ნომერი მინიჭებოდა, თუმცა რადგანაც ფოსო არ იყო განსხვავებული კონტექსტით შევსებული ისიც ნახევრად ჰუმუსად (001 კონტექსტად) მოვიხსენიეთ. იგივე მეთოდი იქნა გამოყენებული ყველა უბანზე, ძეგლის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კონტექსტი 001 წარმოადგენს მიწის ნახევრად ჰუმუსურ ფენას, რომელიც ფარავდა ყორღანის ქვაყრილის ნაწილს და ასევე მასთან დაკავშირებულ სარიტუალო გზას. ეს ფენა ბუნებრივი დაშრევება უნდა იყოს. ის ნიაღვრის შედეგად მოტანილ წვრილი ზომის ფხვიერ შავმიწის მასას წარმოადგენდა. ასეთი დაფენება გვხვდება არამარტო თავად ყორღანზე არამედ მთელს მის შემოგარენ ტერიტორიაზე. ეს ფენა ფარავდა 002, 003, 004, და 005 კონტექსტებს.მისი გავრცელების არეალი გასათხრელ ტერიტორიაზე თითქმის მთელ ყორღანს მოიცავდა, გარდა ცენტრალური ტერიტორიისა სადაც ქვაყრილის ინტენსივობა ძალზედ მაღალია.

ფენა 001 გასათხრელი ფართობის დასავლეთით ყველაზე ინტენსიურია, 0.3 -0.4 მ. იგივე ინტენსივობა გრძელდება მის ჩრდილოეთ მონაკვეთში. ფენა სამხრეთით 0.2 მ. სისქის, ხოლო აღმოსავლეთ (გზაზე) ნაწილში არათანაბარი გავრცელებისაა, ხშირად ფენიდან ამოზიდულია ქვედა კონტექსტის კონსტრუქციის ქვები. აღსანიშნავია რომ მასალა, რომელიც პრეპარაციისას აღმოჩნდა, მომდინარეობს ამ კონტექსტიდან.

კონტექსტი 001 სრულად ფარავდა კონტექსტ 003-ს, თუმცა ამ უკანასკნელის ქვაყრილის ნაწილი ზედაპირზე იყო ამოზიდული, რის გამოც გათხრების დაწყებამდეც კი ეს, ხსენებული კონტექსტი გააზრებული იქნა როგორც სარიტუალო გზა.

კონტექსტი 002 წარმოადგენს ფოსოს, რომელიც ამოთხრილია ყორღანის ქვაყრილში, დიდი ქვებით შემორტყმული წრის გარეთ. ფოსო ჩაჭრილია კონტექსტ 004-ში და შევსებულია ნახევრად ჰუმუსური მიწით (კონტექსტ 001), შავმიწა ნიადაგით 002, კედლების სარჩული წარმოდგენილია ბაზალტის მომცრო, არაწესიერი კუთხოვანი ქვებით და არ გააჩნია სპეციალურად შედგენილი იატაკი/ძირი. ის მდებარეობს ქვაყრილის აღმოსავლეთ მხარეს კვადრატ J8-ში. ის შესაძლოა მენჰირის აღსამართი ფოსო იყოს. თუმცა მიმდინარე მონაცემები იმდენად არასაკმარისია, რომ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას მხოლოდ ვარაუდის სახე შეიძლება მიეცეს.

კონტექსტი 003 წარმოადგენს ერთ, კონკრეტულ ტერიტორიაზე დაწყობილ ქვათა ერთობლიობას, რომელიც მიაგავს ქართულ არქეოლოგიაში კარგად ცნობილ შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანების სარიტუალო გზას. ამ კონტექსტს ფარავს კონტექსტი 001, ის, თავის მხრივ, გაწყობილია კონტექსტ 005-ზე, რაც ყორღანის გამართვის დროს არსებულ მიწის ზედაპირს უნდა წარმოადგენდეს.

კონტექსტი 003 წარმოადგენს ბაზალტის მომცრო, არაწესიერი ფორმის კუთხოვანი ქვის სტრუქტურას, რომლის წყობა ქაოტური და არაწესიერია. როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ ზემოთ ის დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე, ოდნავი დახრით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ჩრდი-

ლოეთ და სამხრეთ 4 მონაკვეთებში, ფრაგმენტულად, სტრუქტურის სავარაუდო კიდეები ჩანს. რასაც გარკვეული წესრიგით მიჯრით ჩალაგებული ქვების წყობა გვაფიქრებინებს. ინტერპრეტირებულია როგორც ყორღანის სარიტუალო გზა, სიგრძით 19.8 სიგანით 5.0 მ. მის დასაწყისში, ყორღანთან შეერთების ადგილზე, სადაც გზის ქვაყრილის ჩრდილოეთ და სამხრეთ კიდეები ჩანს, ის უფრო ვიწროვდება 4.30 სმ-მდე. თუმცა არასისტემურად მიყრილი ქვები გვაფიქრებინებს, რომ ეს გზა მცირედით დაზიანებულია, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, სადაც ძალზედ რთულია გზის კიდეების დადგენა. საშუალო სიმაღლე მიწის თავდაპირველი ზედაპირიდან 0.25-0.3 მ-ია (სურ 4).

კონტექსტი 004 წარმოადგენს თავად ყორღანის ქვაყრილს, რომელიც გასათხრელი ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული. კონტექსტი 004 აღმოსავლეთის მხრიდან ნაწილობრივ ეფინება კონტექსტ 003 (ქვაყრილს). კონტექსტი 001 (ნახევრად ჰუმუსური ფენა) ასევე ნაწილობრივ ფარავს კონტექსტ 004-ს, ქვაყრილს. ამ კონტექსტის ქვაყრილი ცენტრალურ ნაწილში იმდენად ინტენსიურად არის განფენილი, რომ თავისუფალია მიწისაგან. ინტენსიური ქვაყრილი ვრცელდება მის ზედაპირზე დიდი ლოდებისაგან შედგენილი წრის შიდა არეალზე. ხსენებული ქვაყრილი მის ცენტრალურ ნაწილში ორ ადგილას დაზიანებულია, აშკარად ჩანს, რომ ხელოვნურად არის ჩაჭრილი. ჩაჭრა შესაძლებელია გაძარცვის მიზნით განეხორციელებინათ. ჩავარდნის გამომწვევი მიზეზები მომავალი კვლევისას დადგინდება.



სურ. 4 Fig. კონტექსტი 003, სარიტუალო გზა. / The context 003, Ritual way.

კონტექსტი 004 დღევანდელი მონაცემების მიხედვით ჩაჭრილია კონტექსტი 002-საგან და ის სრულიად ფარავს კონტექსტ 005-ს (პირვანდელ ზედაპირს). გათხრების დაწყებამდე ყორღანის ქვაყრილის დიამეტრი 23 მეტრს არ აღემატებოდა, თუმცა,

მას შემდეგ რაც ყორღანული სამარხის წრე ბოლომდე განთავისუფლდა მიწისაგან, მისმა დიამეტრმა 29 მეტრს მიაღწია. ქვაყრილი, ჩვენი ვარაუდით, უნდა შედგებოდეს რამდენიმე წრისაგან, მათგან ყველაზე თვალშისაცემი უკვე ზემოთ მოხსენიებული დიდი ლოდებისაგან შემდგარი წრეა, რომელიც თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი. წრეს თვალსაჩინო დაზიანება აღენიშნება მის დასავლეთ ნახევარწრეში. ყორღანის დასავლეთი ნაწილის ქვაყრილის დაზიანება ასევე თვალშისაცემია მისი გარე წრისთვისაც, თუმცა ეს დაზიანება უფრო ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ.

კონტექსტი 004-ის არქეოლოგიური შესწავლა არ დასრულებულა, რის გამოც 2020 წლის სეზონზე მასზე არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება აუცილებელად მიგვაჩნია.

კონტექსტი 005 წარმოადგენს გრუნტ ნიადაგს, თავდაპირველ ზედაპირს, რომელზეც ყორღანი და სარიტუალო გზებია გამართული. მას ფარავს კონტექსტი 001, 003 და 004. ის წარმოადგენილია წვრილი, არაწესიერი კუთხოვანი ქვით შემდგარი მოყვითალო მოყავისფრო ფერის გრუნტის დონით.

ყორღანის გათხრების დროს მოპოვებული მასალა

საანგარიშო წელს, ყორღანზე გაჭრილი თხრილი N 1-დან მომდინარე არქეოლოგიური მონაპოვარი ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევი მასალის გარდა (1006 ფრაგმენტი UID* 86) წარმოდგენილია არამდინარეული მოწითალო-მოყავისფრო კაჟის ანამტვრევებისა და კერამიკის ფრაგმენტების სახით. კაჟის მასალა მეტად მწირ კოლექციას ქმნის (UID 76, 77, 78), იგი წარმოდგენილია 10 ინდივიდის სახით, რომელთა ზომები 0.7-2.5 სმ-ს შორის მერყეობს. აქვე აღმოჩენილი კერამიკული ნიმუშებიც ასევე უსახურ კოლექციას წარმოადგენს (UID 82, 83, 84). მოპოვებულ მასალაში არათანაბარ მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი თიხისგან დამზადებული სხვადასხვა ჭურჭლის უსახური ფრაგმენტები გვხვდება (9 ფრაგმენტი), რომელთა ფორმების რეკონსტრუქცია არ ხერხდება. სახიერი ნიმუში ერთეული პირის ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. იგი მომცრო ზომის ჭურჭლის ბაკოგადმოკეცილ ფრაგმენტს წარმოადგენს (UID 85). მასალების დაცულობიდან გამომდინარე მათი ტიპოლოგიური ინტერპრეტაცია ვერ ხერხდება. გამოწვის ტექნიკისა და ხარისხის მიხედვით ფრაგმენტები ახლოს დგანან ადრეული რკინის ხანისთვის სახასიათო კერამიკულ ჯგუფებთან.

ძეგლზე ქვის ორი არტეფაქტი მოგვეპოვება. ამათგან ერთი სავარაუდოდ საშუალო ზომის წრიულ, გაშლილპირიან, ბაკოწაკვეთილ, თასისებური ფორმის ჯამის ფრაგმენტს წარმოადგენს (UID 80). მეორე ნივთის ფუნქცია-დანიშნულება ნათელი არ არის. იგი არაწესიერი ფორმის მომცრო, წიბოებმომრგვალებული ქვის ფრაგმენტია, რომლის სამ ზედაპირზეც ღრმა ხაზოვანი ღარებია ამოკვეთილი (UID 81). შესაძლოა ნივთი მინერალური მძივების სახეხ ან მეტალის იარაღთა მჭრელი, პირის სალესს წარმოადგენდა.

* UID და მას მოყოლებული რიცხვებით აღინიშნება მონაცემთა ბაზებში შესული ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალა. ის წარმოადგენს საველე ნომერს.



სურ. 5 Fig. ყორღანის პრეპარაციისას მოპოვებული თიხის სახიერი და უსახური ნატეხები. / Ceramic fragments discovered during the excavation of the kurgan stone mound.


ობსიდიანის მასალა* - ფაე 01 თ1 ყორღანის ყრილის და სარიტუალო გზის პრეპარაციის დროს აღმოჩენილი ობსიდიანის კოლექცია წარმოდგენილია ანატკეც-ანამტვრევებით, ერთეული ნუკლეუსით და მცირე რაოდენობის იარაღებით. იარაღების ჯგუფი, აქ აღმოჩენილ ანატკეც-ანამტვრევებთან შედარებით ბევრად მცირერიცხოვანია. აქ ძირითადად რეტუშირებული ანატკეცები, ასევე სათლელი და კომბინირებული იარაღი გვხვდება.(UID 72,73,74,75)

ობსიდიანის კოლექციის დაცულობის ხარისხი, მასში ბოლომდე გამოყენებული ნუკლეუსების და სხვადასხვა ზომის ანატკეცების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ყორღანის ყრილის გამართვისას გამოსაყენებელი ობსიდიანის დამუშავება, ანუ ობსიდიანის დიდი ზომის ნატეხებისაგან ანატკეცების მიღება (ან ატკეცვა) ყორღანის სიახლოვეს უნდა მომხდარიყო. ყრილში ობსიდიანის კოლექციის არსებობა უნდა უკავშირდებოდეს ყორღანის გამართვის პროცესს.

* ობსიდიანის მასალის კვლევა აწარმოეს და მასზედ ანალიზი წარმოადგინეს თათა აღაპიშვილმა და საბა ჯოხაძემ.



სურ. 6 Fig. ყორღანის ქვაყრილის პრეპარაციისას აღმოჩენილი დამუშავებული ობსიდიანის არტეფაქტები. / Obsidian flakes discovered during the excavation of the Kurgan stone mound.



სურ. 7 Fig. ქვაყრილის პრეპარაციისას აღმოჩენილი კაჟის ანატკეცები. / Flint flakes discovered during the excavation of the Kurgan stone mound.



სურ. 8 Fig. ქვაყრილის პრეპარაციისას აღმოჩენილი ქვის ნივთები. / Stone objects discovered during the excavation of the Kurgan stone mound.

ფაე 02 თ1
(ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიცია უბანი 2, თხრილი 1)

სეზონის მიმდინარეობის პერიოდში ექსპედიციისთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილობრივი მოსახლეების კარპეტ და ზამირა მანუკიანების საკარმიდამო ეზოში, მიწის კულტივაციის დროს, თავი იჩინა თიხის ნაკეთობათა ფრაგმენტებმა, რომლებიც სავარაუდოდ არქეოლოგიური ფენიდან მომდინარეობდნენ. შემდგომი დაზიანებისგან თავდასაცავად, გადავწყვიტეთ მოცემული ტერიტორია სადაზვერვო შურფის მეშვეობით შეგვემოწმებინა და განგვესაზღვრა მისი არქეოლოგიური პოტენციალი. დოკუმენტირებისთვის შესასწავლ ტერიტორიას მივანიჭეთ მე-2 უბნის პირობითი სახელი.

ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის (ფაე) მე-2 საკვლევი უბანი (02) მდებარეობს ფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირთან, ნინოწმინდის რნ. სოფელ ახალი ხულგუმოს ცენტრალურ ნაწილში, მის დასავლეთ განაპირა მხარეს, ზღვის დონიდან 2090.23 მ. სიმაღლეზე (GPS: E399976.8581/N4592928.1338). განსახილველი ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. აღნიშნულ პერიმეტრზე მომცრო ზომის ბორცვისებური შემაღლებები შეინიშნება. სწორედ ერთერთ მათგანზე გაიჭრა სადაზვერვო შურფი N 1 (შემდგომში თხრილი N1 (თ1)).

02 უბანი - თხრილი N1 მდებარეობს საკვლევი უბნის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, ბაზალტის ყორეს ჩრდილოეთ მხარეს, მისგან 0.6-0.9 მ-ის დაშორებით, დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე. თხრილის ზომები: სიგრძე 2.0 მ., სიგანე 3.1 მ. მაქსიმალური სიღრმე 0.7 მ.

0.05-0.1 მ. ინტენსივობის ბალახოვანი საფარისა და 0.1 მ. სისქის წვრილმარცვლოვანი, ფხვიერი შავმიწა ნახევრადჰუმუსოვანი ნიადაგის ფენის (კონტექსტი 0001*) მოხსნის შემდეგ თავი იჩინა, წვრილმარცვლოვანი, მონაცრისფრო ალიზითა და მომრგვალებულკუთხეებიანი, საშუალო ზომის ქვებით შედგენილმა კულტურულმა ფენამ (0002). იგი განფენილია თხრილის სრულ პერიმეტრზე. სამხრეთ მონაკვეთში ფენა 0.55, ხოლო ჩრდილოეთით 0.4 მ. ინტენსიობისაა. გავრცელების ზედა საზღვარი არარეგულარული ჯიბეების სახითაა წარმოდგენილი და მკვეთრად განირჩევა ზედა დონის ნახევრადჰუმუსოვანი ფენისგან. გათხრის პროცესში მრავლად დადასტურდა სხვადასხვა დანიშნულების განვითარებული შუა საუკუნეების (IX-XIV ს-ის I ნახევარი) კუთვნილი თიხის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, მინის სამაჯურის ფრაგმენტი (იხ. ქვემოთ) და ცხოველთა ძვლები**.

თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩაჭრილია არქეოლოგიურად სტერილური, არაწესიერი გეგმის მქონე ორმო (კონტექსტი 0004), რომელიც შევსებულია ღია მოყვითალო-მოყავისფრო ფერის, წვრილხრეშოვანი და სილოვანი კომბინირებული მასით წარმოდგენილი დანალექი ფენით (კონტექსტი 0003). ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ორმოს ჩაჭრის პერიოდი და დანიშნულება გაურკვეველია.

ალიზის მასის (კონტექსტი 0002) ალაგების შემდეგ, თხრილის ჩრდილოეთ ნიშნულიდან 0.7 მ. სიღრმეზე გამოვლინდა ვულკანური წარმოშობის, დიდრონი, არაწესიერი კუთხოვანი ფორმის ქვის ფილებით შედგენილი კონსტრუქციის ფრაგმენტული

* შემდგომში, მომრგვალებულ ფრჩხილებში ჩაწერილი ოთხნიშნა რიცხვით ვუთითებთ კონტექსტური ფენის ინდივიდუალურ საიდენტიფიკაციო ნომერს.

** ეს უკანასკნელი საჭიროებს სპეციალურ ზოოარქეოლოგიურ კვლევას.

მონაკვეთი (კონტექსტი 0005). ფილების სიგრძე მერყეობს 1.2-1.75 მ-ს, ხოლო სიგანე 0.65-0.8 მ-ს შორს. მათი საშუალო სისქე 0.1-0.4 მ-ია. ქვებს შორის დარჩენილი სივრცე დაგმანულია შედარებით მომცრო და წვრილი ქვებით. დასავლეთ მონაკვეთში, ერთ-ერთი ასეთი შემავსებელი ქვის აღების შემდეგ, აღმოჩნდა რომ ბაზალტის ფილები სივრცული ნაგებობის სახურავის სტრუქტურას წარმოადგენენ. ზედაპირზე წარმოქმნილი ღრმულებიდან ფილების ქვეშ, ნაგებობის ინტერიერში 1.4-1.7 მ. სიღრმეზე, თავისუფალ სივრცეში ჩასილული მიწის მასები შეიმჩნევა. შეზღუდული ხილვადობის გამო გვერდითი კედლები არ შეინიშნება.


ზემოთ დასახელებული ფენები და თავად კონსტრუქციაც ვრცელდება გაუთხრელ ფართობში. ვინაიდან, შურფის გაჭრის მიზანს ტერიტორიის არქეოლოგიური პოტენციალის შეფასება წარმოადგენდა, გათხრები ამ დონეზე შევაჩერეთ.

წარმოებული კვლევის დაზვერვითი ხასიათის გამო, ნაგებობის სრულყოფილი ინტერპრეტაცია ვერ ხერხდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, ნაგებობა წარმოდგენილია ბაზალტის ქვებით ნაგები კედლებით, ბანურად გადახურულია ბაზალტისავე ფილებით*. სახურავის საბურველად გამოყენებულია ქვანარევი მონაცრისფრო ალიზის მასა**.



სურ. 9 Fig . ფაე 02 თ1 გათხრის შემდეგ. / FAE 02 T1 after the trial trench excavation was completed.

* ამ ეტაპზე უცნობია თუ რა სახისაა სახურავის დამჭერი კონსტრუქცია.
** უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე იყენებს მსგავსი კონსტრუქციის მქონე მიწურ და ნახევრადმიწურ ნაგებობებს.



სურ. 10 Fig. ფაე 02 თ1 თხრილის სიტუაციური გეგმა და ჭრილი. / FAE02 T1 General plan, stratigraphy cut.

ვინაიდან, ნაგებობის ზედა დონეზე მოგვიანო ცხოვრების კვალი არ შეინიშნება, სადაც განხილული ფენის წარმოშობას ვივარაუდებდით, ვფიქრობთ, რომ ფენა დაძრული და გადაადგილებულია. გადასახურად გამოყენებული მიწა, სავარაუდოდ, ნაგებობის სიახლოვეს მდებარე, ჩვენთვის უცნობი არქეოლოგიური ობიექტიდან (ნამოსახლარიდან ?) უნდა იყოს მოჭრილი და მოზიდული.

ფენაში წარმოდგენილ არქეოლოგიურ მასალებს შორის ყველაზე გვიანდელ ნიმუშად ფანტასტიკური ცხოველის ნაკაწრგამოსახულებიან, მრავალფრად მოხატულ, მოჭიქულ ჯამს ვასახელებთ. სტილისტიკური ნიშნებით ნივთის დამზადების თარიღად XIII ს-ის II – XIV ს-ის I პირველ ნახევარს მივიჩნევთ. ნაგებობის მშენებლობის ქვედა ქრონოლოგიურ თარიღად სწორედ ამ პერიოდს ვთვლით. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს სამცხე-ჯავახეთში ფართოდ გავრცელებულ, გვიანი შუა საუკუნეების კუთვნილ მიწურ, საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოსთან ან დარანთან. დასახელებული მოსაზრებები წინასწარული ხასიათისაა. სამომავლო არქეოლოგიური კვლევები კი უარყოფენ ან დაადასტურებენ ჩვენეულ ინტერპრეტაციას.

ზემოთ განხილული საკონტროლო თხრილიდან (ფაე 02 თ1) მომდინარე თიხის არქეოლოგიური მასალა წარმოდგენილია მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკის, ერთეული მინისა და ცხოველის ძვლის ნიმუშთა სახით. მოპოვებული თიხის მასალების ჩვენთვის საინტერესო ნიმუშებზე მოხდა თიხის ნაწარმთა საკოლექციო ნიმუშების (ფაბრიკების) შეგროვება და მათი რეგისტრაცია. თიხის ნაწარმთა ფაბრიკების კვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს კერამიკული მასალების წარმოების ქრონოლოგიური დიაპაზონის, წარმომავლობის, გავრცელების არეალის, ვაჭრობისა და გაცვლის და ზოგადად ისტორიულ-კულტურული პროცესების საკითხთა შესწავლის პროცესში. ამასთანავე, თიხის ფაბრიკებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ რა გარემოში, რა ტემპერატურაზე მოხდა არტეფაქტის გამოწვა და რა საფეხურები გაიარა ნივთმა სრულყოფილი სახის მისაღებად.

საანგარიშო თხრილში აღმოჩენილი კერამიკული ნიმუშები თიხის ნაწარმის მიხედვით ორ დიდ - წვრილმარცვლოვან (წ.) და მსხვილმარცვლოვან (მ.) ჯგუფებად დავყავით. თავად მარცვლოვანება განისაზღვრება მინარევთა და არა თიხის მარცვალთა ზომის მიხედვით (თიხის კრისტალები მიკროსკოპული ზომისაა და მათზე დაკვირვება მხოლოდ მაღალი გადიდების ელექტრო მიკროსკოპითაა შესაძლებელი). თითოეული მათგანი შედგება რამდენიმე ქვეჯგუფის - ოჯახისგან (ო.). ოჯახებში ერთიანდება ნაწარმი, რომელიც თიხის როგორც საწარმოო ნედლეულის მიხედვით ერთგვაროვანია, თუმცა განსხვავდება ტერიგენთა რაობით, რაოდენობითა და კომპოზიციით. ფაბრიკულად დამუშავებულ ნიმუშებს შორის ყველაზე დიდი მსხვილმარცვლოვანი თიხის, პირველი ოჯახია (მ.ო1-1-9), რომელშიც 9 განსხვავებული ფაბრიკა ერთიანდება*.

- **მ.ო1** ხასიათდება საგანგებოდ გამჭლევებული მსხვილი ან საშუალოდ მსხვილი მარცვლოვანების მქონე თიხაში შერეული კირის, ქვიშის (ბაზალტი (?) ან კვარცი) და ან ობსიდიანის მინარევებით (მათი ზომები 0.02-0.4 მმ-ს შორის მერყეობს, პროცენტული რაოდენობა კი 5-15 %-ია), საშუალო ან საშუალოდ მაღალი ფოროვანობით, დაბალი ან საშუალოდ დაბალი სიმჭიდროვით, მყარი ან საშუალოდ მყარი ნიმუშებით, რომელიც ორგანულ მინარევებთან ერთად ჟანგბადიან გარემოში 800-1200°-ზე არიან გამომწვარნი.
- **მ.ო2** ერთ ნიმუშს შეიცავს. მინარევთა რაობა, რაოდენობა და კომპოზიცია პირველი ოჯახის მსგავსია, თუმცა თიხის სტრუქტურა განსხვავებული ელფერის მატარებელია.

წვრილმარცვლოვან თიხის ნიმუშებს შორის სამი ოჯახი გამოვყავით, რომლებშიც ამჟამად თითო-თითო ნიმუში თავსდება:

- **წ.ო1-1** ძალიან წვრილმარცვლოვანი, კარგად განლექილი, 0.2 მმ. ზომის კირქვის მინარევებიანი (5 %), მყარი, დაბალი ფოროვანობის მქონე, მჭიდრო, კარგად გამომწვარი ნიმუშია.
- **წ.ო2-1** ძალიან წვრილმარცვლოვანი, საშუალოდ კარგად განლექილი, 0.5-1 მმ. ზომის კირქვის (5 %), ძალიან ხშირად 0.7 მმ. ზომის ქვიშის (20 %) მინარევებიანი, საშუალოდ რბილი, დაბალი ფოროვნების მქონე, მჭიდრო, კარგად და თანაბრად გამომწვარი ეგზემპლარია.
- **წ.ო3-1** წვრილმარცვლოვანი, საშუალოდ კარგად განლექილი, 0.2 მმ. ზომის კირქვის (15 %), შედარებით ხშირად 0.2-0.5 მმ. ზომის ქვიშის (20-25 %) მინარევებიანი, მყარი, დაბალი ფოროვანობისა და მაღალი სიმჭიდროვის მქონე. კარგად გამომწვარი ნივთია.

არქეოლოგიურ მასალებს, გამოწვის მიხედვით, წითელ და ჩალისფერ (ფერმკრთალ) ქვეჯგუფებად ვყოფთ, თავის მხრივ ეს უკანასკნელნი იყოფა მსხვილმარცვლოვან და წვრილმარცვლოვან ნიმუშებად. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დიდი ნაწილი არათანაბრად, მოწითალო-მოყავისფროდაა გამომწვარი. უმეტესი მათგანი ცეცხლზე დგომისგან დამწვარია და მოშაო ელფერი დაჰკრავს. საანგარიშო ნაწარმის თიხა საგანგებოდაა გამჭლევებული. ცეცხლგამძლე ჭურჭლებს დიდი რაოდენობით ტერიგენული მინარევები აქვს დამატებული, უმეტესად მათი ზომები 1-4 მმ-ს შორის მერყეობს.

* თიხის ნიმუშთა კლასიფიკაცია, კამერალური სამუშაოების დროის სიმცირის გამო, მასალის მხოლოდ მცირე ჯგუფზე მოხერხდა.

განსახილველი მასალა ფუნქციურად სამეურნეო, სამზარეულო, საოჯახო-სუფრისა და საგანგებო დანიშნულების ნივთებად იყოფა.


მსხვილმარცვლოვანი


მ.ო1-1


მ.ო1-2


მ.ო1-3


მ.ო1-4


მ.ო1-5


მ.ო1-6


მ.ო1-7


მ.ო1-8


მ.ო1-9


მ.ო2-1

წვრილმარცვლოვანი


წ.ო1-1


წ.ო2-1


წ.ო3-1

სურ. 11 Fig. განვითარებული შუა საუკუნეების მასალების თიხის კეცები. / Ceramic fabrics of the Late Medieval fragments.

სამეურნეო ჭურჭელი

წარმოდგენილია ქოცოების, ჩაფების, კარაქის სადღვებლის, ბადიების ფრაგმენტების სახით.

ქოცოს მხოლოდ ერთი ნიმუში მოგვეპოვება (UID 18), დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი, კირქვისა და ქვიშის მინარევებიანი, მოწითალოდ გამომწვარი პირ გვერდის ფრაგმენტის სახით. ბაკო განივკვეთში სამკუთხა პროფილის მქონეა, ყელი მცირედ შედრეკილი. ტანის ფრაგმენტები არ მოგვეპოვება.

ჩაფის ერთი დიაგნოსტირებული ფრაგმენტია აღმოჩენილი (UID 19). იგი მსხვილმარცვლოვანი ტერიგენულმინარევებიანი, მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, განიერპირიანი ბაკომომრგვალებული, მასიურყურიანი ნიმუშია.

კარაქის სადღვებელი ხელით ნაძერწი, რბილი და ადვილად ფშვნადი, ფოროვან ხორკლიანი, ქვიშის და მცენარეული მინარევების მქონე, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისგან დამზადებული ყურის ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი (UID 61).

ბადიის სამიოდე ფრაგმენტია აღმოჩენილი. სამივე მათგანი უხეში თიხისგან, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, დიდი ზომის, პირგაშლილი, ბაკოპროფილირებული, ტანმომგრვალებული ნივთია (UID 07, 44, 45).




სურ. 12 Fig. მოყავისფროდ გამომწვარი ბადიის პირ-გვერდის ფრაგმენტები. (UID 07, 44, 45). / Rim sherds of dish. (UID 07, 44, 45).

სამზარეულო ჭურჭელი

წარმოდგენილია ყურიანი სადუღარი და უყურო ქოთნების, სარქველების, კეცების სახით.


სადუღარი ქოთნები წარმოდგენილია სწორი ან მცირედ პირგადაშლილი, სწორი ან ძირისკენ გაფართოვებული ყელის მქონე, მხარმომრგვალებული ნივთების სახით (9 ერთეული UID 01, 02, 06, 11, 12, 13, 28, 30, 32).

ქოთნები წარმოდგენილია მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი 9 ერთეულის სახით (UID 08, 09, 10, 16, 29, 33, 42, 43, 51). ყველა მათგანი საშუალო ან მომცრო ზომისაა. დამზადებულია საგანგებოდ გამჭლევებული, კირის, ქვიშის და ან ოფსიდიანის მინარევების მქონე ცეცხლგამძლე თიხისგან. მათი ფორმები ტიპოლოგიურად მსგავსია. ფრაგმენტები მაღალი სწორყელიანი, კვერცხისებურტანიანი ნიმუშებია.



სურ. 13 Fig. არათანაბარად, მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი ყურიანი ქოთნები, ამოღარული და დაძერწილი ორნამენტებით (UID 01, 02, 06, 11, 12, 13, 28, 32). / Handled pots. Mid-brownish fired. With incised and applied decorations (UID 01, 02, 06, 11, 12, 13, 28, 32).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მსხვილმარცვლოვანი, ფოროვან-ხორკლიანი, ცუდადგანლექილი, არათანაბარ მოყავისფროდ გამომწვარი (გადანატეხში მქისე), მოზრდილი ქოთნის პირ-კედლის ფრაგმენტი. წრიული, მცირედ გაშლილი პირით, ბაკომომრგვალებული, კონუსურყელიანი (UID 50). ყელზე სამი კონცენტრული ჰორიზონტული ღარი დაუყვება. ნივთი გამოწვისა და დეკორირების ტექნიკით, ასევე ტიპოლოგიური მახასიათებლებით რამდენადმე არქაული იერისაა და შესაძლოა ნივთი ადრე რკინის ხანის ნაწარმს განეკუთვნებოდეს.



სურ. 14 Fig. არათანაბრად, მოწითალო-მოყავისფრო-ჩალისფრად გამომწვარი ქოთნების ფრაგმენტები (UID 08, 09, 10, 33, 43, 51). / Pot rim fragments. Uneven brownish-reddish fired (UID 08, 09, 10, 33, 43, 51).

სარქველები არქეოლოგიურ მონაპოვარში განსაკუთრებით საინტერესო ჯგუფს ქმნის. ასეთი სულ 8 არტეფაქტი მოგვეპოვება. ყველა მათგანი ხელით ნაძერწი, უხეში, ცუდად განლექილი, ფშვნადი თიხისგან, მოყავისფროდ გამომწვარი, ზოგჯერ დამწვარი, არაპროპორციული ნიმუშია. ტიპოლოგიურად 2 ჯგუფად ნაწილდებიან. პირველ ჯგუფში ერთიანდებიან გულშეღარული სარქველები (UID 20, 21, 22, 23, 26, 56),

მეორეში კი ბრტყელძირიანები (UID 24). სარქველთა დეკორირების ხერხებში გვხვდება დაძერწვით, ამოღარვით, ჭდობით, წნევით მიღებული ორნამენტები, რომლებიც რიგ ძემთხვევებში განსაკუთრებულ - ინდივიდუალურ სახეებს ქმნიან.




სურ. 15 Fig. არათანაბრად გამომწვარი, დამწვარი, სადუღარი ქოთნების გულშეღარული თავსახურები. ამოღარული და დანაძერწი ორნამენტებით (UID 20, 21, 22, 23, 26, 56). / Lids of cooking pots. Uneven fired. With incised and applied decoration (UID 20, 21, 22, 23, 26, 56).

კეცები 8 დეკორირებული ეგზემპლარის სახითაა წარმოდგენილი, ყველა მათგანი ხელით, მსხვილმინარევებიანი, გაუმჭლევებელი, ადვილადფშვნადი თიხითაა ნაძერწი. ნივთები ბრტყელძირიანი, დაბალკედლიანი, მცირედპირმოყრილი და ბაკოპროფილირებულნი არიან. ბაკო და პირი თითისმიერი ან ჯოხისებური მრგვალი საგნით დატანილი ნაჭდევებითაა შემკული (UID 15, 36, 37, 38, 39, 40, 52, 53).

საოჯახო-სუფრის ჭურჭელში განვიხილავთ მოუჭიქავი და მოჭიქული ჯამებისა და დოქების ფრაგმენტებს.

მოუჭიქავი ჯამები 3 არტეფაქტის სახითაა წარმოდგენილი. ამათგან ერთი ხელით ნაძერწი, კირის მინარევებიანი, არათანაბრად გამომწვარი, პირმოყრილი, ბაკო ორმხრივადპროფილირებული, მუცელმომრგვალებული ნიმუშია (UID 17); ორი კი ჩარხზე დამზადებული, წვრილმარცვლოვანი, გამჭლევებული, კირისმინარევებიანი თიხისგან დამზადებული, ჩალისფრადგამომწვარი, პირმოყრილი, ბაკოწაკვეთილი. დაბალი მხრითა და გამოზიდული ნაწიბურიანი მუცლით (UID 03). ასევე წვრილმარცვლოვანი, ჩალისფრად გამომწვარი, ბაკო სამკუთხა ფორმის ჯამის პირის ფრაგმენტი, პირზე წითლად შეღებილი ზოლით (UID 46).



სურ. 16 Fig. მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი კეცის პირდაჭდეული ფრაგმენტები (UID 15, 36, 37, 52, 53). / Fragments of pan-shaped pots. With pinched decoration on the rim (UID 15, 36, 37, 52, 53)




სურ. 17 Fig. მოყავისფრო-ჩალისფრად გამომწვარი ჯამების პირ-კედლის ფრაგმენტები (UID 03, 17, 46). / Rim sherds of unglazed bowls (UID 03, 17, 46).


მოჭიქული ჯამები (და მთლიანად მოჭიქული ნაწარმი) წარმოდგენილია 11 ფრაგმენტის სახით, რომლებიც შიშველკეციან ანგობით მოხატულ, ნაკაწრებიან ან სადად, ერთფრად და მრავალფრად მოჭიქულ ჯგუფებად იყოფიან.

შიშველკეციანი, ანგობით მოხატული ჯამები წარმოდგენილია ოთხი ფრაგმენტის სახით (UID 05, 48, 70, 71). დეკორზედა ჭიქური წარმოდგენილია უფერული, ცისფერი და მდოგვისფერი ვარიანტებით.

ერთფერი ჭიქურით დაფარული 4 ფრაგმენტი მოგვეპოვება (UID 47, 49, 58, 69). ერთი მათგანი გრავირების ტექნიკითაა გაფორმებული, სხვა დანარჩენი სადაა. ნივთები თეთრი ანგობითაა დაფარული და გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.



სურ. 18 Fig. მოწითალოდ გამომწვარი მოჭიქული ჯამების პირ-კედლის ფრაგმენტები. შიშველკეციანი, თეთრი ანგობით მოხატული, ერთფრად მოჭიქული (UID 05, 48, 70, 71). / Rim sherds, the fragments of glazed bowls. Painted with white slip and covered with transparent monochrome glaze (UID 05, 48, 70, 71).




სურ. 19 Fig. მოწითალოდ გამომწვარი მოჭიქული ჯამების პირისა და კედლის ფრაგმენტები. თეთრი ანგობით დაფარული, ამოკაწრული (მარცხნივ) და სადა. გადავლებული აქვთ ცისფერი ჭიქური (UID 47, 49, 58, 69). / Fragments of monochrome turquoise glazed bowls (UID 47, 49, 58, 69).

მრავალფრად მოჭიქულ ნიმუშთა შორის სამი ფრაგმენტი გვხვდება. ამათგან ერთი ბაკომომრგვალებული სწორმხრიანი ჯამია (UID 57). მხრის შიდაპირის შემკობის მსგავსი კომპოზიცია დამახასიათებელია ჩვენში გავრცელებული გეომეტრიული, ცხოველ და ფრინველსახოვანი მოტივებით დეკორირებული ჯამებისთვის.

პირმოყრილი, ბაკოპროფილირებული ჯამის პირ-კედლის ფრაგმენტი (UID 59). შიდაპირი იმეორებს ზემოთდასახელებულ კომპოზიციურ ვარიანტს, იმ განსხვავებით რომ ამ შემთხვევაში ჯამის გარე მხარე თეთრად ანგობირების შემდეგ მწვანე კრიალა ჭიქურითაა დაფარული.

ჯამის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი, ქუსლი ჭრილში მომრგვალებულია, ძირი კოპიანი

(UID 27). კოპის ცენტრში ღრმა თითისმიერი ფოსო დაუყვება. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე, მოყვითალო და მოყავისფრო ჭიქურით დაფერილი ფანტასტიკური ცხოველის - გრიფონის გამოსახულება. ცხოველს ლომის ტანი (შემორჩენილია ყვითლად მოხატული ზურგის, გავისა და უკანა კიდურების ზედა ნაწილი), ზეაწეული ფრთა (მწვანედ დაფერილი, მწვანედშეღებილი ყელი კი სავარაუდოდ ლომის თავის გამოსახულებით სრულდება).



სურ. 20 Fig. მოწითალოდ გამომწვარი მოჭიქული ჯამების პირისა და ძირ-ქუსლის ფრაგმენტები. თეთრი ანგობით დაფარული, ამოკაწრული, მრავალფრად მოხატული. გადავლებული აქვთ უფერული კრიალა ჭიქური (UID 27, 57, 59). / Rim and base sherds of polychrome glazed bowls (UID 27, 57, 59).

დოქის ფრაგმენტად მიგვაჩნია ჩალისფრად გამომწვარი, კირისმინარევებიანი თიხისგან დამზადებული თეთრი ანგობით დაფარული და შავ-წითელი საღებავით მოხატული კედლის უსახური ფრაგმენტი (UID 04). მისი უსახურობის მიუხედავად, ფრაგმენტს მრავალი სრული ფორმით შემორჩენილი ანალოგი ეძებნება საქართველოს სხვადასხვა სინქრონული ხანის ძეგლებიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალებში.

საგანგებო დანიშნულების ნივთებს შორის მოჭიქული ჭურჭლის მეორადად გამოყენებული ფრაგმენტისგან დამზადებულ საგანს განვიხილავთ (UID 60). აღნიშნული ფორმის ეგზემპლარები საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილი სხვადასხვა ხანის მრავალი ძეგლიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალებში ცნობილი დისკოსებური, ცენტრში გახვრეტილი არტეფაქტია. სხვადასხვა მკვლევარი მათ გორგოლაჭებად, საწაფებად, კვირისტავებად, საბავშვო სათამაშოს დეტალად თუ სასწორის გირად განიხილავს. ვინაიდან, არტეფაქტს შერჩენილი აქვს ანგობზედა ერთფერი ცისფერი ჭიქურით დაფარვის კვალი, ნივთის დამზადების ქვედა ქრონოლოგიურ თარიღად XI-XII სს-ს მივიჩნევთ. მისი ფუნქციური რაობის საკითხს კი ღიად დავტოვებთ.



სურ. 21 Fig. ჩალისფრად გამომწვარი დოქის კედლის ფრაგმენტი. მოთეთრო ანგობით დაფარული, წითელი და შავი საღებავით მოხატული (UID 04). / Shoulder sherd of jug. White slip covered, with white and black painted decorations (UID 04).



სურ. 22 Fig. გორგოლაჭი. დამზადებულია მეორადი გამოყენებით, მოწითალოდ გამომწვარი, ცისფრად მოჭიქული ჯამის კალთის ფრაგმენტისგან (UID 60). / Roll. With the secondary use of the pot body fragment, glazed in blue (UID 60).

მინის ნაწარმი

ერთეული ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. ესაა ლურჯი გამჭირვალე მინისგან დამზადებული განივკვეთში ბრტყელი, ორღარიან ყალიბში გატარებული პატარა ზომის სამაჯური რგოლის ფრაგმენტი (UID 87). სპეციალურ ლიტერატურაში ბრტყელგანივკვეთიან სამაჯურებს ადრეული შუასაუკუნეების ბოლო და განვითარებული შუასაუკუნეების საწყისი ეტაპით ათარიღებენ [უგრელიძე, ნ. 1967; ჩხატარაშვილი, მ. 1978; ჩხატარაშვილი, მ. 2014].



სურ. 23 Fig. მოლურჯო-ცისფერი მინის სამაჯურის ფრაგმენტი. ბრტყელ ღეროიანი, გატარებულია ორღარიან ყალიბში (UID 87). / A fragment of the bracelet. Glass. (UID 87)

განხილული არქეოლოგიური მასალები თანამედროვე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული ძეგლებიდან მომდინარე ნიმუშების ანალოგურია. მსგავი ტიპოლოგიური ნაწარმი აღმოჩენილია თბილისის [გრძელიშვილი ი; ტყეშელაშვილი ო. 1961; მიწიშვილი მ. 1969; მინდორაშვილი დ. 2009], რუსთავის [ლომთათიძე გ. 1988; მიწიშვილი მ. 1969; პაჭიკაშვილი ნ. 2014; ჭილაშვილი ლ. 1958], დმანისის [მაისურაძე ზ. 1953; მიწიშვილი მ. 1969; მუსხელიშვილი ლ. 1938; ჯაფარიძე ვ. ართილავა ვ. 1971; ჯაფარიძე ვ. 1969], ჟინვალის [რამიშვილი რ. 1970; რჩეულიშვილი გ. 1985], თელავის [ჩიკოიძე ც. 1969; ჩიკოიძე ც. 1974; ჩიკოიძე ც. 1979] არეშის [ჭილაშვილი ლ; 1991], ახალქალაქის [ჯანდიერი ე. 1969; ჯანდიერი ე. 1974; ჯანდიერი ე. 2010], სამშვილდის [ლომთათიძე გ. 1974], უფლისციხის [მინდორაშვილი დ. 2008], გუდარეხის [მუხსელიშვილი ლ. ჯაფარიძე ვ. ხიდაშელი შ.1954], უჯარმის [მუსხელიშივილი დ. 1966], ძველი გავაზის [ჭილაშვილი ლ. 1975]; დვინის [Кафадариан К. Г. 2002; Калантариан А.А. 1976]; გარნისის [Петросян Г. А. 1988]; ყაბალას [HEYDAROVA R. BABAYEV I. 2015; HEYDAROVA R. BABAYEV I. 2016; HEYDAROVA R. BABAYEV I. 2017], შამქორის [DOSTYEV T. BƏŞİROV R. MYRZƏYEV R. HÜSEİNLY N. 2013; Достиев Т. М. 2017] და სხვ. მრავალ სინქრონული ხანის ძეგლზე. ჩვენ მიერ აღმოჩენილი არტეფაქტების დიდ

უმრავლესობას ადგილობრივ - სოფლის ნაწარმად მივიჩნევთ. წარმოდგენილი ნაწარმის დამზადების თარიღი, მათ ტიპოლოგიაზე დაყრდნობითა და ანალოგური მასალის გათვალისწინებით განვითარებული შუა საუკუნეების ქრონოლოგიურ დიაპაზონში თავსდება. კარგად დათარიღებულ ნიმუშებს შორის აღსანიშნავია მოჭიქული ნაწარმი, რომელიც ტიპოლოგიური ჯგუფების შესაბამისად - ანგობით მოხატული ნიმუშები X-XI, ერთფრადმოჭიქული XI-XII, მრავალფრად მოხატული ნიმუშები კი XII-XIII საუკუნეებით თარიღდებიან [მაისურაძე ზ. 1953; მიწიშვილი მ. 1969; მიწიშვილი მ. 1998; ჯაფარიძე ვ. 1956].


საქართველოს არქეოლოგიურად შესწავლილი ძეგლებიდან მომდინარე პუბლიცირებული ნაწარმის მიხედვით, სოფელ ხულგუმოში აღმოჩენილი მოუჭიქავი არტეფაქტები მათი არაპროპორციულობისა და რიგ შემთხვევებში მხატვრული სიმდარის მიუხედავად, სრულად იცავენ და იმეორებენ კულტურული პერიოდისთვის სახასიათო ყველა სტილისტიკურ ნიშანს, დეკორირების ხერხებსა და კომპოზიციებს. ამავე ანალოგიური მასალის გათვალისწინებით დასახელებულ ნაწარმს ზოგადად XI-XIII საუკუნეებით ვათარიღებთ.

ფაე 03 თ1
(ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიცია უბანი 3, თხრილი 1)

ფარავნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვითი-არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა შაორის მიმდებარე ნასახლარზე, სადაც ორი 2x1 მ-ზე ზომის სადაზვერვო თხრილის შესწავლა განახორციელა. ამ დასახლების ნაშთები მდებარეობს შაორის მთის ჩრდილო დასავლეთ ფერდობზე (Co: E394610.98/N4592531.49). ნასახლარის ნაშთები ვიზუალური დათვალიერებითაც არათუ ჩანდა, არამედ ზოგ ადგილებში კედლების სიმაღლე 1.5 მ- საც აღწევდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნასახლართან მდებარე ფერმის მეპატრონეები, პრაქტიკული დანიშნულებისათვის წარმატებით იყენებენ ნასახლარის კედლის ქვებს. თავდაპირველად გასათხრელად შეირჩა ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილზე არსებული შემაღლება, სადაც მიწისზედა ნაგებობების კვალი თითქმის არ შეინიშნებოდა. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რათა გარკვეულიყო ნასახლარის ხასიათი და გავრცელების საზღვრები.

თხრილი ზომით 2.30x1.40 მ-ზე გაითხარა 0.45 სმ. სიღრმემდე. თხრილის ზედაპირზე მწკრივად განლაგებული ქვები თითქოს კედლის სიზუსტით მიუყვებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ჰუმუსური ფენის მოხსნის შემდეგ აღმოჩნდა რომ ზემოხსენებული ქვების რიგობითობა მხოლოდ დამთხვევაა და არავითარ სისტემასთან არ აქვს კავშირი. თხრილიც სტერილური აღმოჩნდა. ჰუმუსური შავმიწიანი ფენის შემდეგ მოყავისფრო ფენა ფარავდა ქვების კონგლომერატს. თხრილის გათხრები შეჩერდა და მოხდა მისი რეკულტივაცია.

ამრიგად, ნასახლარის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მიწის ზევით შემორჩენილ ნაგებობებს შეადგენს. ვფიქრობთ ნაგებობებს შორის განთავსებული სივრცე დაუსახლებელი უნდა ყოფილიყო.



სურ. 24 Fig. ფაე 03 თ1, შაორის სამხრეთ დასავლეთით მდებარე ნასახლარი. თხრილის სიტუაციური გეგმა და ჭრილი. / FAE 03 T1, Trail trench excavated in SW side of the Shaori settlement. General plan, Stratigraphy cut.




სურ. 25 Fig. ფაე 03 თ1, გათხრის პროცესი. / FAE 03 T1, the excavation process.

ფაე 03 თ2
(ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიცია უბანი 3, თხრილი 2)

პირველი თხრილის რეკულტივაციის შემდეგ მეორე თხრილის გაკეთება გადაწყდა. ერთ-ერთი ნაგებობის შიდა სივრცეში (სურ 25), შეირჩა ლოკაცია მეორე თხრილისათვის (Co: E394544.65/N4592586.11). თხრილის ზომებია 0.90x2.10 მ-ზე,

სიღრმე ჩრდილო დასავლეთის მხარეს 0.70 სმ; სამხრეთ აღმოსავლეთით 0.37. თხრილი დამხრობილია ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, კედლის გასწვრივ. გათხრებისას გამოვლინდა ორი ერთმანეთზე მიყოლებული ფენა, თუმცა მიუხედავად ამისა კონტექსტების რაოდენობა სამია.

კონტექსტი 0001 არქეოლოგიურად არ არის საინტერესო, ის წარმოადგენს ბალახის საფარს და მისი ფესვების მიერ შედგენილ მიწის მასას, რომელშიც არ მოიპოვება არტეფაქტები. კონტექსტი განფენილია თხრილის სრულ პერიმეტრზე, ჩრდ.-დას. მონაკვეთში შედარებით ინტენსიურია, ცენტრალურ მხარეს და აღმ. მიმართულებით იკლებს.




სურ. 26 Fig. ნამოსახლარი, ფაე 03 თხრილი 2 -ის მდებარეობა. / The settlement, FAE 03 T2, the location of the trail trench.

კონტექსტი 0002 წარმოადგენს შევსებას, რომელიც შენობის დროთაგანმავლობაში დანგრევის გზით უნდა იყოს მიღებული. შევსება შედგებოდა თიხნარი მიწით (80 %), ბაზალტის ქვის არაწესიერი კუთხოვანი ფორმის ტეხილი ქვებით, ზომით 30-40 სმ. (კედლის ნაყარი 15 %), განფენილია ჩრდილო-დასავლეთით ინტენსიურად, აღმოსავლეთით 0.1-0.23 მ. მთელ საშუალოდ 0.15 მ, თხრილზე, ცენტრში 0.1-0.2 კონტექსტი ვრცელდებოდა თხრილის სრულ მონაკვეთზე. ამავე ფენაში ქვის სხვადასხვა ზომის სამშენებლო ნარჩენთან ერთად გვხვდებოდა ხის ძელების ფრაგმენტები, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო თხრილის ჩრდილო დასავლეთ კუთხეში, კედლის გასწვრივ. როგორც ჩანს ეს ხის ძელებიც კონსტრუქციის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა ძალზედ პატარა უნდა ყოფილიყო სახურავის კონსტრუქციისათვის. ამავე კონ-

ტექსტში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის 6 ფრაგმენტი. ერთი პირის ფრაგმენტი, ერთი ყელის მცირე ნაწილი და 4 უსახური ნატეხი.

კონტექსტი 0003 მდებარეობდა კონტექსტ 0002-ის ქვეშ და განფენილი იყო სრულად, მთელს თხრილში, სავარაუდოდ, მთელ ოთახშიც იგივე ფენა უნდა გრძელდებოდეს. კონტექსტი წარმოადგენს მოყავისფრო თიხის ტკეპნილს, რომელშიც სხვადასხვა ზომის ქვები იყო ჩაჭედილი. სამწუხაროდ, თხრილის ზომის სიმცირიდან გამომდინარე ვერ ხერხდება დაზუსტებით ამ ფენის რაობის განსაზღვრა, თუმცა, სავარაუდოდ, ეს კონტექსტი უკვე იატაკის დონე უნდა იყოს. ამასვე გვიდასტურებს კედლის სიღრმეც, რომელიც ამ ფენაშივე მთავრდება.


კონტექსტი შედგებოდა მოყავისფრო თიხნარი მიწისა (80%) და ბაზალტის არაწესიერი კუთხოვანი ქვებისაგან ზომით 0.2-0.3 მ. (20 %). ფენაში არ აღმოჩნდა კერამიკის არცერთი ფრაგმენტი, თუ სხვა არტეფაქტი.



სურ. 27 Fig. ფაე 03 თ2, შაორის სამხრეთ დასავლეთით მდებარე ნასახლარზე გაჭრილი N 2 თხრილი. სიტუაციური გეგმა და ჭრილი. / FAE 03 T2, trail trench excavated in SW side of the Shaori settlement. General plan, stratigraphy cut.

მოპოვებული მასალა

ფაე 03 თ02-ში მოპოვებული მასალა ძალზედ მწირია. მასალა იმდენად მცირერიცხოვანია, რომ ძეგლის ხასიათზე მსჯელობა თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია მიმდინარე მონაცემების მიხედვით. ხსენებულ თხრილში აღმოჩნდა მხოლოდ ექვსი კერამიკული ნატეხი. ექვსივე ნაპოვნია კონტექსტ 0002- ში, ნანგრევ ფენაში. ექვსიდან მხოლოდ ერთი მათგანია სახიერი, დანარჩენი ხუთი წარმოადგენს სხვადასხვა ჭურჭლის მუცლისა და ყელის ფრაგმენტებს.



სურ. 28 Fig. კერამიკული მასალა ფაე 03 თ2-დან. / Ceramic sherds from FAE03 T2.

დასკვნა

ამრიგად, ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუნდაც იმ ფაქტორიდან გამომდინარე, რომ ფარავნის მიდამოებში სარიტუალოგზიანი ყორღანის პირველი პრეცენდენტი დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სრულიად გაამართლა ახალი მეთოდების გამოყენების ექსპერიმენტმა დოკუმენტაციის წარმოებისა და მონაცემთა ბაზების შექმნის თვალსაზრისით.

ექსპედიციამ წარმატებით განახორციელა სტუდენტებისათვის სალექციო კურსების ჩატარება, რომელიც ზემოხსენებული დოკუმენტაციის გააზრებულად შესწავლასა და ამავე დოკუმენტაციის პრაქტიკაში გამოყენების უნარების შემუშავებას მიეძღვნა.

ვფიქრობთ, ფარავნის მიმდებარე ტერიტორიაზე კვლევების გაგრძელება დაგვეხმარება ვცადოთ ბრინჯაოს ხანის პერიოდის ადამიანის საცხოვრებელი გარემოს რეკონსტრუქცია და დავადგინოთ მათი განსახლების არეალი. კვლევები უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას მოგვცემს არა მხოლოდ არქეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ პალეოგარემოს კვლევის კუთხითაც. ყველაფერი ზემოთხსენებული კი, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს არქეოლოგიაში ინტერდისციპლინური მიდგომების დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

არჩვაძე, თ. (1969). *მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისათვის შუა საუკუნეთა საქართველოში.* ფსაძ I. მეცნიერება. თბილისი.

გოგაძე, ე. (1972). *თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი.* მეცნიერება. თბილისი.

გოგაძე, ე. (1979). *ფარავნის ყორღანის გათხრები.* სსმაეVII. თბილისი.

გრძელიშვილი, ი., ტყეშელაშვილი, ო. (1961). *თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები.* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

კახიანი, კ., ღლიღვაშვილი, ე. (1998). *ტაშირის N5 ყორღანული სამარხი.* დმანისი I. გვ.88-107. მეცნიერება. თბილისი.

კუფტინი, ბ. (1941). *არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.

ლომთათიძე, გ. (1974). *შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარების გათხრა სამშვილდის მიდამოებში.* ფსაძ II. მეცნიერება თბილისი.

ლომთათიძე, გ. (1988). *ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით.* კრებული „რუსთავი". მეცნიერება. თბილისი.

მაისურაძე, ზ. (1953). *ქართული მხატვრული კერამიკა.* თბილისი.

მინდორაშვილი, დ. (2009). *არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში.* თბილისი.

მინდორაშვილი, დ. (2008). *უფლისციხე შუა საუკუნეებში.* თბილისი.

მიწიშვილი, მ. (1969). *მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XII სს.* ხელოვნება. თბილისი.

მიწიშვილი, მ. (1998). მ*რავალფერად მოჭიქული კერამიკის გავრცელების საკითხისათვის.* ფსაძ VI. მეცნიერება. თბილისი.

მუსხელიშვილი, ლ. (1938). *დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა).* შოთა რუსთავლის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბილისი.

მუსხელიშივილი, დ. (1966). *უჯარმა.* თბილისი.

მუხსელიშვილი, ლ., ჯაფარიძე, ვ., ხიდაშელი, შ. (1954). *გუდარეხი*. თბილისი.

ნარიმანიშვილი, გ. (2000). *ძვ.წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში.* ძიებანი. გვ. 47-52. თბილისი.

პატარიძე, ნ. (2019). *ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 2018 წელს წარმოებული კომპლექსური გეოარქეოლოგიური დაზვერვების მოკლე ანგარიში.* 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული. თბილისი.

პაჭიკაშვილი, ნ. (2014). *ძველი რუსთავი*. სეზანი. თბილისი.

რამიშვილი, რ. (1970). *ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I.* სიონი. თბილისი.

რჩეულიშვილი, გ. (1985). *ჟინვალის ნაქალაქარის გარეუბნის მოჭიქული ჯამები.* არქეოლოგიური ძიებანი. თბილისი.

უგრელიძე, ნ. (1967). *ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის*. თბილისი.

ქიქოძე, ზ., ქორიძე, ზ. (1978). *ფარავნის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1977წ.* ჩატარებული სამუშაოების მოკლე ანგარიში. სსმაე,VI. თბილისი.

ჩიკოიძე, ც. (1969). *ქალაქ თელავის ისტორიისათვის*. ფსაძ I. მეცნიერება. თბილისი.

ჩიკოიძე, ც. (1974). *ქალაქი თელავი გვიანფეოდალურ ხანაში*. ფსაძ II. მეცნიერება. თბილისი.

ჩიკოიძე, ც. (1979). *ქალაქი თელავი*. თბილისი.

ჩხატარაშვილი, მ. (2014). *ქართული მინის წარმოების ისტორიისათვის.* კრებული რუსთავი IV. პოლიგრაფი. თბილისი.

ჩხატარაშვილი, მ. (1978). *მინა ძველ შუასაუკუნეთა საქართველოში.* მეცნიერება. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1970). *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*. მეცნიერება. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1958). *ქალაქი რუსთავი*. ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1991). *არეში*. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1975). *ძველი გავაზი*. თბილისი.

ჯანდიერი, ე. (1969). *ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის*. ფსაძ I. მეცნიერება. თბილისი.

ჯანდიერი, ე. (1974). *ჯავახეთის ახალქალაქი გვიანფეოდალურ ხანაში.* ფსაძ II. მეცნიერება. თბილისი.

ჯანდიერი, ე. (2010). *ჯავახეთის ახალქალაქის ძველი ნამოსახლარები*. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, 46 B. თბილისი.

ჯაფარიძე, ვ. (1956). *ქართული კერამიკა (XI-XIII სს).* თბილისი.

ჯაფარიძე, ვ., ართილავა, ვ. (1971). *გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში*. სსმაე II. თბილისი.

ჯაფარიძე, ვ. (1969). *ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა*. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, 46 B. თბილისი.

Достиев, Т. М. (2017). *Поливная керамика средневекового города Шамкир*. Поливная керамика средиземноморья и причерноморья X—XVIII вв. Том 2, Stratum plus. Казань - Кишинёв.

Жоржикашвили, Л., Гогадзе, Е. (1974). *Памятники триалети епохи ранней и средней бронзи.* мецниереба. Тбилиси.

Калантариан, А. А. (1976). *Двин I.* Раскопки центрального квартала 1964-1970 гг. Издательство академии наук Армянской ССР. Ереван.

Кафадариан, К. Г. (2002). *Двин II.* Город Двин и его раскопки (1973-1980 гг.). Гитутюн. Ереван.

Петросян, Г. А. (1988). *Гарни в IX-XIV веках*. Издательство Ан Армянской ССР. Ереван.

Dostyev, T., Bəşirov, R., Myrzəyev, R., Hüseinly, N. (2013). *Orta asr şəmkir şəhəri* .. Arxeolojiqazintilar və artefaktlar, Amea arxeologia və etnoqrafya institutu Azerbaican respublikasi mədəniyyat və turizm nazirliyi regionlarin inkişafi ictimai birliyi. Baki.

Heydarova, R., Babayev, I. (2015). *2013 The gabala archaeological expedition*. Reports, findings. Baku.

Heydarova, R., Babayev, I. (2016). *2014 The gabala archaeological expedition:* Reports, findings. Baku.

Heydarova, R., Babayev, I. (2017). *2015-2016 The gabala archaeological expedition:* Reports, findings. Baku.

Kvavadze, E., Kakhiani, K. (2010). *Palynology of the Paravani burial mound (Early Bronze Age, Georgia) in Archaeobot (2010).* 19: 469-478.

The 2019 excavation report carried out by Paravani Archaeological Expedition

Darejanashvili Davit,
The Co-director of Paravani archaeological excavation
d.darejanashvili@gmail.com

Pataridze Nino,
The head of Paravani archaeological project
pataridze.ni@gmail.com

Akhalaia Mate,
The head of documentation and databases in Paravani archaeological project
mate.akhalaia.2@iliauni.edu.ge

Summary

The Paravani lake is located in South-West Georgia, in the gorge of Lesser Caucasus range at 2100 m altitude. The Javakheti area, especially the territory of the Paravani lake, is poorly studied. The high altitude of the area made archaeological seasons shorter than usual. In fact, only few researchers have ever worked in this place. Before our Paravani project started in 2018, a few studies had been conducted in the area, particularly in Soviet times.

The first archaeological excavation in the area was conducted by B. Kuftin in 1940s. He excavated 4 Kurgans in Tabatskhuti area (Kuftin 1941). Three of the four Kurgans were dated as Middle Bronze, Trialeti culture barrows (Kuftin 1941, Zhorzhikashvili & Gogadze 1972) and one of the Kurgan was dated as Early Bronze age (Martkopi Group), I half of the III millennium. The same date was suggested for the recently excavated Kurgan in 2003-2007 seasons. The structure of the Kurgan and the materials recovered in the barrow near Paravani area were comparably the same as the Martkopi Group Kurgan that was exacavted by B. Kuftin (Kvavadze and Kakhiani 2010, 471). A second archaeological study was carried out by E. Gogadze, he studied the Kurgan near Paravani, not far from Khulgumo village. The researched Kurgan was dated as the Late Bronze Age (Gogadze 1979). This information also appeared to be very useful for further research.

Another Kurgan was excavated near Khulgumo village in 2003-2007 which results were published in 2010. The interesting results revealed the pollen analyses. Based on the denoted study, the wagon discovered in the Kurgan was used before the person was buried (Kvavadze and Kakhiani 2010, 473). This research revealed an interesting diversity of plants in the area. Namely, the analysis showed a variety types of trees and plants. These results indicate also the probability of a different vegetation in the area (Kvavadze and Kakhiani 2010, 474) and the environmental and climate change occurred over the centuries.

The Paravani Archaeological Project (FAE) started in 2018 with a survey project. The project was implemented by the financial support of the Cultural Heritage Protection Agency of Georgia. Complex Geo-Archaeological Survey was conducted by means of Aerial Photogrammetry, GIS and field survey. Potential archaeological objects were identified

based on constructed Digital Elevation Model (DEM) and Orthophoto. During the 2018 survey many archaeological sites were discovered. The survey project continued also during the 2019 season. The area was analyzed with pictures (Google Earth; Bing Maps; World Imagery Wayback; ESRI BaseMap) and maps (1:25000, 1:50000). Several archaeological sites were listed thanks to the excavation. Particularly, one Kurgan caught our attention. The Kurgan was found during the survey in 2018 season. It became object of interest after we noticed the ritual way on its Aerial Photogrammetry. The existence of the ritual ways of the Middle Bronze Trialeti culture Kurgans are known since 1986 (Kakhiani K,. Ghlighvashvili E 1988: 88) from Dmanisi. In 1990, very long and very wide ritual ways were found in he Tsalka Kurgans (Narimanishvili 2000: 48-49). This information made us aware of the possibility that ritual ways on the Kurgans exist, but we also knew that the ritual ways were not everywhere.

Hence, the aim of the excavation was to reveal the denoted feature and to understand whether the ritual way in the Kurgans could be also found in the Javakheti territory.

Therefore, the excavations of FAE01 T1 (Fig 1-4) started in 2019. The Kurgan is located in SW part of the Khulgumo village on the Paravani lake shore (GPS: E398749.72 / N4592377.16), on the altitude of the 2166 m from the sea level. The excavation aimed to unearth the stone mound of the Kurgan and to reveal the whole length of the ritual way. The area was divided by the 5x5 quadrants. At the beginning, the scale of the kurgan seemed lesser. At the end the diameter of the Kurgan appeared to be 29 m, the length of the ritual way 19 m, and the width of it 4.10 up to 5m.

On the area 01 T1, we distinguished 4 different contexts. The context 001 represents the humus soil, which covers most of the area of the trench. The context 001 was covering the contexts 002, 003, 004 and 005. The denoted contexts do not cover the central area of the stone mound. The central area is lifted from the original ground: it should be the chamber area. The stone mound here is also very intensive and no soil is mixed with the stones. The area falls into the big stone circles which is almost undisturbedly preserved on the Kurgan. Yet these two features do not have the context number as we haven't started the excavation of the area for the 2019 season.

The context 002 was the shallow pit. The pit was very small with quadrangular shape and was located in the joint place of the Kurgan and ritual way. The filling was very shallow as well and was filled with the same material as context 001. Therefore, we did not give the new context number to the filling. By the preliminary opinion, the pit was considered as the place for installing the gravestone. It could be even not connected with the Kurgan.

The context 003 was given to the structure of the ritual way. It was covered by the contexts 001. The total length of the context is 19.8 m and width 5 m. The limits of the ritual way were very well visible on the Northern edge of the structure. During the excavation of the context, many obsidian and flint flakes were discovered.

The context 004 is the rounded kurgan stone mound itself. Partially it was covered by the context 001 and leaned by the context 003. It was cut by the context 002. As we mentioned before, the big stone circle and the central intensive stone mound should be given different context numbers for the future excavation. During the excavation of the context, many obsidian (UID 72,73,74,75) and flint flakes (UID 76, 77, 78) were discovered. Also several ceramic sherds were recovered (total 9 fragments) in which only few of them were

diagnostic ones (UID 82, 83, 84). One sherd was dated with Iron Age I half of the I millennium period (UID 85). Clearly, the sherd should not belong to the Kurgan period. Two stone objects were also discovered during the excavation, one with the shape of a rounded bowl (UID 80) and one unknown (UID80).

The context 005 represents the original ground on which the Kurgan was constructed. It is covered by the contexts 001, 003 and 004.

FAE 02 T1. (Fig 9-10). The trench is located exactly in the village of New Khulgumo (GPS: E399976.8581/N4592928.1338) on the altitude of the 2090.23 m. The local family notified the expedition about the continuous discovery of ceramic sherds in their garden. The excavated trench lies on E to W line, its dimensions are 2x3.1 m. The trench revealed most of the ceramic finds during the season 2019. On the 0.7 m depth, the excavation had been stopped after it reached a big stone construction, probably the roof of the late medieval structure. As it seems from the uneven surface of the surrounding area, the late medieval time settlement should occupy a quite big territory. In the trench, four contexts were distinguished. Context 0001 was the surface layer that was covering the area. The context 0002 is the layer in between the massive stone structure (roof) and the context 0001. Most of the artefacts were discovered in the denoted context 0002. The collected ceramic fragments are mixed and have a long time range: from IX to XIV century AD (Fig 12-23). Discovered ceramic materials were divided by the fabrics, in two different groups ceramic with small mineral inclusions and big mineral inclusions (Fig 11). Context 0004 is a pit which was cutting the context 0002. The function of the pit is not clear. The pit was filled with the context 0003.

Another area that FAE worked during the season 2019 was the settlement located to the Western side of the Shaori mountain. The settlement was discovered during the survey expedition in 2018. The walls of the site are visible from the surface even though they reach 1.5 m high at some places. It is built by the dry construction system with the volcanic stones from the local area. Nowadays, those stones from the settlement are used by the shepherds. The expedition excavated two trail trenches on the place: one trench (01) was sterile, whereas the second trench (02) revealed very interesting results.

FAE 03 T1. (Fig 24-25) The trench was excavated in the middle of the site (Co: E394610.98/N4592531.49). As we mentioned before, the walls of the settlement are mostly visible from the surface and even the plans of the houses can be observed. In the middle of the site, there is a big platform with many stones and stone mounds on it. We aimed to understand if the settlement was spreading even in the area where the walls cannot be observed. The trail trench 01 on this area was excavated for denoted reasons. The dimensions of the trench were 2.30x1.40 with 0.45 m depth. The trench appeared sterile, it was documented and refilled.

FAE 03 T2. (Fig 26-27) This trench was excavated in one of the buildings of the settlement (Co: E394544.65/N4592586.11). The dimensions were 0.9x2.1 m depth 0.70. The aim of the trail trench was to understand the stratigraphy of the site. In the trench, three contexts were distinguished. With the context 0001, we mention the thin layer on the surface which contains the vegetation and few soil. The context was covering another one, 0002. The context 0002 is a mix layer which contains different materials. As it seems, the layer was created with the construction waste time by time with the disruption of the building.

6 pieces of ceramic were discovered in the trench (Fig 28), all six come from the context 0002. Only two sherds were diagnostic ones and other 4 body fragments. According to the fabric and typology analyses, the general date of the fragment would be I half of the I millennium, Iron Age.

The context 0003 was covered by the construction waste 0002. This layer was brownish, created by the clay, which supposedly might be the floor of the structure. On the layer, several different size stones were situated, most probably the stones of the walls. The excavation could not continue further due to time restriction. As it seemed, the layers continued even under the clay context 0003.

Conclusion

In 2019 season, the survey continued and it revealed many newer archaeological sites. The excavations gave very good results. However, it wasn't possible to finish them in 2019. Hence, they will continue during the 2020 season in order to complete the study of the Kurgan. To sum up, the Paravani lake and the surrounding area is a very interesting territory for archaeological research which gave interesting results and new contribution to the area studies. Therefore, many new research will be conducted and many new results will appear for the Transcaucasian archaeology.

ხელოვნურად დეფორმირებული პრაქტიკის მატარებელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხის შესწავლისათვის

(ადრეული შუასაუკუნეების სამთავროს სამაროვნის მაგალითზე)

თავართქილაძე ნინო,
ივ. ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ninotavartkiladze3@gmail.com

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.5

ხელოვნური დეფორმაციის ჩვეულების პრაქტიკა გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად დაშორებულ მრავალ კულტურაშია გავრცელებული. ყველაზე ადრეული დეფორმაციები ცნობილია ძვ.წ X-IX ათასწლეულში შანიდარის გამოქვაბულიდან (ერაყი) და წინააზიის ზოგიერთი ნეოლითური კულტურებიდან [Trinkaus, Erik. 1982:198-199], ხოლო საქართველოში ყველაზე ადრეული დეფორმაცია გვხდება ძვ.წ მეოთხე ათასწლეულის მეორე ნახევარში (ჭიათურა). ხელოვნური დეფორმაციის პროცენტულად ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირებულია ადრეული შუასაუკუნეების სამთავროს სამაროვანზე (33.3%), რომელთა უმეტესი ნაწილი წრიული დეფორმაციის ვარიანტებითაა წარმოდგენილი. დეფორმაციის წრიული ფორმა მიიღწეოდა თავის ქალას ირგვლივი დაბინტვით.

თავის ქალას ხელოვნურ დეფორმაციებთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს, ესთეტიკურიდან დაწყებული ცრუ მეცნიერული თეორიებით დამთავრებული (რომ ტვინს შეუძლია შეასრულოს გარკვეული ტიპის აზროვნება მისი ფორმიდან გამომდინარე). ერთ-ერთი თანამედროვე თეორიის თანახმად, დეფორმაციას ახორციელებდნენ, მეტწილად, გარკვეული ჯგუფის, ტომის ან ელიტარული სოციალური სტატუსის აღსანიშნავად. ამ მოვლენის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უძველესი მიგრაციების მარკერად ითვლება და, მაშასადამე, იმ მოსახლეობებს შორის ნათესაურ კავშირებს აღნიშნავს, რომელნიც ეწეოდნენ ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით პარიეტალური (თხემის) და ფრონტო-ოსიპიტალური (შუბლ-კეფის) დეფორმაციების ჩვევა, როგორც ჩანს, ეთნიკური ხასიათისაა.

თავის ქალას ხელოვნურ დეფორმაციასა და დეფორმანტთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთგვარი შეხედულება არ არსებობს.

ზოგის აზრით, ანატომიური თვალსაზრისით ხელოვნური დეფორმაცია იწვევს თავის გრძივი დიამეტრის შემცირებას და თავის სიმაღლის მნიშვნელოვან ზრდას, ხოლო თავის ქალას ფორმის ცვალებადობა არ იწვევს მოცულობის შეცვლას. მაშასადამე, დეფორმაცია არ იწვევს თავის ტვინის ფუნქციების დარღვევას, რადგან მისი მთლიანობა არ ირღვევა. დეფორმანტებს არ აღენიშნებათ შიდა წნევისა და სისხლის მიმოქცევის პათოლოგია.

XX საუკუნის 70-იან წლებში ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული იყო თავის ქალას წრიული დეფორმაციების სპეციალური კვლევა. ხორეზმისა და ვოლგისპირეთის აღმოჩენებზე დაყრდნობით, მკვლევრები თვლიან, რომ თავის ქალას წრიული დეფორმაცია არ იწვევს ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციების რაიმე სერიოზულ დარღვევებს. ამავე დროს, აღნიშნავდნენ, დეფორმაციის შედეგად იცვლება თურქული კეხის დახრის კუთხე

(სადაც ჰიფობიზია, რომელიც არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, ჰორმონების მოქმედებას, ნერვიულ სისტემას), რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სუსტად გამოხატული ეპილეფსია.

სხვათა აზრით, თავის ქალას ძლიერმა დეფორმაციამ შესაძლოა გამოიწვიოს თავის ქალას შიდა წნევა და ამის შედეგად ნერვიული სისტემის მოშლა. მაშასადამე, ასეთ შრომატევად და საფრთხის შემცველ კულტურულ ინოვაციას უნდა ჰქონოდა არსებობის მეტად მყარი საფუძველი. დღემდე გაურკვეველია ის სერიოზული მოტივები, მრავალგზის რატომ უბრუნდებოდა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი, სხვადასხვა დროს ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკას. იგი არქაულ საზოგადოებაშივე იყო მიღებული, განსხვავებული ფორმითა და სახით. დროდადრო მივიწყებული დეფორმაციის პრაქტიკა სპორადიულად ცოცხლდებოდა,წარუშლელი“.

ე. ჟიროვის მიერ შემოთავაზებული მეთოდი (1940) განიხილავს მორფოლოგიურ ნაირსახეობებს, რომლებიც განპირობებულია განზრახ ან განუზრახავი დეფორმირებით. იმის მიხედვით თუ თავის რომელ უბანზე აღინიშნებოდა ზეწოლა, მან გამოყო 4 შემდეგი ტიპის დეფორმაცია:

1. კეფის (Occipitale) დეფორმაცია წარმოიქმნება ბავშვის ხანგრძლივი დროით ზურგზე წოლის შედეგად. ამ ტიპის დეფორმაციას აკავშირებენ ბავშვის აკვანში გაზრდის ტრადიციასთან, როდესაც ბავშვის თავი თავისუფალია და დეფორმირდება საკუთარი თავის სიმძიმით. მორფოლოგიურად ამ ტიპს ახასიათებს კეფის ძვლის ასიმეტრია და შებრტყელება, ტვინის ქალას კომპენსატორული გაფართოება და თავის ქალას სიგრძის შემცირება, ხოლო შუბლის ძვალის აგებულება უცვლელი რჩება. ასეთი ტიპის თავის ქალები ფართოდაა გავრცელებული და ხასიათდებიან ბრაქიკრანიით.

2. შუბლ - კეფის (Fronto- occipital) დეფორმაცია გამოწვეულია აკვანში ბავშვის თავის დაფებით ან სახვევებით დაფიქსირებით. წინა დეფორმაციის ტიპისგან განსხვავებით აქ ხორციელდება ორმხრივი ზეწოლა შუბლიდან კეფაზე და პირიქით .

3. თხემის (Parietale) დეფორმაცია მიიღწევა ბრეგმის უკან თავის ქალასარქველის სიმაღლის შემცირებით. ამას აღწევდნენ თხემზე დაფის სახვევით მიმაგრებით, რომელიც ნიკაპის ქვეშ იკვრებოდა. ამ ზეწოლით თხემის ძვლების თაღი მცირდება, ხოლო შუბლის და კეფის დახრა იზრდება .


4. ცირკულარული ანუ რკალისებრი (Circular) (ტაბ.I) დეფორმაცია განპირობებულია სარტყელივით გადანაწილებული ზეწოლით, რომელიც თავს ბოჭავს ყველა მიმართულებით. შედეგს აღწევენ მჭიდრო სახვევით ან თავსაბურავით. განარჩევენ ცირკულარული დეფორმაციის ორ ტიპს: მაღალს ანუ მაკროკეფალიას, რომელსაც იწვევს შუბლ-კეფის ზეწოლის სარტყელი და დაბალს, როდესაც თავზე მჭიდრო სახვევი ფარავს თხემ - ქვედა ყბას . თუმცა არსებობს მათ შორის გარდამავალი ფორმებიც.

ჟიროვი აღნიშავდა, რომ დეფორმაცია, როგორც წესი, მთავრდება თავის ზრდის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე. ორგანოები და ქსოვილები, რომლებიც კვლავ უბრუნდება განვითარების ნორმალურ პირობებს, მიისწრაფვის აღიდგინოს შესაბამისი ფორმა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბავშებში ეს დეფორმაციები ნაკლებადაა გამოხატული ვიდრე ზრდასრულებში.

ნეუმანი (Newman 1942) გვთავაზობს თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის შვიდ სახეობას (ტაბ. II).



ტაბ. I Tab.



ტაბ. II Tab.

1 - ობელიონის დეფორმაცია (ობელიონი- კრანიომეტრული წერტილი საგიტალურ ნაკერზე, თხემის ხვრელებს შორის) ამ ტიპში პარიეტალურ და ტემპორალურ რეგიონებში მოქცეული ტვინის ქალა არის გაფართოებული ბრეგმას და ლამბდას შორის.

2 - ლამბდოიდური დეფორმაცია - კეფის დეფორმაცია ვლინდება 50-60 გრადუსიანი ყური-თვალის კუთხით.

3 - მარტივი კეფის დეფორმაცია. ნეუმანი ვარაუდობს, რომ ეს ალბათ შემთხვევითი არ არის, ეს ტიპოლოგია დაკავშირებულია აკვანთან [Ortner 2003, Dingwall 1931].

4 - შუბლ-კეფის დეფორმაცია- ორმხრივი დაბრტყელებით ვიღებთ ვიწრო შუბლის ძვალს.

5 - ფრონტალურ-ვერტიკალური კეფის დეფორმაცია. გამოხატული კეფის ძვლის დაბრტყელებით.


6 - ფრონტო-პარიეტალური დეფორმაცია - ამ ტიპში სამი სიბრტყე არის დაბრტყელებული თითქმის სწორი კუთხით. წინა ტიპისგან იმით განსხვავდება, რომ კრანიალური განვითარება შეფერხებულია ზედა პარიეტალურ ნაწილებში, რომელიც იწვევს კომპენსატორულ განვითარებას გვერდითი მიმართულებით.

7 - პარალელური შუბლ-კეფის დეფორმაცია - ამ ტიპში ნეუმანი გვთავაზობს, რომ კეფის მიდამოს განვითარება დამოკიდებულია კეფის ფუძის ბალიშების შერევაზე ისე, რომ შეიქმნას შუბლის ძვლის განვითარების უხეში პარალელიზმი. თავის ქალას ლატერარული განვითარება, როგორც კომპენსაციის შედეგი.

სამთავროს სამაროვანი კვლევისათვის ორი ფაქტორის გამოა მნიშვნელოვანი, პირველი-ადრეულ შუასაუკუნეებში დეფორმირებული თავის ქალას რაოდენობა მატულობს; მეორე - იგი ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრი და დედაქალაქია (ახ. წ. VI საუკუნემდე), თუმცა სამთავროს სამაროვანი განათხარი მასალის მიხედით VIII საუკუნეშიც ფუნქციონირებდა. იგი მდებარეობს (ტაბ. III) მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქ მცხეთის ფარგლებში. ნაშრომის მთავარი ამოცანაა დადგინდეს ხელოვნურად დეფორმირებული პრაქტიკის მატარებელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა. თუმცა დნმ-ის გარეშე მოსახლეობის ზუსტი ეთნოსის განსაზღვრა რთულია. შევეცდებით, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით (ისტორიული, არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური შესწავლის საფუძველზე) განვსაზღვროთ სამთავროს დეფორმირებული პრაქტიკის მატარებელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა.

ადრე შუასაუკუნეების სამთავროს სამაროვანზე გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხები, რომლებიც საკმაოდ საინტერესო ასპექტს წარმოადგენს დეფორმანტთა წარმომავლობის საკითხისთვის. სამთავროს სამაროვანზე გვხდება 12 (N 2, 7, 8, 12, 13, 187, 292, 298, 432, 38, 122) კოლექტიური სამარხი, საიდანაც 9 (N 2, 7, 8, 12, 13, 187, 298, 432, 292) სამარხში ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალებია აღმოჩენილი. სამარხი N7 (სამარხის ტიპი უცნობია) - დაკრძალულია 2 მამაკაცი, რომელთაგან ერთს (1603) ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალა აქვს, ხოლო მეორეს ნორმალური, სამარხი მდებარეობს XCVI ნაკვეთში. სამარხი N298 (ქვასამარხი)- დაკრძალულია ორი ქალბატონი, მათგან ერთს (1882) ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალა აქვს, ხოლო მეორეს ნორმალური. სამარხი N432 (ორმოსამარხი) წარმოდგენილია ერთი მამაკაცითა და ერთი ქალბატონით, ორივე მათგანს თავის ქალას განზრახ დეფორმაცია აღენიშნებათ. სამარხი N187 (ქვაყუთი)-

7 მიცვალებულია დაკრძალული, მათ შორის 2 წევს გულაღმა გაშოტილი, დანარჩენ მიცვალებულთა ძვლები არეულია, ანთროპოლოგიის ლაბორატორიაში არსებულ დავთრებში 7 მიცვალებულიდან აღნიშნულია 5 თავის ქალა (1590, 1591, 1638, 1639, 1640), საიდანაც 2 ბავშვია (N1590, 1591), 2 ქალბატონი (N1638, 1639), ერთი მამაკაცი (N1640). მათგან დეფორმაცია აღენიშნება მხოლოდ ერთ ქალბატონს (1638). სამარხი N13 (1609, 1614, 1615) - დაკრძალულია 3 ინდივიდი - ორი მამაკაცი (1614, 1615) და ერთი ქალბატონი (1609), დეფორმაცია აქვს მხოლოდ ერთ მამაკაცს (1614). სამარხი N12 (თიხის ფილასამარხი) წარმოდგენილია 4 ინდივით, აქედან 2 ქალბატონია (1613,1612), ერთი მამაკაცი (1645) და ერთი ბავშვი (1647), დეფორმაცია აქვს მხოლოდ ორ მათგანს, ქალბატონს(1613) და ბავშვს. სამარხი N2 (თიხის ფილასამარხი) წარმოდგენილია 2 ქალბატონით (1608,1620), დეფორმაცია აქვს 1 ქალბატონს (1620).



ტაბ. III Tab.

სამარხი N8 (ქვასამარხი) წარმოდგენილია 2 მამაკაცით (1504, 1607) და ერთი ქალბატონით (1503), დეფორმაცია აქვს მხოლოდ ქალბატონს. სამარხი N13 (ქვასამარხი) წარმოდგენილია 2 მამაკაცით (1614, 1615), რომელთაგან მხოლოდ ერთ მამაკაცს (1614) აქვს დეფორმაცია. სამარხი N292 (ქვასამარხი) წარმოდგენილია ორი მამაკაცით (1794,1872), მათ შორის მხოლოდ ერთ მამაკაცს აქვს დეფორმაცია (1794). უნდა აღინიშნოს, რომ თავის განზრახ დეფორმაციის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს და კერძოდ მცხეთის მოსახლეობაში. წარმოდგენილი მონაცემებიდან არ იკვეთება სტატისტიკურად დამაჯერებელი კავშირი სამარხის ტიპსა და მათში დაკრძალულ ხელოვნურად დეფორმირებული თავის მქონე ინდივიდთა შორის.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალები არანაირად არ განსხვავდება არადეფორმირებული თავის ქალების-

გან. მეცნიერთა მოსაზრება, რომ დეფორმანტები მაღალი სოციალური სტატუსის წარმომადგენლები არიან, სამთავროს სამაროვნის მიხედვით არ დასტურდება, რადგან მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ინდივიდებს ატანდნენ შესაბამისად მდიდრულ ინვენტარს, ხოლო სამთავროს სამაროვანზე ინვენტარის მიხედვით არანაირი განსხვავება არ შეიმჩნევა(ტაბ.IV,V). გარდა ამისა, თუ ისინი ელიტარული ფენის ან სხვა ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ, უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალულნი სხვა წესით ან მათი სამარხები იზოლირებული უნდა ყოფილიყო იმ სამარხებისგან, რომელშიც არ იყვნენ დაკრძალულნი დეფორმანტები, დაკრძალვის წესი კი ყველგან იდენტურია. რაც შეეხება მათ იზოლირებულად დაკრძალვას, არც ეს ფაქტი ფიქსირდება სამთავროს სამაროვანზე. მაგალითად სამარხები N7, 8, 12, 13, 187 ჩრდილოეთ უბანშია განთავსებული, სადაც ასევე არადეფორმანტთა სამარხებიცაა. მათი განსხვავებულობა არც სამარხის ტიპში ჩანს. დეფორმანტები დაკრძალულნი არიან ოთხივე (თიხის ფილასამარხი, ორმოსამარხი, ქვაყუთი, ქვასამარხი) ტიპის სამარხში. რაც შეეხება კოლექტიურ სამარხებს, ასეთ სამარხებში ბუნებრივია იკრძალებოდნენ ერთი ოჯახის წარმომადგენლები (ცხრ.1).



ტაბ. IV Tab.



ტაბ. V Tab.


ცხრილი 1.

თავის ქალას N	სქესი	ასაკი	სამარხის N	გათხრის წელი	სამარხის ტიპი	დეფ/ ნორ	პერიოდი
1503	F	50-55	8	1976	ქვასამარხი	დეფ	IV-V
1504	M	45-50	8	1976	ქვასამარხი	ნორმ	IV-V
1590	InF		187	1976	ქვაყუთი		
1591	InF		187	1976	ქვაყუთი		
1602	F		7	1976			IV-V
1603	F	30-35	7	1976		დეფ	IV-V
1607	M	55-60	8	1976	ქვასამარხი		IV-V
1608	F		2	1976	თიხის ფილასამარხი		IV-V

1609	F	40-45	13	1976	ქვასამარხი		IV-V
1610	M		38	1976	ორმოსამარხი		IV-V
1611	M	60-65	38	1976	ორმოსამარხი		IV-V
1612	F	25-30	12	1976	თიხის ფილასამარხი		IV-V
1613	F	25-30	12	1976	თიხის ფილასამარხი	დეფ	IV-V
1614	M	45-50	13		ქვასამარხი	დეფ	IV-V
1615	M	30-35	13		ქვასამარხი		IV-V
1620	F	40-45	2	1976	თიხის ფილასამარხი	დეფ	IV-V
1633	F	30-35	122		ქვასამარხი		IV-V
1634	M		122		ქვასამარხი		IV-V
1638	F	20-25	187		ქვაყუთი	დეფ	IV-V
1639	F	45-50	187		ქვაყუთი		IV-V
1640	M	40-45	187		ქვაყუთი		IV-V
1645	M	60-65	12	1976	თიხის ფილასამარხი		IV-V
1647	CH		12		თიხის ფილასამარხი	დეფ	IV-V
1794	M	60-65	292	1977	ქვასამარხი	დეფ	VI-VIII
1872	M	45-50	292	1978	ქვასამარხი		VI-VIII
1876	M	30-35	432	1978	ორმოსამარხი	დეფ	
1877	F	30-35	432	1978	ორმოსამარხი	დეფ	
1882	F	50-55	298	1978	ქვასამარხი	დეფ	
1883	F	20-25	298	1978	ქვასამარხი		

შესაბამისად, თუ ეს ფენომენი ელიტარულ ფენას უკავშირდება, დეფორმაცია უნდა ჰქონოდა კოლექტიურ სამარხში დაკრძალულ ყველა მიცვალებულს, რადგან ელიტარული ფენა არ ქორწინდებოდა შედარებით დაბალ სოციალურ ფენაზე. ამიტომ, ჩემი აზრით, დეფორმაციის პრაქტიკა დაკავშირებული არ უნდა იყოს მაღალ სოციალურ სტატუსთან. საინტერესოა რატომ მიმართავდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დეფორმაციის პრაქტიკას. თუ ისინი არ განეკუთვნებოდნენ მაღალ სოციალურ ფენას, და თანაც ოჯახის ყველა წევრს არ ჰქონდა ეს პრაქტიკა, შესაძლოა დეფორმაციის მქონე მოსახლეობა მიგრანტები იყვნენ. ვინაიდან დეფორმაციის პრაქტიკა ხორციელდებოდა დაბადებიდან 4 წლამდე, ანუ ეს სულაც არ იყო მათი გადაწყვეტილება, დეფორმაციას უკეთებდნენ მშობლები. ამ მხრივ საინტერესოა სამარხი N12, სადაც დეფორმაცია მხოლოდ ქალს და ბავშვს აქვს. სამარხში ასევე დაკრძალულნი არიან არადეფორმირებული მამაკაცი და ქალი. შესაძლოა დეფორმანტი ქალი სხვა ეთნოსის წარმომადგენელი იყო, რომელიც დეფორმაციის პრაქტიკის მატარებელი იყო და შესაბამისად მანაც გაუკეთა დეფორმაცია ბავშვს.


ისტორიულად დამტკიცებულია, რომ სამეფო და მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალები ხშირად ქორწინდებოდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგენლებზე. გიუჩარდი და კავილიერი აღნიშნავენ, [Giuchard et al:1996: 338] რომ „ეგზოგამიის პრაქტიკა აუცილებელი იყო ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური გაფართოებისა და სოციალური ერთობისთვის. შერეული ქორწინებები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პოლიტიკურ მოტივებში“. თავის ქალას ხელოვნური დეფორმაცია მუდმივ კვალს ტოვებს გარეგნობაზე და ეს განსხვავებული ფორმა მიგრანტი ქალებისთვის ბავშვობის მუდმივი შეხსენება იქნება, ამასთან მომავალში გახდება მათი წარმომავლობის მტკიცებულება. მიუხედავად მათი უცხო წარმომავლობისა, ისინი იკრძალებოდნენ, როგორც ადგილობრივები, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებით და ადგილობრივი სამარხეული ინვენტარით. თუმცა მათი განსხვავებული თავის ქალა გამოარჩევს ადგილობრივი მოსახლეობისგან. სწორედ ამიტომაა თავის ქალას ხელოვნური დეფორმაცია წარუშლელი მარკერი. ამიტომაც,თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის შედეგად სხეული შესაძლოა გახდეს ეთნიკური ან სათემო იდენტობის სიმბოლო. [Blom2005] ამ მოსაზრებას ამყარებს სამარხი N 432, სადაც დაკრძალულნი არიან ქალი და მამაკაცი და ორივეს აქვს დეფორმაცია. ასევე სამარხი N 8, სადაც დაკრძალულნი არიან ორი მამაკაცი და ერთი ქალბატონი და მათგან მხოლოდ ქალს აქვს დეფორმაცია, შესაბამისად, შესაძლოა დეფორმანტი ქალი ყოფილიყო სხვა ეთნოსის წარმომადგენელი.სამარხი N187 - დაკრძალულია 5 ინდივიდი, აქედან 2 ჩვილი, 2 ქალი და ერთი მამაკაცი, დეფორმაცია აქვს მხოლოდ ერთ ქალბატონს, ამიტომ შესაძლებელია ეს ქალბატონი მიგრანტი ყოფილიყო. თუმცა სამარხებში N 292, 298, 13, 7, 2 დაკრძალულნი არიან წყვილ-წყვილად ერთი სქესის წარმომადგენლები და ყველა მათგანში მხოლოდ ერთ ინდივიდს აქვს დეფორმაცია.



ტაბ. VI Tab.

მაგალითად სამარხი N 292, რომელშიც დაკრძალულია ორი მამაკაცი, მხოლოდ ერთს აქვს დეფორმაცია. მიგვაჩნია, რომ ეს სამარხები ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას მათი სხვა ეთნოსის წარმომავლობაზე და შერეულ ქორწინებაზე, რადგან სამარხში სადაც კრძალავდნენ 2 მამაკაცს ან ორ ქალს და აქედან დეფორმაცია აქვს მხოლოდ ერთ მამაკაცს და მეორე შემთხვევაში მხოლოდ ერთ ქალს, ისინი ვერ იქნებოდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგენლები. სხვა ეთნოსის შემთხვევაში ვფიქრობ ორივე ქალბატონს ან ორივე მამაკაცს უნდა ჰქონოდა დეფორმაცია. თუმცა თუ მართებულად მივიჩნევთ ფაქტს, რომ დეფორმაციის მატარებლები განეკუთვნებოდნენ სხვა ეთნოსს, ჩნდება შეკითხვა, საიდან უნდა მოსულიყვნენ ისინი. არსებობს მოსაზრება, რომ ადრეშუასაკუნეებში გავრცელებული დეფორმაციები დაკავშირებულია ჰუნებთან (ტაბ.VI).

ჰუნები ჩვილებს ხშირად უკეთებდნენ თავის ქალას ხელოვნურ დეფორმაციას, ზოგჯერ ასეთი ფაქტები შეინიშნებოდა მათი ძალაუფლების ქვეშ მყოფ სხვა ტომებშიც. თავის ქალას დეფორმაციის ცირკულარული (წრიული) ტიპით დადგენილია ის გზა, რომელიც ჰუნებმა გაიარეს ჩინეთიდან შუა აზიისა და სამხრეთ რუსეთის სტეპებამდე (ტაბ.VII). ხელოვნურად დეფორმირებული V-VI საუკუნის თავის ქალები აღმოჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთ უნგრეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა ნაწილებში.



თავის ქალას ხელოვნური დეფორმაცია აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. ჰუნების ექსპანსიის შემდეგ დეფორმაციის ცირკულარული ტიპი ჩნდება კავკასიის ტერიტორიაზეც. მაგრამ უფრო ადრეული ნიშნები დაფიქსირებულია მდინარე დონის მიდამოებში. დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი IV საუკუნემდე.

ტაბ. VII Tab.

მნიშვნელოვანია, რომ თავის ქალათა აბსოლუტური უმრავლესობა ევროპეიდული რასის ადამიანების იყო და არცერთი მათგანი არ ყოფილა მონღოლოიდური ტიპის. თავის ქალები შეიძლება ეკუთვნოდეთ გერმანულ ან სხვა ტომებს, რომელთა მშობლებიც ჰუნთა ტრადიციის დანერგვით ცდილობდნენ თავიანთი სტატუსი აე-

მაღლებინათ. პირველი მკაფიო მითითება, რომელიც არქეოლოგიურ ჩანაწერებში გვხვდება ჰუნების კულტურულ გავლენაზე არის ე.წ. ხელოვნური დეფორმაციის ჰუნური ტიპი. ჰუნური ტიპის დეფორმაციის პრაქტიკამ შექმნა მკაფიო ფიზიკური განსხვავება ელიტარულ ფენასა და ჩვეულებრივ მოსახლეობას შორის. ამგვარად, ვინც ჰუნური დეფორმაციის პრაქტიკას მიმართავს, აშკარად ცდილობს მიბაძოს მათ. ეს პრაქტიკა, ისევე როგორც ჰუნური შტრიხები, უმეტესად წარმოდგენილია დუნაის რეგიონში. მაგალითად ატილას მმართველობის პერიოდში დუნაის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მეომრების საფლავები. რუგები (აღმოსავლეთ გერმანიაში მცხოვრები ხალხი) და მათი მეზობლები, ტურინგები (ცენტრალური აღმოსავლეთი გერმანია) და ლობრადები ასევე მიმართავდნენ ჰუნური დეფორმაციის პრაქტიკას. (The Huns, Hyun Jin Kim, p-142-143) ტორეს რუფი აღნიშნავს, რომ II საუკუნის შემდეგ, ჩნდება ცირკულარული დეფორმაცია, სწრაფად ვრცელდება ევრაზიის სტეპებში და ხდება დომინანტური ფორმა, ანაცვლებს კეფის ტიპის დეფორმაციას. წრიული დეფორმაციის გამოჩენა დაკავშირებული უნდა იყოს ჰუნებთან. ჰუნებმა იმოგზაურეს ჩრდილოეთ ჩინეთიდან ცენტრალური აზიის სტეპების მიმართულებით და ასევე სამხრეთი რუსეთის სტეპებში. წრიული დეფორმაციის ტიპი, როგორც ჰუნების ეთნიკური ატრიბუტი, პირველად ჩნდება ცენტრალურ აზიაში პირველი საუკუნეების ბოლოს. სამხრეთი რუსეთის სტეპებში მცხოვრებ ხალხებს არ ჰქონდათ მოდიფიკაციის პრაქტიკა ადრე რკინის პერიოდში მანამ, სანამ ჰუნები არ გამოჩნდნენ. პირველ საუკუნეში, მას შემდეგ რაც ჰუნები გამოჩნდნენ ევრაზიაში, ცირკულარული ფორმა ვრცელდება ურალის მთიანეთიდან დუნაიმდე. სწორედ ეს არის ჰუნების გადაადგილების მტკიცებულება. სტეპების მოსახლეობის დაახლოებით 80%, რომლებიც სხვადასხვა ეთნოსის მომთაბარე ტომებს შეადგენდნენ, მიმართავდნენ თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის ზუსტად ანალოგიურ პრაქტიკას [Tot and Firstein:1976]. ადამიანები, მიუხედავად თავიანთი გენეტიკური წარმომავლობისა და ადგილობრივი ჩვეულებებისა, ცდილობდნენ მიებაძათ დამპყრობლებისთვის. დამპყრობლები გახდნენ პრესტიჟული ჯგუფი სტეპებში და ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელთაც სურდათ მიებაძათ მათთვის არა მარტო კულტურულ ასპექტში, არამედ გარეგნობითაც. აქედან გამომდინარე, ცირკულარულმა დეფორმაციამ, რომელიც წარმოიშვა როგორც კონკრეტული ელემენტი ჰუნების კულტურაში, დროთა განმავლობაში დაკარგა თავისი ეთნიკური შინაარსი. თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკა, ამ შემთხვევაში, იყო პასუხი საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე, რომელიც უკავშირდებოდა ახალ პოლიტიკურ ძალას. თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკა რეაგირებას ახდენს ფართო სოციალურ და პოლიტიკურ ატმოსფეროში ისე, რომ განიხილოს სხეულის მოდიფიკაციაში არსებული კულტურული ნიმუშები?

თავის ქალას ხელოვნური დეფორმაციის ტიპები განსხვავდება გეოგრაფიული არეალის მიხედვით. სხვადასხვა გეოგრაფიულ ტერიტორიაზე დეფორმაცია განსხვავებულად მიიღწეოდა. მაგალითად ანდებში და ევრაზიის სტეპებში არსებული დეფორმაცია რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ანდებში არ ფიქსირდება პარიეტალური დეფორმაციის ტიპი. სამხრეთ ამერიკაში დეფორმაციის მისაღწევად იყენებდნენ სპეციალურ დაფას, ხოლო ასეთი ფაქტი არ ფიქსირდება ევრაზიის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ ხელოვნურად დეფორმირებულ თავის ქალებს დავუკავშირებთ ჰუნებს, საჭიროა იმის მტკიცებულებაც, იყვნენ თუ არა ჰუნები კავკასიის ტერიტორიაზე. ქართლში ვითარება

რადიკალურად იცვლება V საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ქვეყანას სათავეში უდგება ვახტანგ გორგასალი. მისი მეფობის დასაწყისში ქართლში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო. იმ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ჰუნები ადვილად ახერხებენ კავკასიის გადმოსასვლელების გადმოლახვას და იწყებენ თარეშს ქართლსა და სომხეთში. ვახტანგ გორგასალი წაყვანილი იყო შაჰანშა პეროზის (459-484) წწ.) მიერ, რომელმაც თავისი მეფობის დასაწყისისთანავე განაახლა ომი ჰუნებთან. წიგნში „ჰუნები“ ჰიუნ ჯინ კიმი წერს : - „აღმოსავლეთი რომის ელჩმა პრობუსმა, მიმართა უტიგურებს (მომთაბარე ტომები კასპიის სტეპებში), დახმარებოდა კონსტანტინოპოლის კავკასიელ მოკავშირეებს სპარსელების დამარცხებაში. უტიგურებმა აღმოსავლეთ რომაელების ნაცვლად დაიქირავეს ჯარისკაცები კავკასიის ჰუნებიდან, რომლებიც გააგზავნეს ლაზიკაში (დასავლეთ საქართველო), რათა დახმარებოდნენ იბერიის მეფე გურგენს“ (Hyun Jim Kim.2016:119). აქედან გამომდინარე, მტკიცდება ჰუნების კონტაქტი საქართველოში. ვინაიდან ნახსენებია იბერიის მეფე გურგენი და დაპირისპირება სპარსელებთან, შესაბამისად საუბარია VI საუკუნეზე. სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩენილ დეფორმირებულ თავის ქალათა უმეტესობა კი IV-VI საუკუნეებით თარიღდება, რომელნიც წრიული დეფორმაციის (ტაბ. VIII) სხვადასხვა ვარიაციებს წარმოადგენენ. შესაბამისად, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი თავის ქალები უფრო ადრეულია,ვიდრე ჰუნების გამოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ, ჩვენი აზრით საქართველოს ტერიტორიაზე მოდიფიცირებული თავის ქალები არ უნდა იყოს დაკავშირებული ჰუნებთან. თუმცა, სამთავროს ტერიტორიაზე გვხვდება წრიული დეფორმაციის სხვადასხვა ვარიაციები, რომელსაც შესაძლოა სხვადასხვა ჯგუფი ასრულებდა. ვინ იყვნენ ეს ჯგუფები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, თუმცა არსებობს მტკიცებულება, რომ ალანები ნამდვილად იმყოფებოდნენ მცხეთის ტერიტორიაზე. ეს ფაქტი აღწერილია ისტორიულ ქრონიკებში, ცნობილია, რომ ფარნავაზ I და მისი ვაჟი საურმაგი (299-159) ალანების მოკავშირეები იყვნენ. ალანები თავის ქალას მოდიფიკაციას მიმართავდნენ მანამ, სანამ ჰუნები გამოჩნდებოდნენ ევროპაში, რაც აძლიერებს მოსაზრებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოდიფიკაციის პრაქტიკა, შესაძლოა, ალანებისგან გავრცელებულიყო. სტრაბონი და პლინიუსი ასევე აღწერენ სარმატებს, რომელნიც მჭიდრო კავშირში



ტაბ. VIII Tab.

იყვნენ საქართველოს მეფეებთან და გაუწიეს დახმარება რომთან და სომხებთან ბრძოლაში. ეს ისტორიული ცნობები შესაძლოა გამოდგეს იმის არგუმენტად, რომ მომთაბარე ტომებმა, როგორიც იყვნენ ალანები და სარმატები, დაამკვიდრეს მოდიფიკაციის პრაქტიკა. თუმცა სულაც არაა აუცილებელი, რომ ის ვინც ამ პრაქტიკას მიმართავდა აუცილებლად უნდა ყოფილიყო სარმატული ან ალანური წარმოშობის. შესაძლოა, ეს უბრალოდ მიმბაძველობა იყო. ზოგადად, ყველა ადამიანი ცდილობს, მიბაძოს სხვას, ან აითვისოს ისეთი რამ, რაც მისი საზოგადოებისათვის უცხო და განსხვავებულია. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ სამთავროს სამაროვანზე მცხოვრებმა საზოგადოებამაც ეს პრაქტიკა უბრალოდ მომთაბარე ტომებისგან აითვისა. [Mayall et al:2017].



ტაბ. VIII (2) Tab.

სამთავროს სამაროვანზე დაკრძალულთა შორის დიდი რაოდენობით აღინიშნება ზოგიერთი ფიზიოლოგიური სტრესის მარკერი, როგორც დეფორმირებულ თავის ქალებზე, ასევე ნორმალურებზე. განსაკუთრებით მაღალია ჰიპეროსტოზი კეფის ძვალზე , თხემზე , წარბზედა რკალზე . თვალის ჰიპეროსტოზი -Cribra orbitalia შემთხვევაში ვლინდება, ისევე, როგორც ფორთოხლის ქერქის სინდრომი. ფორთოხლის ქერქის სინდრომი თავს იჩენს სიცივის სტრესის შედეგად. Cribra orbitalia- თვალბუდის შიგნითა ზედა მხარეს პათოლოგიური-ჰიპეროსტოზული ცვლილებაა. ჰიპეროსტოზი ხშირად კვებითი სტრესის შედეგია და დაკავშირებულია რიგ დაავადებებთან, როგორიცაა მალარია და სხვადასხვა ანემიები. ქრონიკული კვებითი სტრესის დროს, ორგანიზმი რკინისა და ისეთი მიკროელემენტების უკმარისობას განიცდის როგორიცაა: - Mg, Zn, Cl (Brothwell and all,1961). ეს მარკერი აგრეთვე ვლინდება გადატანილი ინფექციური დაავადებების სიჭარბისა და არახელსაყრელი სოციალური ფაქტორების (უმოქმედობა, ანტისანიტარია და სხვა) დროს. ჰიპეროსტოზების ასეთი მაღალი სიხშირე მოსახლეობაში მრავალი ნეგატიური ფაქტორის არსებობაზე მიუთითებს. იმავე თავის ქალებზე ფიზიოლოგიური სტრესის ინდიკატორების შესწავლისას ცალკე აფიქსირებენ დისკრეტულად ვარირებულ (ეპიგენეტიკურ) ნიშნებს. დისკრეტულად ვარირებული ნიშნების ცვალებადობა ეთნიკური ანთროპოლოგიის, პოპულაციური გენეტიკისა და რასათმცოდნეობის საერთო საკითხების დამუშავებისას კრანიოლოგიური მონაცემების გამოყენების საშუალებას იძლევა. თავის ქალაზე ასეთი გენეტიკური ნიშანია Sutura metopica. Sutura metopica- მეტოპიური ნაკერი, რომელიც შუბლის ძვლის შუა ხაზზე გადის. [ლალიაშვილი შ.2009:25]. დისკრეტულად-ვარირებული ნიშნებიდან სამთავროს სამაროვნის დეფორმანტებში ძალიან მაღალი სიხშირით აღინიშნება მეტოპიური ნაკერი (28%). ეს ფაქტი მიუთითებს, რომ გამოკვლეულ დეფორმანტთა შორის, შესაძლოა, ახლო ნათესავების დიდი რაოდენობა იყოს ჩართული. სხვა

ანომალიებიდან ხშირია ჩართული ძვლები: Os. Incae bipartitum, Os. triquetrum, გვირგვინოვან და საგიტალურ ნაკერში.

ფიზიოლოგიური სტრესის მარკერებისა და ეპიგენეტიკური ნიშნების შესწავლის ფონზე, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ხელოვნური დეფორმაციის მიმდევრები და ნორმალური ინიდივიდები ერთსა და იმავე ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრობდნენ, მეტ-ნაკლებად ერთნაირი კვების სისტემითა და ცხოვრების წესით.

ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემების შეჯერების ფონზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამთავროს სამაროვანზე დაკრძალული მოსახლეობა, რომელიც ხელოვნური დეფორმაციის პრაქტიკას მიმართავდა, არ უნდა ყოფილიყო სხვა ეთნოსის წარმომადგენელი. სხვა ეთნოსის შემთხვევაში დაკრძალულნი იქნებოდნენ განსხვავებული წესით, ან არ იქნებოდნენ დარკძალულნი კოლექტიურ სამარხებში არადეფორმანტებთან ერთად და, რაც მთავარია, არ იქნებოდა მეტოპიური ნაკერის ასეთი მაღალი პროცენტი.

ტაბულების აღწერილობა

1. ცირკულარული დეფორმაციის ტიპი;
2. ნეუმანის კლასიფიკაცია;
3. სამთავროს სამაროვნის მდებარეობა;
4. სამთავროს სამაროვნის ინვენტარი
   (დეფორმანტთა შემცველი სამარხებიდან);
5. სამთავროს სამაროვნის ინვენტარი
   (ნორმალური თავის ქალების შემცველი სამარხებიდან);
6. თავის ქალას ჰუნური ტიპი;
7. ჰუნების ექსპანსია;
8. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი დეფორმაციის წრიული ტიპი;

გამოყენებული ლიტერატურა

აბდუშელიშვილი, მ. (1976). კრანიოლოგია.თბილისი.

ბითაძე, ლ., ცეცხლაძე, ო., ლალიაშვილი, შ., ჭკადუა, მ., კაკაბაძე, ე. (2014). პრაქტიკული ანთროპოლოგია. სახელმძღვანელო. თბილისი.

ლალიაშვილი, შ. (2009). „ფიზიოლოგიური სტრესის“ მარკერების გავრცელება საქართველოს მოსახლეობაში უძველესი დროიდან დღემდე და ცხოვრების დონის რეკონსტრუქცია. თბილისი

საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I, გვ. 47

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, „დიდი მცხეთა“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

ნიკოლაიშვილი, ვ. (1955). მცხეთა I. თბილისი.

ნიკოლაიშვილი, ვ. (1976). მცხეთა II. თბილისი.

Ashley-Montagu, M. F.(1937). The medio-frontal suture and the problem of metopizm in the

primates. J. Roy Anthrop. Inst. Vol.67.

Khudaverdyan, A. (2011). Trepanation and artificial cranial deformations in ancient Armenia, Anthropological review, Volume 74.N, p.39-55.

Torres-Rouff, C. (2005). Cranial vault modification as a cultural artifact: a comparison of the Eurasian steppes and the Andes, Journal of Comparative Human Biology, p.1-16.

Cook, D.C. (1984). Subsidence and health in the lower Illinois valley: osteological evidence.

Meiklejohn, C., Agelarakis, A., Akkermans, P.A., Smith, P.E.L. and Solecki, R. (1992). Artificial cranial deformation in the proto-neolithic and neolithic near east and its possible origin :evidence from four sites, Peleorient,vol18,N2,p.83-97.

Hippocrates.(1923). Ancient medicine, Airs Watres, places. Epidemics 1 and 3. The oath, Precepts, Nutriment. Translated by W.H.S. Jones, Loeb Classical Library 147, Cambridge,MA: Harwards University Press.

Martin, R. (1928). Lehrbuch der Anthropologie in systematischer Darstellung. 2 Auflage.Jena.

Martin, R, Saller, K. (1956). Lehrbuch der Anthropologie in sistematisher Darstellung begre dent von Rudolf Martin. Drite voling umberbeitete und erveiterte Au Hublage von Karl Saller. Stuttgart.

R. Shane Tubbs, W. Jerry Oaks, George Salter, (2006). Artificial deformation of the human skull: A review.Clinical Anatomy,Volume 19, p.372-377.

P. Mayall, L. Bitadze, V. Pilbrow-Migrating, (2017). Huns and modified heads: Eigenshape analysis comparing intentionally modified crania from Hungary and Georgia in the Migration Period of Europe-PLoS ONE.

O'brien et al. (2013). Artificial Cranial Deformation: Potential Implications for Affected Brain Function, www.researchgate.net.

T.I. Alexeeva, A.P. Buzhilova, M.V. Dobrovolskaya, M.B. Mednikova, R. Walker (2006). Artificial deformation of human head in Eurasian past // OPUS: Interdisciplinary Investigation in Archaeology. Moscow: Institute of Archaeology RAS, Vol. 5. P.248.

Trinkaus, E. (1982). "Artificial Cranial Deformation in the Shanidar 1 and 5 Neander tals". Current Anthropology. 23 (2): 198–199.

Hyan Jin kim. (2016). Huns.New York.

Алексеев, В. П., Дебец, Г. Ф. (1966). Краниометрия. Методика антропологических исследований.М. Наука.

Алексеева, Т. И., Шауро, Э. А. (1970). Аномалии черепа в их географической, социальной генетической обусловленности. В сб. Морфофизиологические исследования в антропологии. М. МГУ, с. 12-185.

Бужилова, А. П. (1992). Изучение физиологического стресса у древнего населения по данным палеопатологии. В сб. Экологические аспекты палеоантропологических и археологических реконструкции. Ин-т Археологии АН СССР. М, с. 78-104.

Бужилова А. П. Изучение физиологического стресса у древнего населения по данным палеопатологии. В сб. Экологические аспекты палеоантропологических и археологических реконструкции. Ин-т Археологии АН СССР. М., (1992)., с. 78-104.

To study the issue of ethnic identity of the population with artificially deformed practices (Based on the example of the Early Middle Age Samtavro population)

Tavartkiladze Nino,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ninotavartkiladze3@gmail.com

Summary

Intentional cranial deformation is a unique phenomenon widely spread among different peoples. Among the skulls of all chronological periods and cultures found on the territory of Georgia, the earliest evidence of artificial deformation dates back to the IVth millennium BC and can be observed for a long duration of time. However the practice of artificial deformation had not been a constant occurrence, so the frequency and forms of deformations in different periods vary considerably. It is most common in the early medieval period at Samtavro burial ground (Mtskheta). There are 579 different skulls presented from different Georgian sites of early middle ages, of which 126 are deformed, which makes up to 21,7% of the total number. From Samtavro graveyard there are 132 skulls presented, of which 43 are deformed, adding up to 32.5% of the total number. The mean age of non-deformed skulls was 36.1 and that of deformed skulls was 41.3. This means that the practice of artificial cranial deformation has not been affecting life expectancy. Most of the scientists believe that the core reason behind the deformations is a social aspect. They believe that those who modified skull shapes belonged to higher social class. However this is not confirmed by the archaeological data of Samtavro graveyards: there are no differences between funerary inventory of graves, types of burials and funerary practices. If the social aspect was the case, individuals with high social status or different ethnicity would have been buried with the differences in inventory and types of graves. And also the deformed ones and non-deformed ones would not have been buried together in collective tombs.Some of the physiological stress markers are present on both deformed and normal skulls. Hypertension is particularly frequent on the occipital bone, on the parietal bone, and on the glabella. Such a high incidence of hyperostosis in the population indicates the presence of many negative factors. Both deformed and normal individuals lived in the same ecological environment, with more or less the same food system and lifestyle.Another interesting fact is that deformed skulls from Samtavro cemetery had a very high incidence of metopic sutures. This indicates that among the deformed individuals that were studied there may be a large number of close relatives. Anomalies often involve bones such as: Os. Incae bipartitum, Os. triquetrum, crown and sagittal suture.The study of gender and age distribution of the population buried at the Samtavro burial ground, average life duration of individuals with and without cranial deformation, types of their burials and funerary inventory, anomalies and markers of physiological stress, ecological environment and the food system has led us to a conclusion that the practice of deformation was carried out by the local population.

List of Illustrations

1. Type of circular deformation;
2. Classification of Neuman;
3. Location of Samtavro cemetery;
4. Inventory of Samtavro cemetery (from deformed person's burial);
5. Inventory of Samtavro cemetery (from non-deformed person's burial);
6. Hun type of skull;
7. Expansions of Huns;
8. The type of deformed scull from Samtavro cemetery.

სამშვილდის ახლად გამოვლენილი ქვის ინდუსტრია

კვახაძე ლევან,
საქართველოს უნივერსიტეტი
Levan.kvaxadze@gmail.com

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.6

შესავალი

ნაშრომში შესწავლილი იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სამშვილდის ნაქალაქარის "სიონის უბანზე" გამოვლენილი ნატკეცი ქვის მასალა. ნაქალაქარი მდებარეობს სოფელ სამშვილდიდან 3 კმ-ის დაშორებით და სტრატეგიულად ძალზე ხელსაყრელ ადგილასაა განლაგებული. ძეგლი აღმართულია მდინარეების, ჭივჭავისა და ხრამის შესაყართან ამოზიდულ მაღალ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმართულ, წაგრძელებული ფორმის კონცხზე, რომელიც 150-200 მეტრი სიმაღლის ბაზალტოვანი განშრევებებისაგან წარმოქმნილ კლდოვან მასივს წარმოადგენს. [ჭილაშვილი ლ. 1970: 118.], [ბახტაძე ნ. 2007: 25.]

სამშვილდის ქვის მასალა და საკვლევი თემა აქტუალური და ამავე დროს კომლექსურად რთულია. ვინაიდან აქ ბოლო პერიოდამდე არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები და კვლევები, ნაქალაქარის ქვის ხანის პერიოდები, ფაქტობრივად, შეუსწავლელია. ნაქალაქარზე 2012 წლიდან არქეოლოგიურ გათხრებს საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებს (ექსპედიციის ხელმძღვანელი დ. ბერიკაშვილი). არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს ნაქალაქარის ციტადელსა და სიონის უბანზე. სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს, 2016 წლის საველე სეზონზე პირველად გამოვლინდა ნატკეცი ქვის მასალა. დღესდღეობით სიონის უბანზე ხუთი თხრილია გახსნილი.

I. No. N8 რომელიც 25 მ^2 -ს მოიცავს და მთლიანად მისი შესწავლა 2016-17 წლებში მოხდა. ფენის სისქე 1,20 სმ-ს არ სცილდება.

II. No. O17 თხრილი, რომელიც 25 მ^2 -ს მოიცავს და სიონის საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთით არის გავლებული. ამ ორ თხრილს შორის დაშორება 40 მეტრია.

III-IV. No. O8 და O7 უფრო მცირე ზომის თხრილებია,რომელიც 12 და 20 მ^2-ს მოიცავს.

V. No. N9 თხრილი რომელიც მხოლოდ 5 მ^2 -ია[ბერიკაშვილი დ. სხვა. 2016: 9-13. 2017: 10-16. 2018: 8-16.].

სამშვილდის ნაქალაქარის, კერძოდ სიონის უბნის, თითქმის ყველა თხრილში პირველი კონტექსტი განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ფენებს განეკუთვნებოდა, რასაც ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელი მასალა გვიდასტურებს. [გაბისონია მ. 2019: 77-84.] შუა საუკუნეების მასალასთან ერთად პირველ კონტექსტში აღმოჩნდა მცირე რაოდენობით ობსიდიანის მომცრო ანატკეც-ანამტვრევების ფრაგმენტებიც. მიწის დაღრმავებასთან ერთად, ქვის (უფრო ინტესიურად ობსიდიანის) ანატკეცებისა და ანამტვრევების მოცულობა იზრდებოდა და მასალაზე პირველადი დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ იგი არ განეკუთვნებოდა შუა საუკუნეებს.

როგორც კულტურულად, ისე ქრონოლოგიურად მასალა განსხვავებულ კონტექსტს მიეკუთვნებოდა. თხრილების არქეოლოგიური შესწავლის დროს, მიწის ზედაპირიდან 0.80-1.0 სმ-ის სიღრმეზე თავი იჩინა ბაზალტოვანმა დედაქანმა, რომლის ბუნებრივი ჩაღრმავებები (ნაპრალები და ორმოები), როგორც ჩანს, ადრეულ შუა საუკუნეებში კირისმაგვარი შრით იყო შევსებული. „კირმა“ დააკონსერვა ქვის მასალა. ხოლო ნაქალაქარზე, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების აქტიურმა ცხოვრებამ, ამავე პერიოდის დროინდელმა „სამეურნეო ორმოებმა“ და „სამაროვანმა“ ეს „კირის ზედაპირი“ დახვრიტა, კირთან ერთად ეს მასალა - ობსიდიანის, კაჟის იარაღების [ბერიკაშვილი დ., გრიგოლია გ. 2017: 84-100.] და ასევე მოგვიანო პერიოდის ბრინჯაოს ხანის კერამიკის [გაბელაია ნ. 2019: 53-58.] შემცველი ფენები არია და ქვის მასალა აღმოჩნდა შუა საუკუნეების შემცველ ფენაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სიონის უბნის იმ მონაკვეთებზე, სადაც არქეოლოგიური ფენები ბოლომდე გაითხარა და კლდოვანი დედაქანი ბოლომდე ან ნაწილობრივ გაშიშვლდა, შუა საუკუნეების კულტურულ ფენაზე ადრეული უძრავი ფენები არ დადასტურებულა. თუმცა, ქვის არქაული მასალის აღმოჩენა სამშვილდის კონცხზე ასეთი ფენების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. [ბერიკაშვილი და სხვა. 2017: 10-16. 2018: 8-16.] ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონცხის კლდოვან მასივებში ხშირია მცირე და დიდ გამოქვაბულთა კომპლექსები, რომელნიც წარმოდგენილია სამშვილდის კონცხის ირგვლივ, როგორც მდ. ჭივჭავის ასევე მდ. ხრამის მარჯვენა და მარცხენა ფერდობებზე. ამ გამოქვაბულების ზედაპირულმა დაზვერვებმა გამოავლინა, როგორც შუა საუკუნეების კერამიკა, ასევე ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები, რაც იმას გვაფიქრებინებს რომ ეს ტერიტორია მთლიანად ათვისებული უნდა ყოფილიყო ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდში. რაც სამომავლო კვლევა ძიებას საჭიროებს. გასამახვილებელია ყურადღება იმ ფაქტზეც, რომ სოფელ სამშვილდესთან გურამ მირცხულავას მიერ გათხრილი იქნა ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანი, რომელიც სამშვილდის ნაქალაქარიდან 3 კილომეტრშია. ამავე პერიოდის მასალა ასევე დადასტურებული გვაქვს სამშვილდის კონცხზე, მცირე კერამიკის ფრაგმენტების სახით. გურამ მირცხულავას მიხედვით აქ მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნაწარმის ნაწილი წოფის ტიპის ძეგლების მასალასთან პოულობს მსგავსებას. [მირცხულავა გ. 1975: 10-21.]. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, ხომ არ გვაქვს საქმე ადრესამიწადმოქმედო, აქამდე უცნობი ძეგლების ჯგუფთან. ამდრომდე გამოვლენილი მასალისა და ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების სიმცირის გამო შეუძლებელია გადაჭრით რამის თქმა. მხოლოდ სამომავლო არქეოლოგიურ შესწავლას შეუძლია ამ ფაქტის დადასტურება ან უარყოფა.

სამშვილდის ქვის მასალის ფუნქცლიონალურ-ტიპოლოგიური და მორფოლოგიური აღწერილობა


ნაშრომში დამუშავებულია სამშვილდის ნაქალაქარზე ბოლო ოთხ წელიწადში აღმოჩენილი მასალის ნაწილი, 856 ქვის ნატკეცი ნივთი (იხ.ცხრ.1-2-3-4.). ნაქალაქარის უბნები დაყოფილია 5X5 მ^2 ზომის თხრილებად. იქიდან გამომდინარე, რომ ისინი in situ ფენებიდან არ მომდინარეობდა, ამიტომ აზრი არ ჰქონდა ფენების მიხედვით მასალის შესწავლას. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა აღმოჩენები თხრილების მიხედვით დამუშავებულიყო.

აღწერას დავიწყებთ 2016 წელს პირველად შესწავლილი № N8 თხრილიდან ამოღებული მასალით. ამ თხრილის ფართობი 25 მ^2-ია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თხრილი მთლიანადაა შესწავლილი და დაყვანილია ბაზალტოვან დედაქანამდე. დამუშავებული ქვის ნატკეცი მასალის სრული უმრავლესობა ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევებისგან შედგება, ხოლო კაჟისა და სხვა ქვის ნატკეცი მასალები ერთეული სახით არის აღმოჩენილი. მასალაზე მუშაობის დროს მოხდა მთლიანი მასალის ელექტრონულ ბაზაში შეტანა, რაც შემდგომ კვლევებსა და მასალის ანალიზში დაგვეხმარა.


ნატკეცი ქვის (ობსიდიანი, კაჟი და სხვა) მასალის ფუქნციონალურ-ტიპოლოგიური და მორფოლოგიური დახასიათების დროს გამოიკვეთა 4 ძირითადი ჯგუფი და ამის მიხედვით დავიწყეთ უკვე ელექტრონულ ბაზაში მასალის შეტანა. დამუშავებული თხრილების მასალის პირველ ჯგუფში შედის ნუკლეუსები და მათი ნაწილები; მეორე ჯგუფში - ანამტვრევები და მათზე ნაკეთები იარაღები. ასევე აქ გავაერთიანეთ ისეთი ანამტვრევები, რომლებსაც გამოყენების ან რეტუშის კვალი ეტყობა, მაგრამ დამოუკიდებელ იარაღებს ვერ მივაკუთნეთ. მესამე ჯგუფში - ანატკეცები და მასზე ნაკეთები იარაღები და მეოთხე ჯგუფში - ლამელები, ლამელისებური ანატკეცები და მასზე ნაკეთები იარაღები. ნუკლეუსთა ტიპზე დამოკიდებულია ლამელებისა და ანატკეცების ფორმები, ამიტომ ქვის მასალის დახასიათებასა და აღწერას ნუკლეუსებით დავიწყებთ. შემდეგ ვიძლევით ანამტვრევების, ანატკეცებისა და ლამელების და ბოლოს ნამზადი იარაღების დახასიათებას. უნდა აღინიშნოს, რომ ანამტვრევებსა და ანატკეცებში ცალკე გამოვყოფთ იმ ჯგუფს, რომელშიც დაუმუშავებელი ეგზემპლარებია შესული. რადგან მასალაში ჭარბობს ბუნებრივი ქერქით (კაჭარი) დაფარული ნატეხები, მოხდება მისი რაოდენობის აღრიცხვაც. ანატკეცების დახასიათებისას ცალკე აღვნიშნავთ მათზე ნაკეთები იარაღების დამუშავების ტიპსა და რაოდენობას; დამუშავებულ ანატკეცებში გამოვყოფთ თავრეტუშირებულ, გვერდამოღარულ და ზურგდაბლაგვებულ ეგზემპლარებს. ასევე საჭიროდ ჩავთვალეთ გამოგვეყო ანამტვრევები, რომელთაც ეტყობათ გამოყენების კვალი, მაგრამ არც ერთ იარაღთა ჯგუფს არ განეკუთვნებიან.

№ N8 თხრილში, რომელიც მდებარეობს სიონის ტაძრის ჩრდილოეთით, აღმოჩენილი ქვის მასალა წარმოდგენილია 214 ერთეული ობსიდიანის ნივთით (იხ. ცხრ. 4.). აღმოჩენილი ქვის ნივთების სრული რაოდენობა ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევებს უკავია, ხოლო იარაღები პროცენტულად მცირეა. რაოდენობის მიხედვით, მასალაში პირველია ანამტვრევები - (108 ც.), აქედან 44 ერთეულის ზედაპირი მთლიანად ან ნაწილობრივ ვულკანური ქერქით (კაჭარი) არის დაფარული. მხოლოდ სამი ერთეული მივაკუთვნეთ დამოუკიდებელ იარაღს, რომელთაც მეორადი დამუშავების კვალი ეტყობოდა. კიდევ ერთს კი მხოლოდ გამოყენების კვალი ეტყობოდა, რომელიც თანმიმდევრული წვრილი ჩანატეხებით იყო წარმოდგენილი. რაოდენობის მიხედვით მეორეა ანატკეცები - (102 ც.), რომლიდანაც 36 ერთეულს შემორჩენილი აქვს ნაწილობრივ ვულკანური ქერქი (კაჭარი). ანატკეცებიდან ოთხ ერთეულს აქვს მეორადი დამუშავების კვალი - რეტუში. მასალაში წარმოდგენილია ოთხი ნუკლეუსი. საინტერესოა ერთი მათგანი, რომელიც წარმოადგენს მუქი შავი ფერის გაუმჭვირვალე ქანის ობსიდიანს, ამ უკანასკნელს ფუძე აქვს მოსწორებული და ნახევარ გვერდს ვულკანური ქერქი (კაჭარი) შემოყვება, ხოლო ორ გვერდს ატკეცილი ნეგატივები ეტყობა. ნივთი წარმოადგენს ნახევრად გათლილ დამუშავებულ ნუკლეუსს. მისი ზომებია:


2.2X1.5X1.6 სმ. (იხ. ტაბ. I. სურ. 1.). მეორე ნივთიც ნახევრად გათლილი ნუკლეუსია, ხოლო დანარჩენი ორი - გალეული და ამორფული ნუკლეუსებია (იხ. ტაბ. I. სურ. 2.). მასალაში ერთი ერთეული სათლელისებური იარაღია, რომელიც წარმოადგენს ნაცრისფერი გაუმჭვირვალე ქანის ანატკეცს, იარაღს თავი უხეში ჩანატეხების საშუალებით აქვს დათხელებული. ნივთი ფრაგმენტული სახისაა. ანატკეცს ძირზე ეტყობა ვულკანური ქერქის კვალი. მისი ზომები: 3.5X3.4X0.9 სმ-ია. საფხეკებიდან ერთი ცალი ამოღარულ გვედიანი 2X2.7X 0,6 სმ-ია. სამი ოვალურ პირიანი 3X2.1X0.9სმ,- 3.7X2X1.1 სმ-ია. თხრილში ერთი ერთეული საჭრისისებური იარაღია, იგი გაუმჭვირვალე ქანის ობსიდიანის უხეშ ანამტვრევზეა გაფორმებული, რომლის ერთ-ერთ სწორ კუთხეს გასდევს წვრილი რეტუში გასდევს. მისი ზომები: - 3X1.5X1სმ-ია. მასალაში ერთი ერთეულია სამფერდა ლამელა, რომელიც წარმოადგენს შავი ფერის გაუმჭვირვალე ქანის ობსიდიანის ლამელის ფრაგმენტს, ნივთი გატეხილი სახით არის შემორჩენილი და არ აქვს თავის და ძირის ნაწილები. ორივე გვერდი ზურგის მხიდან არის დამუშავებული წვრილი დამაბლაგვებელი რეტუშით. მისი ზომები: 0.9X1.5X0.6სმ-ია.



სურ. 1



სურ.2



სურ.3

ტაბ. I Tab.

რაც შეეხება მეორად დამუშავებას. მასალაში ჭარბობს მსხვილფაცეტა დამაბლაგვებელი და ფართოფაცეტოვანი გარდამავალი ტიპები. ასევე მასალის მცირე ნაწილს ეტყობა გამოყენების კვალი, რომელიც ნივთის ზედაპირზე წვრილი, თანმიმდევრული ჩანატეხებითაა წარმოდგენილი. ქვის ნატკეც მასალაში ჭარბობს გამჭვირვალე ობსიდიანის ქანის ნივთები. N8 თხრილის მასალაში 78 ცალი გამჭვირვალეა, ხოლო 52 გაუმჭვირვალე. ასევე ამ თხრილში გამოვყავით 81 დაბინდული ქანის ობსიდიანები. ფერის მიხედვით, მასალის უმეტესობას შავი და მუქი ფერის ქანი წარმოადგენს, ცოტაა ნაცრისფერი ობსიდიანი.

მეორე თხრილი, რომელსაც განვიხილავთ არის № O7 თხრილი, მისი შესწავლა 2018 წელს დაიწყო და იგი სიონის ტაძრის ჩრდილოეთით მდებარეობს. ამ თხრილის მხოლოდ 20 კვ/მ-ია გათხრილი, მაგრამ წარმოდგენილი მასალებიდან ყველაზე მეტი- 297 ერთეული ობსიდიანის ქვის ნატკეცი მასალაა აღმოჩენილი(იხ. ცხრ. 2.). აღწერას დავიწყებთ ნუკლეუსებით, რომელიც O7 თხრილშიც მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი (7 ც.). ყველა მათგანი ობსიდიანის ქანისგან, გათლის შედეგად არის მიღებული და ზედაპირზე ეტყობა ატკეცილი ნეგატივები. ყველა მათგანი გალეული ნუკლეუსია. სულ რამოდენიმე ჯგუფს გამოვყოფთ. პირველი ჯგუფში შედის 3 ერთეული მრავალფუძიანი ნუკლეუსი (იხ. ტაბ. II. სურ. 3. ტაბ. I. სურ. 3). აქედან ორი ბოლომდე გამოყენებულია (გალეული) და მათი ზომები 3.2X2X2სმ.-1.9X2X2 სმ-ია, მესამე გამოყენებულია სახოკად, შუაზეა გატეხილი და ძირზე ეტობა გამოყენების კვალი. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება გალეული და გატეხილი ნუკლეუსები (4 ერთეული) (იხ. ტაბ. II.სურ. 2.). აქედან სამ მათგანს მხოლოდ ფუძე აქვს შემორჩენილი. ისინი ბოლომდე გალეულია და კლასიფიკაციას არ ექვემდებარება, ხოლო მეოთხის ძირზე საჭრისია გაფორმებული. მასალის რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა ანამტვრევები (142 ც.), რომელთა უმეტესობის სიგრძე 3სმ-ს არ სცილდება. ერთეულების სახით არის წარმოდგენილი 4-5 სმ-ის სიგრძის ანამტვრევები. აქედან მხოლოდ 4 მათგანს აქვს მეორადი დამუშავება, რეტუში. 52 ერთეულს ზედაპირზე მთლიანად ან ნაწილობრივ ვულკანური ქერქის (კაჭარი) კვალი ეტყობა. ქვის ნატკეც მასალაში რაოდენობით მეორეა ანატკეცები (151 ც.) მორფოლოგიური ანალიზის მიხედვით, ანატკეცების უმეტესობის სიგრძე 2-3 სმ-ს არ სცდება. მასალიდან მხოლოდ 21 ერთეულს ეტყობა მეორადი დამუშავება (რეტუში), ამ უკანასკნელში ჭარბობს მსხვილფაცეტა დამაბლაგვებელი და დამაბასრებელი ტიპები. მასალის მცირე ნაწილს ეტყობოდა გამოყენების კვალი, რომელიც ნივთის ზედაპირზე წვრილი თანმიმდევრული ჩანატეხებით იყო წარმოდგენილი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ანატკეცების დიდ ნაწილს ეტყობა ატკეცვის ბურცობი, რომელიც დიდი დარტყმის მოედნით ხასიათდება, მოედანი ხშირ შემთხვევაში დაფარულია ვულკანული ქერქით (კაჭრით). 36 ცალ ანატკეცს ნაწილობრივ ან მთლიან გვერდზე გასდევს კაჭარი. ობსიდიანებიდან 201 ერთეული გამჭვირვალეა, ხოლო 95 გაუმჭვირვალე. ფერის მიხედვით, მასალის უმეტესობა წარმოადგენს შავი და მუქი ფერის ქანს. ცოტაა ნაცრისფერი ქანის ობსიდიანები. მასალაში პროცენტულად მცირეა იარაღები, რომელთა სრული უმრავლესობა დამზადებულია ანამტვრევ-ანატკეცებზე.





სურ.1







სურ.2


ტაბ. III Tab.


მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როდესაც ნუკლეუსზე იყო ჩამოყალიბებული იარღი. იარაღებში ჭარბობს საფხეკები (იხ. ტაბ. III. სურ. 1-2.), რომელიც 7 ერთეულით არის წარმოდგენილი და დაყოფილია ამოღარულ, ოვალურ და სწორგვერდიან საფხეკების ჯგუფებად. ყველა მათგანი უხეშ ანატკეც-ანამტვრევზეა გაკეთებული. გვერდიანი საფხეკები დამუშავებულია მსხვილფაცეტა ან წვრილფაცეტა თანმიმდევრული ან ნაწილობრივი რეტუშით, რომელიც დატანილია ზურგის ან მუცლის მხრიდან. საფხეკებიდან (2ც.) არის ამოღარულგვერდიანი 3X1.5X1სმ. 3X2.6X1სმ. (3ც.) ოვალურპირიანი 3.7X2.9X1სმ. 3,7X5.4X1,6სმ. (2ც.) სწორსამუშაოპირიანი 4.6X3.3X1.1სმ, 2.1X2,6სმX0.8სმ. თხრილში სამი ერთეული საჭრისია. ერთი, რომელიც ანამტვრევის ფრაგმენტზეა ჩამოყალიბებული, ანამტვრევის ზედა კუთხეზე დამუშავებულია წვრილი, ფაქიზი რეტუშით და მისი ზომა: 2.6X1.4X0.7სმ-ია. მეორე წარმოადგენს საჭრისის ნამზადს, რომელიც გაკეთებულია ობსიდიანის გატეხილ ანატკეცზე, ამ უკანასკნელის თავი რეტუშირებულია. ნივთის ზომებია: 2.7X2.7X0.8სმ. მესამეც საჭრისის ნამზადს წარმოადგენს, რომლის ერთი ვიწრო გვერდი გამოყენებულია საჭრისად. ნივთი ფრაგმენტული სახით არის წარმოდგენილი. მისი







სურ. 1





სურ. 2







სურ. 3


ტაბ. II Tab.









სურ.1










სურ.2



ტაბ. IV Tab.

ზომებია: 1.9X1.5X0.5სმ. (იხ. ტაბ. IV. სურ. 1) თხრილში ორი ერთეული სახვრეტია და ორივე ანატკეცზეა გაფორმებული. ერთი სახვრეტი მუცლის მხრიდან, მარჯვენა გვერდზე არის გაფორმებული. ნივთი არის წაწვეტებული ფორმის, რომელსაც გვერდები ერთმანეთის საპირისპიროდ აქვს ჩატეხილი. ნივთის ზომები: 1.5X2.4X0.7სმ-ია. მეორე სახვრეტიც გამჭვირვალე ანატკეცის თხელ ფირფიტაზეა დამზადებული, რომელიც მუცლის მხრიდან მარჯვენა გვერდზე არის გაფორმებული. ნივთის ზომები: 2X2.6X0.5სმ-ია. მასალაში ერთი სათლელისებური იარაღია, რომელიც წარმოადგენს თხელი გაუმჭვირვალე ანატკეცის ფირფიტას, მისი ზედაპირი რამოდენიმე ნეგატივით დათხელებულია. ხოლო მის ორ მორკალულ გვერდს გამოყენების კვალი ეტყობა. ნივთის ზომები: 2.6X1.6X1.6 სმ-ია.



O8 თხრილი მდებარეობს სიონის უბანში, სიონის ტაძრის ჩრდილოეთით. მისი შესწავლა 2017-18 წლებში მოხდა და თხრილში აღმოჩენილი ქვის მასალა წარმოდგენილია 122 ერთეული ობსიდიანის ნივთით (იხ. ცხრ. 3.). სხვა თხრილების მასალისგან განსხვავებით, ამ მასალაში არის საშუალო ზომის ლამელები და ლამელისებრი ანატკეცები. მასალაში ჭარბობს ობსიდიანის ანამტვრევები, რომელიც 75 ერთეული აღმოჩნდა, აქედან 25 ცალს ზედაპირზე ნაწილობრივ ან მთლიანად ეტყობა ბუნებრივი ქერქი (კაჭარი). ანატკეცებიდან მხოლოდ 7-ს ეტყობა გამოყენების კვალი. მასალაში, რაოდენობის მიხედვით მეორეა ანატკეცები - 39 ერთეული. აქედან 8 ცალს ზედაპირზე ეტყობა კაჭრის კვალი და მხოლოდ 10 ცალს ეტობა გამოყენების კვალი. მასალაში ასევე 3 ცალ ანატკეცს ერთ ზედაპირზე ეტყობა პატინის კვალი. მასალის მორფოლოგიური კვლევის მიხედვით, O8 თხრილში ჭარბობს გამჭვირვალე ქანის ობსიდიანი. მასალიდან 95 ცალი გამჭვირვალეა, ხოლო 28 გაუმჭვირვალე. იარაღებიდან ერთი ერთეული ლამელაზე დამზადებული ბურღისებური იარღია. ნივთი წარმოადგენს გამჭვირვალე შავი ფერის ობსიდიანის ლამელასებრ ანატკეცს, რომელიც ფრაგმენტის სახით არის წარმოდგენილი. მისი თავი სახვრეტად არის გამოყენებული. ნივთის ზომები: 2X1X1სმ-ია. (იხ. ტაბ. V. სურ. 2.). 4 ერთეულია საფხეკისებური იარაღი. ერთი მათგანი წარმოადგენს გამჭვირვალე, თხელი ანატკეცის ფირფიტას, რომელსაც ეტყობა უხეში ჩანატეხები, მისი ზომებია: 3X2X1სმ. მეორე ნივთი მსხვილი, გაუმჭვირვალე ნაცრისფერი ქანის ობსიდიანის ანატკეცია. ანატკეცის თავს მუცლის და ზურგის მხრიდან უხეში გამოყენების კვალი ეტყობა. ერთ გვერდზე შემორჩენილი აქვს ვუკლანური ქერქის (კაჭარი) კვალი. მისი ზომები: 5.5X3.5X1სმ-ია. (იხ. ტაბ. VI. სურ. 3.) მესამე საფხეკი დაბურული ნაცრისფერი ქანის ობსიდიანის ანატკეცზეა გაფორმებული. ნივთს რამოდენიმე ფუნქცია ჰქონდა. ანატკეცის თავი რამოდენიმე ნეგატივით არის დათხელებული, როგორც სათლელისებური იარაღი და მის მარცხენა სწორპირა გვერდს ჭავლისებური რეტუში გასდევს. მარჯვენა გვერდი კი ორ ადგილას ამოღარულია წვრილი რეტუშით. მისი ზომები: - 3X2.2X0.5სმ-ია. მეოთხეს მუცლის მხრიდან, მარცხენა სწორპირა გვერდზე უხეში მსხვილფაცეტა რეტუში გასდევს. გამოყენების კვალი ეტყობა მარჯვენა გვერდს, რომელიც მცირე ადგილას ამოღარვით შეომიფარგლება. ანატკეცს ძირზე და ზურგზე ფრაგმენტულად ეტყობა ვულკანული ქერქის (კაჭრის) კვალი. მისი ზომები: 3X2X1სმ-ია. სხვა თხრილებიდან განსხვავებით მასალაში წარმოდგენილია რამოდენიმე ერთეული ლამელა (სულ 4ც.) აქედან სამი სამფერდაა, რომელთა ზომები: 5.5X3X1სმ - 4.5X2.3X1სმ. - 5X 3.5X0.5სმ-ია და ერთი ორფერდა 3X2X0.5 სმ-ია. ლამელები დამოუკიდებელ იარაღებს არ წარმოადგენენ და მხოლოდ ორ მათგანს ეტყობა მცირე გამოყენების კვალი.

სურ.1

სურ. 2


სურ. 3

ტაბ. V Tab.


O17 თხრილში 2016 წელს აღმოჩნდა 222 ცალი (იხ. ცხრ. 1.) ერთეული ქვის ნატკეცი მასალა; აქედან 220 ერთეული ობსიდიანია და მხოლოდ ორი სხვა ქანის ქვა. ნუკლეუსები ამ თხრილში მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი - სულ 3 ერთეული. ყველა მათგანი ობსიდიანის ქანისგან არის გათლილი და ზედაპირზე ეტყობა უსწორმასწორო ანატკეცის ნეგატივები. ერთი მათგანი წარმოადგენს მრავალფუძიან ნუკლეუსს, რომლის ზომები 2.2x2 სმ-ია. იგი შავი ფერის, გამჭვირვალე ქანის ობსიდიანია. მეორე ნუკლეუსი, რომელიც ფრაგმენტის სახით არის შემორჩენილი, მხოლოდ ძირის ნაწილია. ფრაგმენტს მეორადი გამოყენების კვალი ეტყობა. მისი ზომები 3X2სმ-ია. გამოყენების კვალის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის საფხეკად გამოიყენებოდა. ხოლო უკანასკნელი გალეულ ნუკლეუსს წარმოადგენს და მისი ზომებია: 3X1.7X1სმ. სამივე ნუკლეუსი გამჭვირვალე შავი ფერის ობსიდიანის გათლის შედეგად არის მიღებული. მასალაში ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ობსიდიანის ანამტვრევები - 150 ერთეული. ანამტვრევებიდან 56 ცალს ზედაპირზე მთლიანად ან ნაწილობრივ ეტყობა ვულკანური ქერქი (კაჭარი). ანამტვრევების უმეტესობა მცირე და საშუალო ზომისაა. საშუალო ზომის ობსიდიანების სიგრძე 5 სმ-ს არ სცდება. ასევე საინტერესოა ორი ანამტვრევი, რომლის ზედაპირი მთლიანად პატინით არის დაფარული, ხოლო ერთს გვერდზე პატინა აცლილი აქვს და ეტყობა გამოყენების კვალი. 28 ცალ ანამტვრევს ზედაპირზე ასევე ეტყობა გამოყენების კვალი. რადგან ანამტვრევები მთლიანად ქვის პირველადი დამუშავების პროცესში მიღებულ წუნს წარმოადგენს, ან ნუკლეუსის გათლის პროცეში მიღებულ შემთხვევითი ფრაგმენტებია, ამიტომ მასალში არ გვხვდება ანამტვრევების მეორადი დამუშავება, თუმცა, აღმოჩენილია რამოდენიმე ათეული ანამტვრევი, რომელსაც მცირე გამოყენების კვალი ეტყობოდა. ქვის ინდუსტრიის წარმოებაში რაოდენობით მეორე ადგილზეა ანატკეცები - 53 ცალი. აქედან 20 ცალს ზედაპირზე ნაწილობრივ ან მთლინად ეტყობა ვულკანური ქერქი (კაჭარი). ანატკეცებიდან მხოლო 6 ცალს აქვს რეტუში და ზოგიერთი დამოუკიდებელ იარაღადაც გავატარეთ. ასევე გამოვყავით 12 ცალი ანატკეცი, რომელთაც ეტყობათ გამოყენების კვალი. ისინი წარმოდგენილია ანატკეცის ზედაპირზე არსებული წვრილი ფაქიზი ჩანატეხებით. თხრილის მასალიდან 143 ცალი გამჭვირვალე ქანის შავი ობსიდინია და 79 ცალი კი მუქი, შავი და ნაცრისფერი, გაუმჭვირვალე ან დაბინდული სახის ქანია. მასალის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში გამჭვირვალე ობსიდიანი ჭარბობს, ასევე ბევრია ობსიდიანის თხელი ანატკეცები, რომელთა სიგრძე და სიგანე 4 სმ-ს არ სცდება და წარმოადგენს თხელ, შემთხვევით ანატკეცებს. დიდ ნაწილს ეტყობა ატკეცვის ბურცობი, რომელიც დიდი დარტყმის მოედნით ხასიათდება. დარტყმის მოედანი ხშირ შემთხვევაში დაფარულია ვულკანული ქერქით (კაჭრით).

მასალაში იარაღების სიმცირეა - სულ 13 ც. აქედან 2 სათლელისებურ იარაღს წარმოადგენს. ერთი მათგანი შავი ფერის გამჭვირვალე ქანის ობსიდიანის გალეულ ნუკლეუსზეა გაფორმებული, რომელიც შემდგომ რამოდენიმე ნეგატივით არის დათხელებული და გამოყენებულია როგორც სათლელისებური იარაღი, მისი ზომა: 2X2X1 სმ-ია. ხოლო მეორე თხელი გამჭირვალე ანამტვრევის ფირფიტას წარმოადგენს, რომელსაც ორივე მხარე რამოდენიმე ნეგატივით აქვს დათხელებული. მისი ზომები - 2X2X0.4 სმ-ია. იარაღებიდან ყველაზე მეტია საფხეკები - 9ც. საფხეკთა უმეტესობა შემთხვევით ანატკეც-ანამტვრევზეა ჩამოყალიბებული. სახვრეტისებური იარაღი მა-

სალაში 2 ცალია. ერთი ანამტვრევზე ჩამოყალიბებულ სახვრეტს წარმოადგენს და მისი ზომა: 3X2X1სმ-ია. მეორე სახვრეტს კი თავი აქვს წამახვილებული და ორ ადგილას ერთმანეთის საპირისპიროდ არის მცირედ ამოღარული. მისი ზომებია: 2X1X0.5სმ.



სურ.1



სურ. 2

ტაბ. VI Tab.

დასკვნა

სამშვილდის ქვის ნატკეცი მასალის შედარებისთვის გამოვიყენეთ, აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილი სხვადასხვა ძეგლების მასალები. ძეგლების არჩევა, განპირობებული იყო ტერიტორიულ-გეოგრაფიული სიახლოვით. პირველად შევისწავლე გვიანნეოლითური ხანის ქვემო ქართლში აღმოჩენილი შულავერი-შომუ თეფსს კულტურის მატარებელი ძეგლები: შულავერის გორა, [კიღურაძე თ. 1976: 57.] იმირის გორა [კიღურაძე თ. 1976: 61-67.], დანგრეული გორა, [კიღურაძე თ. 1976: 73.]. ასევე არუხლოს ჯგუფის ძეგლები: არუხლო I, [ჩიქოვანი და სხვა. 2015: 44-46.]. [ჰანზენი ჰ., მირცხულავა გ. 2013: 30-34, 60-66.] არუხლო II, III [ჩიქოვანი და სხვა. 2015: 46-58.] და ენეოლითური ხანის წოფის [ნებიერიძე ლ. 2010: 41-58.] და სიონის [კიღურაძე თ. 2011.] ტიპის ნამოსახლარები და ამ ძეგლებზე გამოვლენილი ქვის ნატკეცი მასალები. ასევე, მეორე რეგიონი, რომელსაც გავეცანით იყო კახეთი, სადაც იორ-ალაზნის აუზის ენეოლითური ხანის ძეგლებზე - წითელგორებზე და დამწვარ გორაზე [ვარაზაშვილი ვ. 1992: 10-40.] აღმოჩენილ ქვის მასალას შევეხეთ. ასევე გავაეცანით შიდა ქართლის, არაგვის ხეობის ადრესამიწადმოქმედო ნამოსახლარების, სოფელ ჟინვალის, ჩინთის, ნიჩბისის „ბორნისთავის“ ნატკეცი ქვის მასალებს. [ჩიქოვანი გ. 1999: 15-23. 38-55.] იქიდან გამომდინარე, რომ სამშვილდის ქვის ნატკეცი მასალა კონკრეტული ფენებიდან არ მომდინარეობს, ერთი მხრივ, ჩვენ ვერ შევძელით ზუსტი დასკვნების გამოტანა, მაგრამ მეორე მხრივ, აღმოჩენილ ქვის არტეფაქტებში ნაწილობრივ გამოვლინდა მსგავსება-განსხვავებები, როგორც შულავერისა და არუხლოს ჯგუფის ძეგლების მასალასთან, ასევე წოფი-გინჩის ქვის ნატკეც მასალასთან. სამშვილდის მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ძეგლზე წამყვან ნედლეულად ობსიდიანი გამოიყენება, რაც ამ კულტურის ძეგლებზე გამოყენებულ მასალას ემთხვევა. რაც შეეხება ქვის ინდუსტრიას სამშვილდის მასალაში ნუკლეუსები წარმოდგენილია რამდენიმე ათეული ეგზემპლარით. მათში გამოიყოფა ერფუძიანი და მრავალფუძიანი ნუკლეუსები, რომლებიც სამშვილდის მასალაში თითქმის ბოლომდეა გამოყენებული (გალეული) ან გატეხილი სახით არის წარმოდგენილი, რაც შულავერ-შომუ-თეფსს ან წოფის ქვის მასალასთან შედარების საშუალებას არ გვაძლევს.

მორფოლოგიურად, სამშვილდის მასალისგან განსხვავებით, ქვემოთ მითითებულ შულავერის, (შულავერის გორა, იმირის გორა, დანგრეული გორა), არუხლოს (არუხლოს I, II, III და ხრამის დიდი გორა), წოფში-სიონის, იორ-ალაზნის (წითელგორები, დამწვარი გორა), არაგვის ხეობის ძეგლების მასალაში, ნაკეთობების ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნიან ლამელები. ძირითადი სახეობის ნაკეთობანი რეტუშირებული ან ურეტუშო ლამელებია. მრავალრიცხოვან ჯგუფად არის წარმოდგენილი აგრეთვე რეტუშირებული ანატკეცებიც, რომელნიც ძირითადად დამზადებულია ობსიდიანის თხელ, საშუალო ზომის ფირფიტებზე. სამშვილდის მასალის იარაღთა უმეტესობა ანატკეცზეა დამზადებული, რაც განასხვავებს ზემოთ განხილული ძეგლებისგან, სადაც მეორე დიდ მორფოლოგიურ ჯგუფს ქმნის ლამელები და მიკროლამელები, რომლებიდანაც შემდგომ სხვადასხვა იარაღებია დამზადებული. შულავერი-შომუ თეფსს და წოფი-გინჩის ძეგლების მასალებში დაახლოებით ერთნაირი სურათი გვაქვს მაშინ, როდესაც სამშვილდის მასალაში ამჯერადაც განსხვავებული სურათია წარმოდგენილი. 856 შესწავლილი ნივთიდან სულ რამოდენიმე ერთეული ლამელაა გამოვლენილი. იარაღთა უმრავლესობა დამზადებულია შემთხვევით ანატკეცზე ან

ანამტვრევებზე ,იშვიათ შემთხვევაში გალეულ ნუკლეუსზე.

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამშვილდის ნატკეცი ქვის კოლექციაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ საიარაღე ნედლეულის თავდაპირველი დამუშავება საბადოზე არ უნდა მომხდარიყო. მოსაზრებას ის ფაქტი ამყარებს, რომ მასალაში ისეთი ანატკეც-ანამტვრევების სიმრავლეა, რომელთაც ნაწილობრივ ან მთლიანად აქვს შემორჩენილი ვულკანული ქერქი (კაჭარი). როგორც ჩანს ნამოსახლარზე მთლიანად კაჭრით დაფარული ობსიდიანები, საბადოდან მოჰქონდათ და ადგილზე ითლებოდა. სამშვილდეში ხდებოდა ბუნებრივი ქერქის შემოცლა ნედლეულზე, რის დამუშავების დროს არის მიღებული კაჭრიანი საშუალო ზომის ანატკეც-ანამტვრევები. ასევე მასალაში არის ისეთი ერთეული საფხეკები, რომელნიც ნაწილობრივ ბუნებრივი ქერქით არის დაფარული. რაც შეეხება შედარებას, არც წოფის, შულავერის, არუხლოს და არც იორ-ალაზნის ჯგუფის მასალაში არ არის განხილული ისეთი ნივთები, რომელნიც ნაწილობრივ ან მთლიანად დაფარული იყო ბუნებრივი ქერქით. შეიძლება ეს იმითაც ავხსნათ, რომ ამ ძეგლებში ნუკლეუსების გათლა საბადოზე ხდებოდა და მზა პროდუქტი მოჰქონდათ ნამოსახლარზე, ან ძველი თაობის არქეოლოგები დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ასეთ მასალას და მხოლოდ სახიერი ნივთები იქნა შესწავლილი და გამოქვეყნებული.

დანამდვილებით ვერ ვამბობთ, რომ სამშვილდისა და სხვა განხილული ძეგლების ქვის მასალაში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ნიმუშებია წარმოდგენილი, რადგან ამ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალა ერთმანეთთან პოულობს როგორც მსგავსებას, ასევე განსხვავებას. მთავარი განსხვავება ისაა, რომ სამშვილდის მასალაში არ არის გამოკვეთილი ლამელარული ტექნიკა. სამშვილდის მასალის დიდი ნაწილი შემთხვევით ანატკეცზეა დამზადებული. აქ გამოიყოფა ინდუსტრიის ძირითადი ჯგუფები: ნუკლეუსები, ანატკეცები, ანამტვრევები, საფხეკები (რომელთა უმეტესობა დამზადებულია მცირე და საშუალო ზომის ანატკეცებზე) სათლელისებური იარაღები, ბოლოს მცირე რაოდენობით საჭრისები და სახვრეტები. სამშვილდის შემთხვევაში მორფოლოგიური ნიშნით წამყვანი მასალა ანატკეცია და მცირე რაოდენოთ ანამტვრევები, ერთეული სახით არის ნუკლეუსზე დამზადებული საფხეკები. შულავერის, იმირის გორის და არუხლოს ჯგუფის ძეგლებისგან განსხვავებით მასალაში არ არის მიკროლითები.

რაც შეეხება მეორად დამუშავებასა და ობსიდიანის ატკეცვის ტექნიკას: სამშვილდის მასალაში გავრცელებულია მსხვილფაცეტა, წვრილფაცეცა დამაბლაგვებელი და წამამახვილებელი რეტუში. ამ სახის დამუშავება გავრცელებულია აგრეთვე ზემოთ მითითებულ ძეგლებში. ნივთებში ისახება ატკეცვის ტქნოლოგიის დაბალი დონე, არ არის გამოკვეთილი იარაღების ტიპები. ამიტომაც არის რომ იარაღების სრული რაოდენობა დამზადებულია შემთხვევით ანატკეც-ანამტვრევზე.

სამშვილდის მასალის სიმცირის მიუხედავად, შესწავლილი მასალა დიდი ინფორმაციის მატარებელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ მასალა არ განეკუთვნება in situ ფენებს, არ გამოვრიცხავთ, რომ მისი ნაწილი განეკუთვნება ენეოლითი-ადრებრინჯაოს პერიოდის დანგრეული ნამოსახლარის ნარჩენებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბახტაძე, ნ. (2007). კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში. თბილისი.

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., ბუხსიანიძე, მ., გაბუნია, თ., ოდილავაძე, დ., ქებულაძე, ნ. სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიში /2015-2016 წწ/.

ბერიკაშვილი, დ. (2017). არქეოლოგიური გათხრები სამშვილდეში (2015-2016 წლის მასალები). თბილისი.

გრიგოლია, გ. (1977). ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალური. თბილისი.

გრიგოლია, გ., ბერიკაშვილი, დ. (2018). ნეოლითური ქვის ინდუსტრია სამშვილდედან. ჟურნ. „არქეოლოგია“. თბილისი.

გაბისონია, მ. (2018). შუა საუკუნეების ადგილობრივი კერამიკა სამშვილდედან . ჟურნ. „არქეოლოგია“. თბილისი.

გაბელაია, ნ. (2018). ბრინჯაოს ხანის მასალა სამშვილდის უახლესი გათხრებიდან სამშვილდედან. ჟურნ. „არქეოლოგია“. თბილისი: საქ. უნ. გამ-ბა.

გრიგოლია, გ., ბერიკაშვილი, დ., ყვავაძე, ე. მიულერი, ა., კუპალ, ი. (2017).საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშ . თბილისი.

კიღურაძე, თ. მენაბდე მ.(1981). სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

კიღურაძე, თ. (2011). აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითური და ენეოლითური კულტურები. თბილისი.

კიღურაძე, თ. (1975) ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები(1965-1971წწ.) რედ. ალ. ჯავახიშვილი ; ო. ჯავახიშვილი. თბილისი.

კიღურაძე, თ. (1976). აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბილისი.

მირცხულავა, გ. (1975). სამშვილდე. თბილისი.

ნებიერიძე, ლ. (2010). წოფის ენეოლითური კულტურა. თბილისი.

ჩიქოვანი, გ. შატბერაშვილი ზ. გოგოჭური გ. (2010). ენეოლით_ადრებრინჯაოს ხანის ახალი ძეგლი თეთრიწყაროში. (რედ). გელა გამყრელიძე. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბილისი.

ჩუბინიშვილი, ტ. (1967) ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, 1996 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა -ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი XVI სამეცნიერო სესია, მოკლე ანგარიშები, თბილისი.

ჩიქოვანი, გ., აბულაძე, ჯ., ჟვანია, დ. (2015). ქვემო ქართლის (არუხლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები (1966-1988წწ.) თბილისი.

ჩიქოვანი, გ. (1999) შიდა ქართლი ძვ.წ.-V-IV ათასწლეულებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ჭილაშვილი, ლ. (1970) ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. II. თბილისი.

ჰანზენი, ს., მირცხულავა, გ. (2013). ადრესამიწათმოქმედო კულტურა სამხრეთ კავკასიაში (არუხლოს გორაზე 2005-2011 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სა-

მუშაოების ანგარიში). თბილისი.

Варазашвили, В. (1992) Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассеина. Тбилиси.

M.-L. Iniza, M. Reduron-ballinge j. Tixier (1999). Technology and terminology of knapped stone. Naterre : CREP

SAGONA A. (2018) The Archaeology Of The Caucasus. United Kingdom.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1). ნუკლეუსის ნახევარ ნამზადი. № N8 თხრილი. 2016 წ. 2). გალეული ნუკლეუსი. №N8 თხრილი. 2016 წ. 3). ნუკლეუსი. №O7 თხრილი. 2018 წელი.(ფოტ. ავტ. ლ. კვახაძე)

ტაბ. II – 1). მრავალფუძიანი ნუკლეუსი. №O7თხრილი. 2018 წელი. 2). გალეული ნუკლეუსი. №O7თხრილი. 2018 წელი. 3). ნუკლეუსი. №O17თხრილი. 2016 წელი. (ფოტ. ავტ. ლ. კვახაძე)

ტაბ. III- 1). საფხეკი. №O7 თხრილი. 2018 წელი. 2). საფხეკი. №O7 თხრილი. 2018 წელი. (ფოტ. ავტ. ლ. კვახაძე)

ტაბ. IV- 1). საჭრისის ნამზადი. №O7 თხრილი. 2018 წელი. 2). საჭრისი. №O7თხრილი. 2018 წელი. (ფოტ. ავტ. ლ. კვახაძე)

ტაბ. V- 1) სახვრეტისებური იარაღი. №O17თხრილი. 2016 წელი. 2) ლამელაზე დამზადებული ბურღისებური იარღი. №O8 თხრილი. 2017 წელი. (ფოტ. ავტ. ლ. კვახაძე)

ტაბ. VI- 1) საფხეკისებური იარღი სავ. №O17 თხრილი. 2016 წელი. 2) სათლელისებური იარაღი. №O7 თხრილი. 2018 წელი. 3) საფხეკისებური იარაღი. №O8 თხრილი. 2017 წელი. (ფოტ. ავტ. ლ. კვახაძე)

ცხრილების აღწერლობა

ცხრილი №1: 2016 წლის სამშვილდის ნაქალაქარის სიონის უბნის თხრილი №O17-ის მასალის რაოდენობა და ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

ცხრილი №2: 2018 წლის სამშვილდის ნაქალაქარის სიონის უბნის თხრილი №O7-ის მასალის რაოდენობა და ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

ცხრილი №3: 2017 წლის სამშვილდის ნაქალაქარის სიონის უბნის თხრილი №O8-ის მასალის რაოდენობა და ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

ცხრილი №4: 2016 წლის სამშვილდის ნაქალაქარის სიონის უბნის თხრილი №N8-ის მასალის რაოდენობა და ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

ცხრილი №1 თხრილი №O17	
კატეგორია	რაოდენობა
ანატკეცი სულ	53
ანამტვრევი სულ	150
ანამტვრევი კაჭრიანი	56
ანატკეცი კაჭრიანი	20
ნუკლეუსი	4
საფხეკი	9
სახვრეტი	2
სათლელისებური იარაღი	2
ლამელისებრი ანატკეცი	2
ანამტვრევი გამოყენების კვალით	28
ანატკეცი გამოყენების კვალით	16
Σ	222

ცხრილი №2 თხრილი №O7	
კატეგორია	რაოდენობა
ანატკეცი სულ	20
ანამტვრევი სულ	142
ანამტვრევი კაჭრიანი	52
ანატკეცი კაჭრიანი	36
ნუკლეუსი	7
საფხეკისებური იარაღი	7
სახვრეტი	2
სათლელისებური იარაღი	
ლამელისებრი ანატკეცი	1
ანამტვრევი გამოყენების კვალით	4
ანატკეცი გამოყენების კვალით	6
სათლელისებური იარაღი	1
საჭრისი	3
Σ	297

ცხრილი №3 თხრილი №O8	
კატეგორია	რაოდენობა
ანატკეცი სულ	39
ანამტვრევი სულ	75
ანამტვრევი კაჭრიანი	25
ანატკეცი კაჭრიანი	10
საფხეკისებური იარაღი	4
ბურღისებური იარაღი	1
ლამელასებრ ანატკეცი	5
ანამტვრევი გამოყენების კვალით	7
ანატკეცი გამოყენების კვალით	10
Σ	122

ცხრილი №4 თხრილი №N8	
კატეგორია	რაოდენობა
ანატკეცი სულ	102
ანამტვრევი სულ	108
ანამტვრევი კაჭრიანი	44
ანატკეცი კაჭრიანი	36
ნუკლეუსი	4
საფხეკისებური იარაღი	3
სათლელისებური იარაღი	1
ლამელასებრ ანატკეცი	2
ანამტვრევი გამოყენების კვალით	1
ანატკეცი გამოყენების კვალით	4
საჭრისი	1
Σ	215

Newly discovered stone industry of Samshvilde

Kvaxadze Levan,
The University of Georgia
Levan.kvaxadze@gmail.com

Introduction

Flaked stone material discovered in "Sioni district" of Samshvilde former settlement in Tetritskaro Municipality is reviewed in the paper. The former settlement is located at the distance of 3 km from village Samshvilde, at a very strategically favorable place. The site is located on a high, elongated cape directed from the west to the east, at the confluence of Chivchava and Khrami rivers. The cape represents a 150-200 m high rock massive created from basalt layers.

Flakes stone material was first discovered during the 2016 field season. Presently, five trenches are open on Sioni district.

I. Trench No. N8 covering the area of 25 square meters. It was entirely studied in 2016-2017. The later thickness does not exceed 1.20 cm.

II. Trench No. O17 covering the area of 25 square meters. It lies to the east of Sioni Cathedral. The distance between these two trenches is 40 meters.

III-IV. Trenches No. O8 and No. O7 have a smaller size and cover 12 square meters and 20 square meters.

V. Trench No. N9 covering only 5 square meters.

In almost all trenches of Samshvilde former settlement, namely Sioni district, the first context belonged to the strata of the developed and late middle ages, which is also confirmed by the material common for the same period. Together with the material of the middle ages, fragments of small flakes and chips of obsidian were discovered in the first context. As the ground became deeper, the volume of stone (more intensely, obsidian) flakes and chips grew and the initial observation on the material made it clear that this material belonged to the middle ages. The material belonged to different contexts both in terms of culture and chronology. During archaeological study of trenches, basalt source rock was discovered at the depth of 0.80 – 1.0 cm from the ground surface and its natural hollows (crevices and pits) seem to have been filled with a lime-like layer in the early middle ages. "Lime" conserved the stone material. On the former settlement, the active life of the developed and late middle ages, 'middens" and "burial grounds" of the same period made a hole in this "lime surface", mixed this material together with lime – strata of obsidian, flint-stone tools and strata containing ceramics of the later period – Bronze Era and stone material was found in the stratum containing the middle ages. At the same time, it should be mentioned that on those sections of Sioni district, where archaeological strata were completely excavated and the source rock was fully or partially denudated, immovable strata earlier than the cultural stratum of middle ages has not been confirmed. However, discovery of archaic stone material should be indicating existence of such strata on Samshvilde cape. It should also be mentioned that small and large cave complexes are frequently seen in the rocky massives of the cape. They are found around Samshvilde cape, on the right and the left slopes of Chivchava and Khrami rivers. Superficial reconnaissance of these caves identified ceramics of the middle ages, as well as obsidian flints and chips, which makes us think that this territory must have been

fully used in various periods of the stone age, requiring further study. It was also highlighted that Guram Mirtskhulava excavated a burial ground of the Early Bronze era near village Samshvilde, within 3 km from Samshvilde former settlement. The material of the same period is also confirmed on Samshvilde cape, in the form of small ceramics. According to Guram Mirtskhulava, a part of pottery discovered here resembles the material of Tsopi type monuments [Mirtskhulava G. 1975: 10-21.]. Therefore, we can assume that we might be dealing with the group of early agricultural monuments which have been unknown until now. It is impossible to say something definitely due to scarcity of materials discovered until now and the conducted archaeological excavations. This fact can be confirmed or rejected only by a future archaeological study.

Functional-typological and morphological description of Samshvilde stone material

Part of materials discovered in Samshvilde former settlement during the last four years – 856 stone flake items are processed in the paper (see tables 1, 2. 3, 4). The former settlement sections are divided into 5 X 5 square meter trenches. Due to the fact that the material was not coming from in situ strata, study of material by strata made no sense. Therefore, it was considered expedient to process the material by trenches.

4 main groups were identified in the material during functional-typological and morphological description of flaked stone material (obsidian, flintstone etc.) and based on them, we started entering the material in the electronic database. The first group of the trench materials includes nuclei and their parts; the second group includes chips and tools made on them. Here we also included chips which have a trace of use or retouch, but which we could not identify as independent tools. The third group includes flakes and tools made on them and the fourth group includes lamellas, lamella-like flakes and stoned made on them. The forms of lamellas and flakes depend on the nuclei types, so we will start characterizing and describing the stone material with nuclei. Afterwards we will provide characterization of chips, flakes and lamellas, and finally – of made tools. It should be mentioned that among the chips and flakes we will separate a group with unprocessed artifacts. As chips covered with boulders dominate in the material, their quantity will be also recorded; when characterizing the flakes, we will separately mention the type of processing of tools made on them and their quantity; Among the processed flakes, we will separate items will retouched blades, grooved sides and blunt back. Also, we considered necessary to separate chips which have a trace of use, but do not belong to any group of tools.

The stone material discovered in the trench No. N8 located to the north of Sioni Cathedral is presented by 214 obsidian items (see table 4). All discovered stone items represent flakes and chips, and tools make a smaller part. By the quantity, the first place is given to chips (108 pieces). Out of here, the surface of 44 pieces is entirely or partially covered by volcanic rock (boulders). We attributed only three of them to independent tools which had a trace of secondary processing. One more piece had only the trace of use and was represented by sequential thin chips. These are followed by flakes (102 pieces) and out of them, 36 pieces have partially preserved volcanic rock (boulders). Four pieces of flakes have a trace of secondary processing – retouching. Four nuclei are presented in the material. One of them - dark back opaque rock obsidian - is interesting. Its base it levelled and volcanic rock (boulders) surround its half side. Two sides have a trace of flaked negatives. This item represents a semi-hewn nucleus. Its dimensions are: 2.2X1.5X1.6 cm (see table 1, fig. 1). The other item is also a semi-hewn nucleus and the remain-

ing two items are depleted and amorphous nuclei (see table 1, fig. 2). The material contains one piece of a sharpener-like tool, which represents a flake of grey opaque rock. The blade of the tool is thinned by rough splints. The item is fragmented. The bottom of the flake has a trace of volcanic rock. Its dimension is: 3.5X3.4X0.9 cm. One piece of scraper has a grooved side and its dimensions are 2X2.7X 0,6 cm. Three scrapers with oval blades have dimensions: 3X2.1X0.9 cm, 3.7X2X1.1 cm. There is one piece of graver-like tool in the trench, made on the rough flake of opaque rock obsidian and one of its straight angles has a thin retouch. Its dimensions are: 3X1.5X1 cm. There is one piece of three-sided lamella in the material. It represents a fragment of black, opaque rock obsidian lamella. The item is preserved in a broken form and does not have blade and bottom parts. Both sides from the backside are processed with a thin blunting retouch. Its dimensions are: 0.9X1.5X0.6 cm.

As for the secondary processing, large-facet and wide-facet transitional types dominate in the material. Small part of the material has a trace of use which is presented by thin, sequential splints on the surface of the item. Transparent obsidian rock items dominate in the flaked stone material – 78 pieces are transparent and 52 pieces are opaque in the material of the trench No. N8. Also, we identified 81 cloudy rock obsidians in this trench. By the color, black and dark rock material dominates. There is a small amount of grey obsidian.

The second trench which we will discuss is the trench No. O7. Its study began in 2018 and it is located to the north of Sioni church. Only 20 square meters of this trench are excavated, but out of the presented material, obsidian stone flaked material was discovered in the largest amount and it equals to 297 pieces (see table 2). We will start the description by nuclei which were discovered in the trench O7 too in small amount (7 pieces). All of them were obtained from obsidian rocks, as a result of smoothing and flaked negatives are seen on the surface. All of them are depleted nuclei. We will identify separate groups. The first group includes 3 pieces of multi-base nuclei (see table 2, fig. 3, see table 1, fig. 3). Two of them are fully used (depleted) and their dimensions are 3.2X2X2 cm -1.9X2X2 cm. The third piece is used for scraping, it is broken in half and there is a trace of use on its bottom. The second group includes 4 pieces of depleted and broken nuclei (see table 2, fig. 2). Three of them have preserved only a base. They are fully depleted and are not subject to classification and a graver is made on the base of the fourth of one. By the amount of material, first place is occupied by chips (142 pieces) and the length of most of them does not exceed 3 cm. There are several pieces of 4-5 m long chips. Only four of them have undergone secondary processing – retouch. The surface of 52 pieces have a trace of volcanic rock (boulders) entirely or partially. Flakes occupy the second place in terms of quantity in the stone flaked material (151 pieces). According to the morphological analysis, the length of majority of flakes does not exceed 2-3 cm. Out of this material, 21 pieces have a trace of secondary processing (retouch). Large-facet blunting and sharpening types dominate among the latter. Small part of material had a trace of use, which was represented by small sequential splints on the surface of the item. Interestingly, large part of flakes has a protuberance of flaking, which is characterized by large striking area. The area is often covered by volcanic rock (boulders). There are boulders along the partial or entire side of 36 pieces of flakes. Out of obsidians, 201 pieces are transparent and 95 pieces are opaque. Most of them are black and dark color rocks. There are few grey rock obsidians. There is a small percentage of tools in the material and their absolute majority is made on chips and flakes.

There was only one case when a tool was formed on a nucleus. Scrapers dominate in the

tools (see table 3, fig. 1, 2). They are presented by 7 pieces and are divided into grooved, oval and straight-sided scraper groups. All of them are made on rough flakes and chips. Sided scrapers are processed by a large-facet or small-facet sequential or partial retouch from the back or from the front. Out of scrapers, 2 pieces have grooved sides - 3X1.5X1cm. 3X2.6X1cm, 3 pieces have an oval blade - 3.7X2.9X1 cm. 3,7X5.4X1,6 cm, 2 pieces have a straight blade 4.6X3.3X1.1 cm, 2.1X2,6cm X0.8 cm. There are three pieces of gravers in the trench. One graver which is formed on the flake fragment, is processed on the upper angle of the flak with a thin retouch and its dimensions are 2.6X1.4X0.7 cm. The second one was made on a broken obsidian flake. The blade of the latter is retouched. Dimensions of the item are: 2.7X2.7X0.8 cm. The third item represents a tool the one narrow side whereof is used as a graver. The item is presented in a fragmented form. Its dimensions are: 1.9X1.5X0.5 cm (see table 4, fig. 1). There are two pieces of perforators and both of them were made on a flake. One perforator is made from the front part, on the right side. The item has a pointed form and its sides are broken opposite to each other. Dimensions of the item are: 1.5X2.4X0.7 cm. The second perforator is also made on a thin plate of a transparent flake, on the right side from the front. Dimensions of the item are: 2X2.6X0.5 cm. There is one sharpener-like tool in the material. It represents a thin, opaque flake plate. Its surface is thinned by several negatives and there is a trace of use on its two arched sides. Dimensions of the item are: 2.6X1.6X1.6 cm.

Trench No. O8 is located in Sioni district, to the north of Sioni church. It was studied in 2017-2018 and the stone material discovered in the trench is presented by 122 pieces of obsidian items (see table 3). Unlike material from other trenches, there are medium-sized lamellas and lamella-like flakes in this material. Obsidian flakes dominate in the material. 75 pieces were discovered. Out of them, 25 pieces have a natural rock (boulders) on the surface, partially or entirely. Only 7 flakes have a trace of use. In the material, flakes occupy the second place in terms of quantity – 39 pieces. Out of here, 8 pieces have a trace of boulders on the surface and only 10 pieces have a trace of use. 3 pieces of flakes have a trace of patina on one surface. According to the morphological study of the material, transparent rock obsidian dominates in the trench No. O_8. 95 pieces are transparent and 28 pieces are opaque. Among the tools, there is one piece of drill-like tool made on a lamella. The item represents a transparent black obsidian lamella-like flake which is seen as a fragment. Its blade is used for perforation. Dimensions of the item are: 2X1X1 cm (see table 5, fig. 2). There are 4 pieces of a scraper-like tool.

One of them represents a transparent, thin flake plate which has a trace of rough splints. Its dimensions are: 3X2X1 cm. The second item represents a large, opaque grey rock obsidian flake. The flake head has a trace of rough use from the front and the back side. There is a trace of volcanic rock (boulders) on one side. Its dimensions are: 5.5X3.5X1 cm (see table 4, fig. 3). The third scraper is made on a cloudy grey rock obsidian flake. The item had several functions. The flake head is thinned by several negatives, as a sharpener-like tool and its left straight-blade side has a streaming retouch. The right side is grooved by a thin retouch in two places. Its dimensions are: 3X2.2X0.5 cm. The fourth item has a rough large-facet retouch on the left, straight-blade side from the front part. The right side has a trace of use which is limited to grooving on a small place. There is a fragmented trace of volcanic rock (boulders) on the bottom and back of the flake. Its dimensions are: 3X2X1 cm. Unlike other trenches, several pieces of lamellas (4 pieces in total) are presented in the material. Three of them are three-sided with dimensions: 5.5X3X1 cm - 4.5X2.3X1 cm - 5X 3.5X0.5 cm and one is one-sided -3X2X0.5 cm. Lamellas do not repre-

sent independent tools and only two of them have a trace of minor use.

222 pieces of stone flaked material were discovered in trench O_{17} in 2016 (see table 1). Out of here, there are 220 pieces of obsidian and only two other rock stones. Only 3 pieces of nuclei are found in this trench. All of them are cut from obsidian rock and uneven flake negatives are seen on the surface. One of them represents a multi-base nucleus and its dimensions are 2.2x2 cm. It is a black, transparent rock obsidian. The second nucleus which is preserved in the form of a fragment is a part of a base. The fragment has a trace of secondary use. Its dimensions are: 3X2 cm. Based on the trace of use we can assume that it was used as a scraper. The latter represents a depleted nucleus and its dimensions are: 3X1.7X1 cm. All three nuclei were obtained as a result of shaping a black obsidian. The largest group in the material is the obsidian chips – 150 pieces. 56 pieces of chips have a trace of volcanic rock (boulders) on the surface, entirely or partially. Majority of chips are medium and small sized. The length of medium-sized obsidians does not exceed 5 cm. Also, two chips are interesting. Their surface is entirely covered by patina. Patina is effaced on the side of one of them and the trace of use is seen. 28 pieces of chips have a trace of use on the surface. As chips entirely represent a defect received during the primary processing of stone, or random fragments received in the process of nucleus shaping, therefore, we do not see the secondary processing of chips in the material, however, there were several dozens of chips in the material with a trace of minor use. Flakes rank second in the stone industry in terms of quantities – 53 pieces. Volcanic rock (boulders) is seen on the surface of 20 of them partially or entirely. Only 6 flakes have a retouch and we entered some of them as an independent tool. We also identified 12 flakes which have a trace of use. They are presented in the form of thin, fine splints on the flake surface. Out of the trench material, there are 143 pieces of transparent rock black obsidian and 79 pieces of dark, black and grey, opaque or cloudy rocks. Based on the material, we can say that transparent obsidian dominates, also there are many thin obsidian flakes whose length and width do not exceed 4 cm and represent thin, random flakes. Major part of them have a protuberance of flaking which is characterized by a large striking area. The striking area is often covered by volcanic rock (boulders).

There is lack of tools (13 pieces) in the material. 2 of them represent sharpener-like tools. One of them is made on the depleted nucleus of black transparent rock obsidian which is later thinned by several negatives and is used as a sharpener-like tool with dimensions: 2X2X1 cm. The other one represents a thin transparent flake plate whose both sides are thinned by several negatives. Its dimensions are: 2X2X0.4 cm. Out of tools, there are 9 scrapers. Most of scrapers are formed on random flakes and chips. There are 2 pieces of perforator-like tools in the material. One of them represents a perforator formed on a chip. Its dimensions are: 3X2X1 cm. The other perforator has a pointed head and is slightly grooved in two places, opposite to each other. Its dimensions are:2X1X0.5 cm.

In the process of writing the paper, we processed and reviewed various scientific literature and papers related to the sites of early agricultural Neolith and Eneolithic period. We became acquainted with the stone flaked material discovered on Shulaveri-Shomu Tepe cultural sites of the Late Neolith era and Tsopi-Ginch cultural sites of the Eneolithic era.

For comparison of Samshvilde stone flaked material we used materials of various sites discovered in the Eastern Georgia. Selection of sites was predetermined by territorial-geographic proximity. First, I studied Shulaveri-Shomu Tepe cultural sites of the Late Neolith era discovered in Kvemo Kartli: Shulaveri hill, Imiri hill, Dangreuli hill, as well as Arukhlo group sites: Arukhlo

I, Arukhlo II, III and former settlements of Tsopi and Sioni type of the Eneolithic era and stone flaked materials discovered on these sites. Also, another region studied by us was Kakheti where we reviewed the stone material discovered on the Eneolithic era sites of Iori-Alazani basin – Tsitelgorebi and Damtsvari-Gora. We also became familiarized with flaked stone materials of the early agricultural former settlements of Aragvi valley in Kvemo Kartli, village Zhinvali, Chinti, Nichbisi "Bornistavi". Due to the fact that Samshvilde stone flaked material does not come from specific strata, on the one hand, we could not make accurate conclusions, but on the other hand, similarities with and differences from materials of Shulaveri and Arukhlo group sites, as well as stone flaked materials of Tsopi-Ginch were partially discovered in the discovered stone artifacts. Analysis of Samshvilde material showed that obsidian is used as the main raw material on the site which coincides with the material used on these cultural sites. As for the stone industry, nuclei are presented in Samshvilde materials in several dozens of pieces. One-base and multi-base nuclei are identified which are almost fully used (depleted) in Samshvilde materials or are presented in a broken form which does not allow for comparing with Shulaveri-Shomu-Tepe or Tsopi stone materials.

Morphologically, unlike Samshvilde materials, lamellas create the largest group of items in the materials of Shulaveri (Shulaveri hill, Imiri hill, Dangreuli hill), Arukhlo (Arukhlo I, II and III and Khrami large hill), Tsopi-Sioni, Iori-Alazani (Tsitelgorebi and Damtsvari-Gora), Aragvi valley group sites. The main items are retouched or unretouched lamellas. Retouched flakes are also presented as a large group and they are mainly made on thin, medium-sized obsidian plates. Majority of tools discovered in Samshvilde materials is made on flakes which make them different from the above reviewed sites, where the second largest morphological group is made of lamellas and micro-lamellas, from which various tools are made later. We have almost similar picture in the materials of Shulaveri-Shomu-Tepe and Tsopi-Ginch site, while there is a different picture in Samshvilde material this time too. Out of 856 studied items, only several pieces of lamellas are discovered. Majority of tools is made on random flakes or chips, in rare cases – on depleted nuclei.

Also, it is interesting that observation on Samshvilde flaked stone collection suggests that initial processing of raw materials of tools was not carried out in the deposit. This opinion is supported by the fact that the material contains large number of flakes and chips which have partially or entirely preserved volcanic rock (boulders). It seems that obsidians entirely covered with boulders were brought to the former settlement from the deposit and were processed onsite. Natural rock was removed from raw material in Samshvilde and medium-sized flakes and chips were obtained during the processing. Also, scrapers which are partially covered by natural rock are found in the material. As for comparison, the items which were partially or entirely covered by natural rock were not reviewed in the materials of Tsopi, Shulaveri, Arukhlo, or Ior-Alazani group. This may also be explained by the fact that on these sites, nuclei were shaped in the deposit and the finished product was brought to the former settlement, or archaeologists of older generation did not pay attention to such materials and only finished items were studied and published.

We cannot definitely say that fundamentally different samples are presented in the stone materials of Samshvilde and other reviewed sites of and other sites, because materials discovered on these sites have similarities with as well as differences from each other. The main difference is that lamella technique is not clearly observed in Samshvilde material. Large portion of Samshvilde material is made on random flakes. The main groups of industry are distinguished here:

nuclei, flakes, chips, scrapers (most of them were made on small and medium-sized flakes), sharpener-like tools, finally, small number of gravers and perforators. In case of Samshvilde, in terms of morphology, the leading material is flakes and small amount of chips, several scrapers made on a nucleus. Unlike the sites of Shulaveri, Imiri hill and Arukhlo group, there are no microliths in the material.

As for the secondary processing and obsidian flaking technique: large-facet, thin-facet blunting and pointing retouch is common in Samshvilde material. This kind of processing is also widespread on the above sites. The items reflect a low level of flaking technology, the tool types are not identified. Therefore, all tools are made on random flakes and chips.

Despite scarcity of Samshvilde material, the studied material appeared to contain vast information. Even though the material does not belong to in situ strata, we do not exclude that a part of material belongs to remnants of the destroyed former settlement on Eneolithic-Early Bronze period.

Figure contents

Fig. I – 1). Nuclei. №o N8 trench. 2016 y. 2). Nuclei. №N8 trench. 2016 y. 3). Nuclei. №O7 trench 2018 y.(Photo by L.kvakhadze);

Fig. II – 1). Nuclei. №O7 trench. 2018 y. 2). Nuclei №O7 trench 2018 y. 3). Nuclei. №O17 trench 2016 y. (Photo by L.kvakhadze);

Fig. III- 1). Scrapers №O7 trench 2018 y. 2). Scraper №O7 trench. 2018 y. (Photo by L.kvakhadze);

Fig. IV- 1). Cutters. №O7 trench. 2018 y. 2). Cutters. №O7 trench. 2018 y.(Photo by L.kvakhadze);

Fig. V- 1) Perforating tools. №O17 tranch. 2016 y. 2) perforating tools №O8 trench. 2017 y.(Photo by L.kvakhadze);

Fig. VI- 1) Scrapers №O17 trench. 2016 y. 2) Sharpener №O7 trench 2018 y. 3) Scrapers №O8 თხრილი. 2017 y (Photo by L.kvakhadze).

Table contents

Tab. 1: 2016 y. sion District. trench No. O17- Quantity of material and functional classification.

Tab. 2: 2018 y. sion District. trench No. O17- Quantity of material and functional classification.

Tab. 3: 1: 2017 y. sion District. trench No. O17- Quantity of material and functional classification.

Tab. 4: 1: 2016 y. sion District. trench No. O17- Quantity of material and functional classification.

რუსუდანის ვერცხლის მონეტები სამშვილდედან

(2019 წლის აღმოჩენა)

ბერიკაშვილი დავით,
საქართველოს უნივერსიტეტი
d.berikashvili@ug.edu.ge

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.7

შესავალი

2019 წლის 24 ივლისს, სამშვილდის ნაქალაქარზე, სიონის საკათედრო ტაძრის სიახლოვეს მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩნდა სამარხი რომელსაც მიენიჭა რიგითი ნომერი 4. მიუხედავად იმისა, რომ სამარხი გვიანდელი არქეოლოგიური კონტექსტებით იყო დაზიანებული, აქ გამოვლენილმა არქეოლოგიურმა მასალამ მაინც მოგვცა საშუალება განგვესაზღვრა მისი თარიღი და სოციალური ხასიათი*.

ნაწილობრივ დაზიანებულ ჩონჩხთან ერთად, სამარხში აღმოჩნდა ძლიერ კოროზირებული რკინის ბეჭედი, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და რუსუდან დედოფლის ათი ცალი ვერცხლის მონეტა.

წინამდებარე სტატია აღნიშნული სამარხის მასალების პირველი პუბლიკაციაა. იგი დღევანდელ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს და ამავე დროს, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ძალზედ მნიშვნელოვანი, ახალი ნუმიზმატიკური მონაპოვარი, რაც სამშვილდისა და ზოგადად, საქართველოს ისტორიის კვლევისათვის დამატებით წყაროს წარმოადგენს**.

არქეოლოგიური ნაწილი

სიონის საკათედრო ტაძარი სამშვილდის ნაქალაქარის ერთ-ერთ გამორჩეულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს წარმოადგენს. მისი აშენების თარიღად 759-777 წლებია დადგენილი [ჩუბინაშვილი ნ. 1969. 27], ხოლო მის აღმოსავლეთ ფასადზე არსებული ქტიტორული წარწერის შესრულების თარიღად კი - 777-778 წლები [მუსხელიშვილი ლ. 1943. 97]. ზუსტად არაა ცნობილი, თუ როდის მოხდა ტაძრის დაზიანება და ნგრევა, თუმცა, სავარაუდოა, რომ ეს IX-X საუკუნეებში უნდა მომხდარიყო და მიზეზი, შესაძლოა, ძლიერი მიწისძვრა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ სიონის ტაძრის სამშენებლო ქვები გამოყენებულია სამშვილდის ბაზილიკის მშენებლობის დროს [ჩუბინაშვილი ნ. 1969. 9], რომელიც სწორედ ამ ხანებშია აგებული [გაგოშიძე გ., ჩანტლაძე ნ. 2009. 70]. შესაბამისად, ითვლება, რომ ამ დროს დაზიანებული, ან შესაძლოა, უკვე დანგრეული საკათედრო ტაძრის სამშენებლო მასალა ახლად მშენებარე ბაზილიკის ხუროთმოძღვრებს ხელმეორედ გამოუყენებიათ.

---

* აღნიშნულ გათხრებს სამშვილდის ნაქალაქარზე აწარმოებს საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი, პროფ. დავით ბერიკაშვილი).

** პარალელურად მიმდინარეობს სამარხიდან აღებული მიწის სინჯებისა და ტექსტილის კვლევა (პროფ. ელისო ყვავაძე - საქართველოს უნივერსიტეტი/საქართველოს ეროვნული მუზეუმი) და ასევე, ანთროპოლოგიური კვლევა მიცვალებულის სქესის, ასაკის, პათოლოგიებისა და დიეტის განსაზღვრის მიზნით (ანთროპოლოგი იზ. კუპალი - მონრეალის უნივერსიტეტი). კომპლექსური კვლევის შედეგები გამოქვეყნდება ცალკე სტატიის სახით.



სურ.1 Fig. სამშვილდის სიონის საკათედრო ტაძარი დღეს. 2019 წელი (ფოტო დ. ბერიკაშვილის) / Samshvilde Sioni Cathedral today. 2019. (Photo by D. Berikashvili).

სწორედ ამ და სხვა ისტორიული ფაქტების კვლევა-დაზუსტების მიზნით 2015-2016 წწ. დაიგეგმა და განხორციელდა გეოფიზიკური და არქეოლოგიური სამუშაოები, რაც სიონის საკათედრო ტაძარისა და ბაზილიკას შორის არსებული ტერიტორიის კვლევას გულისხმობდა [ბერიკაშვილი დ., გაბუნია თ., გაგოშიძე გ., ოდილავაძე დ., ბუხსიანიძე მ., გრიგოლია გ., კაჭარავა დ., ივანიშვილი ირ., ლომიძე ვ. 2015 . 115]. კვლევებმა, რომლებიც აქ სამი საველე სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა, სიონის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების 18 სამარხი გამოავლინა. [ბერიკაშვილი დ., ბუხსიანიძე მ., ყვავაძე ელ., ბითაძე ლ., გაბუნია თ. 2016. 12-13]. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მათი ქრონოლოგიის, კულტურული კუთვნილების, აქ დაკრძალულ ადამიანთა სოციალური სტატუსის განსაზღვრა და ანთროპოლოგიური კვლევები. დღევანდელი მონაცემებით დგინდება, რომ სამაროვანზე დაკრძალული ადამიანები საშუალო სოციალური სტატუსის მქონე სამშვილდელი მოქალაქეები არიან და ამ ვარაუდის საშუალებას სწორედ ის ფაქტობრივი არქეოლოგიური მასალა იძლევა, რომელიც სამარხებიდან მომდინარეობს [ბერიკაშვილი და სხვ. 2016. 9-13; ბერიკაშვილი და სხვ. 2017. 10-16].

ამ და სხვა საკთხების კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა №4 სამარხი, რომელიც სიონის უბნის N8 და O8 თხრილებს შორის მდებარე, ე.წ. „უღელის“ გათხრების დროს აღმოჩნდა (ტაბ. I).



სურ.2 Fig. სამარხი №4. სიონის უბანი. სამშვილდე (ფოტო დ. ბერიკაშვილი) / Grave №4. Sioni Area. Samshvilde. (Photo by D. Berikashvili).

როგორც სტრატიგრაფიული, ისე ქრონოლოგიური თვალსაზრისით N8 და O8 თხრილებში გამოვლენილი ფენები, ძირითადად სიონის საკათედრო ტაძრის ფუნქციონირების პერიოდს (VIII-IX სს) შეესაბამება, თუმცა, მათ გვერდით ასევე განირჩევა უფრო მოგვიანო, კერძოდ, კი მე-12-13 და მე-14-15 საუკუნეების არქეოლოგიური კონტექსტებიც. როგორც დღევანდელ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ირკვევა, მთელს ამ პერიოდში ნაქალაქარის ეს უბანი ძალზედ აქტიურ ურბანულ ქსოვილს წარმოადგენდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკათედრო ტაძართან. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც სიონის ტაძარი დაზიანდა და დაინგრა, ეს ტერიტორია კვლავაც განაგრძობდა ფუნქციონირებას, თუმცა, ამჯერად უკვე, როგორც სამაროვანი და გარკვეული რაოდენობა სამარხებისა, აქ სწორედ ამ პერიოდში უნდა იყოს გამართული.

№4 სამარხი სიონის ტაძრის ჩრდილოეთით, მისგან 15-ოდე მეტრის მოშორებით აღმოჩნდა. მას ჩაჭრილი ჰქონდა კირხსნარის მძლავრი (25-40 სმ), ხელოვნურად მოწყობილი ფენა, რომელიც ტაძრის ჩრდილოეთით დაახ. 80-100 კვ.მ-ზე ვრცელდება. ჩვენი აზრით, ტაძრის სიახლოვეს ამგვარი, ხელოვნურად ნიველირებული „მოედნის“ გამართვის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ არათანაბარი კლდოვანი ზედაპირით, რითაც ხასიათდება სამშვილდის კონცხი და რაც ტაძარში მისულ მომლოცველთათვის, ისევე, როგორც ქალაქის მკვიდრთათვის, გადაადგილების დროს სირთულეს

წარმოადგენდა.

სამარხის ძირი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 145 სმ. სიღრმეზე მდებარეობდა. დღეისათვის რთული წარმოსადგენია მისი კონსტრუქციის თავდაპირველი სურათი, ვინაიდან იგი, ისევე როგორც აქვე მდებარე სხვა სამარხები, გვიანი შუა საუკუნეების არქეოლოგიურ კონტექსტებს ძლიერ დაუზიანებიათ. ამავე მიზეზით რთულდება აქ დაკრძალული მიცვალებულის თავდაპირველი პოზის განსაზღვრაც, თუმცა, დაკვირვების შედეგად მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს ინდივიდუალურ, ინჰუმაციურ სამარხთან მიცვალებულის ქრისტიანულად დაკრძალვის წესით.


მიუხედავად სამარხის მნიშვნელოვანი დაზიანებისა, სკურპულოზურად შესრულებულმა არქეოლოგიურმა პრეპარაციამ, ისევე, როგორც, გათხრებში პროფესიონალი ანთროპოლოგის ჩართულობამ, მაინც შესაძლებელი გახადა სამარხის ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა და რაღა თქმა უნდა, აქვე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის თარიღის დადგენა.



სურ.3 Fig. სამარხი №4. სიონის უბანი. სამშვილდე (ფოტო ვ. განიე) / Grave №4. Sioni Area. Samshvilde. (Photo by W. Gagné).

არქეოლოგიური მასალა

№4 სამარხში აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვარი ერთი ცალი რკინის ბეჭდით, თიხის ორი ჭურჭლით (დოქი და ქოთანი) და ათი ცალი ვერცხლის მონეტით წარმოდგება*. აქედან აღსანიშნავია, რომ **ბეჭედი** მიცვალებულს მარჯვენა ხელის უსახელო თითზე ჰკეთებია და მიუხედავად ჩონჩხის დაზიანებისა, მისი დაფიქსირება მაინც In Situ მდგომარეობაში მოხერხდა. ძლიერი კოროზირების გამო რთულია ბეჭდის ზუსტი ფორმისა და მოყვანილობის განსაზღვრა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ის სადა, მარტივი ფორმის რკინის რგოლს წარმოადგენდა. ძნელად არის დასაშვები, რომ ეს ბეჭედი ფარაკიანი ან თვალ-ბუდით გამშვენებული ყოფილიყო. ერთადერთი, რისი თქმაც დანამდვილებით შეიძლება არის ის, რომ მსგავსი წრიული ფორმის რკინის ბეჭდები ცნობილია სიონის სამაროვნის [რამიშვილი რ. 1970. 125. ტაბ. XX-VII.3], ჟინვალის სამაროვნის [მინდორაშვილი დ. 2015. ტაბ.VII.4, 5. ბ. ჯორბენაძის მიხედვით], ამიდასტურის სამარხების [ლაღიაშვილი გ. 2011. 94. ტაბ. XX. 225], გორისყანის, ღელისკარის სამარხებისა [მინდორაშვილი დ. 2015. ტაბ. VIII.3.] და სხვა განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლების არქეოლოგიური კოლექციებიდან.



სურ. 4 Fig. რკინის ბეჭედი №4 სამარხიდან. (ფოტო დ. ბერიკაშვილი) / Iron Ring from the Grave №4. (Photo by D. Berikashvili).

სამარხში აღმოჩენილი ორი თიხის ნაკეთობიდან პირველი პირგადაშლილ და დაბალყელიან, ორყურა ქოთანს წარმოადგენს, მეორე კი ე.წ. „კვერცხისებური“ ფორმის მქონე დოქია**.

* რკინის ბეჭდის და ვერცხლის მონეტების კონსერვაცია განახორციელეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორებმა ნინო თავართქილაძემ და თეიმურაზ ფარჯანაძემ.

** სამარხში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმის რესტავრაცია-კონსერვაცია განახორციელა საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორმა თეა თორდიამ.

ქოთნის სიმაღლე - 26 სმ, პირის- 21 სმ, ძირისა კი - 19.5 სმ აღწევს. მას გარეშემო დაბალრელიეფური, ჰორიზონტალური წრეები შემოუყვება, ხოლო გვერდებზე კი, ერთმანეთის მოპირდაპირედ განლაგებული, ზემოდან წანაზარდებით გამშვენებული, ორი ცალი ოვალურგანივკვეთიანი ყური აქვს მიძერწილი (ტაბ. II. 2). ამ ტიპის ჭურჭელი ტიპოლოგიურად პირგადაშლილ ქოთნებს განეკუთვნება და კარგად არის ცნობილი დმანისის [ჯაფარიძე ვ. 1969. 57-76; ჯაფარიძე ვ. 1956; კოპალიანი ჯ. 1996. ტაბ. XLVI.1], რუსთავის [არჩვაძე თ. 1969. 120-135; ჩიკოიძე ც. 2007. 3. ტაბ. XXI. 6, 8], სიონის [რამიშვილი რ. 1970.], ნარლი დარას [მინდორაშვილი დ. 2013. 212-226; თვალჭრელიძე ზ. და სხვ. 2014. 128-158] და სხვა ძეგლების XI-XIII სს-ის არქეოლოგიური კომპლექსებიდან.



სურ. 5 Fig. 1. ორყურა პირგადაშლილი ქოთანი სიონის უბნის №4 სამარხიდან. მე-12-13 სს. 2. ე.წ. „კვერცხისებური“ ფორმის ცალყურა დოქი. სიონის უბნის №4 სამარხიდან. მე-12-13 სს. (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილი) / 1. Two handed Pot from the Grave №4. Samshvilde Sioni Area. 12th-13th cc. A.D. 2. “Egg-Shaped“ Jar from the Grave №4. Samshvilde Sioni Area. 12th-13th cc. A.D. (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).

მეორე ჭურჭელი, ე.წ. „კვერცხისებური“ ფორმის ცალყურა დოქს წარმოადგენს. მისი სიმაღლე 36 სმ-ს, ძირის დიამეტრი - 12 სმ-ს, მუცლისა კი - 23.5 სმ-ს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ დოქი ნაკლულია (პირ-ყელი მოტეხილი აქვს), მისი პარალელების მოძიება და თარიღის განსაზღვრა არ გართულებულა. აღსანიშნავია, რომ ჭურჭელი ერთგვარი რელიეფური დეკორით ყოფილა გამშვენებული, რაც მსუბუქად ამოღარული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზებით იყო გამოყვანილი. ამგვარი ტიპის

დოქები და მისი მრავალი ვარიაცია ცნობილია რუსთავის ციხის გათხრებიდან [ჩიკოიძე ც. 2007. გვ. 3. ტაბ. XXIII.8-10]. ასევე, დმანისის [კოპალიანი ჯ. 1996], კვეტერას [მინდორაშვილი დ. 2010. გვ.268. 2085; გვ.269. ტაბ. IX], ჟინვალისა [რამიშვილი რ. 1983; ბახტაძე ნ. 2013. 97. ტაბ. 119; 100. ტაბ. 122] და სხვ. განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური კომპლექსებიდან, რომლებიც XI-XIII სს-ით თარიღდებიან.

შესაბამისად, მართებულად მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული დოქის თარიღი, ისევე, როგორც პირგადაშლილი ქოთნისა, XI-XIII სს-ით განვსაზღვროთ, მით უმეტეს, რომ ამ თარიღს სავსებით უჭერს მხარს ის ნუმიზმატიკური მონაპოვარიც, რომელიც ამავე სამარხში გამოვლინდა.

ნუმიზმატიკური მონაპოვარი

როგორც შესავალ ნაწილში ითქვა, სიონის უბნის მე-4 სამარხის პრეპარაციის დროს ათი ცალი ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა. ათივე მონეტა ერთად, შეწიაღებულ მდგომარეობაში, მიცვალებულის მარჯვნივ, სხეულსა და მარჯვენა მკლავს შორის მდებარე მონაკვეთში მდებარეობდა. ისინი, სავარაუდოდ, ქისაში ელაგა და ასეთი სახით იყო მოთავსებული სამარხში. ამ პერიოდის სამარხებისათვის, ნივთები და მით უმეტეს მონეტები იშვიათობას წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის, ამ დროინდელ სამარხებში ვერცხლის მონეტების აღმოჩენის ფაქტი უცნობია.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ სამარხი გვიანდელი არქეოლოგიური კონტექსტებით იყო დაზიანებული. ამიტომ, თავდაპირველად დავუშვით იმის ვარაუდიც, რომ შესაძლოა მონეტები სამარხში ზედა შრეებიდან მოხვედრილიყო და არ ყოფილიყო სამარხის თანადროული. თუმცა, პრეპარაციის დასრულების შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ ერთ-ერთ მონეტაზე ქისის ტექსტილის ფრაგმენტები იყო შემორჩენილი, დავრწმუნდით, რომ ისინი სამარხში მიცვალებულისათვის საგანგებოდ ჩაუტანებიათ.

სამარხის პრეპარაცია და მონეტების ამოღების პროცესი რთული და ხანგრძლივი გამოდგა*. არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად სამარხიდან მიწის ორი სინჯიც (მიცვალებულის თავის ქალის ქვედა და წელის მიდამოებიდან) იქნა აღებული და მათი კვლევის შედეგებს, ისევე როგორც, ანთროპოლოგიური ნაშთებისა და ტექსტილის კვლევებს ცალკე პუბლიკაცია მიეძღვნება. იმის გამო, რომ მონეტები ერთ ჯგუფად იყო შეწიაღებული, მათი სამარხიდან ამოღება მხოლოდ ასეთივე მდგომარეობაში, ერთიანად იყო შესაძლებელი. შესაბამისად, მათი განცალკევება და რაობის განსაზღვრა მხოლოდ თვენახევრის შემდეგ, ექსპედიციის დასრულებისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის პირველადი დამუშავების ლაბორატორიაში ჩატარებული საკონსერვაცო სამუშაოებისას გახდა შესაძლებელი**.

---

* სამარხის პრეპარაცია განახორციელეს არქეოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებმა შოთა თვალაძემ (საქართველოს უნივერსიტეტი), ჯეინ პერანტმა და გაბრიელ როლდანმა (მონრეალის უნივერსიტეტი). ძვლოვანი ნაშთების სამარხიდან ამოღება განახორციელა ანთროპოლოგმა იზაბელ კუპალმა (მონრეალის უნივერსიტეტი).

** ეროვნული მუზეუმის პირველადი დამუშავების ლაბორატორიაში გაიწმინდა და კონსერვაცია ჩაუტარდა სამშვილდის სამონეტო განძს (რესტავრატორ-კონსერვატორები: ნ. ქებულაძე, ნ. თავართქილაძე, თ. ფარჯანაძე), რომელიც 2018-2019 წლებში, ნაქალაქარის ციტადელში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა (ხელმძღვანელი დ. ბერიკაშვილი). №4 სამარხის მონაპოვრისაგან განსხვავებით, სამშვილდის განძში შემავალი ყველა მონეტა სპილენძისგან იყო მოჭრილი.







სურ. 6 Fig. მონეტები №4 სამარხიდან. (ფოტო დ. ბერიკაშვილი) / The Coins from the Grave №4. (Photo by D. Berikashvili).

კერძოდ, დადგინდა, რომ საქმე გვქონდა საკმაოდ მნიშვნელოვან აღმოჩენასთან, და რომ, სამარხიდან მომდინარე ათივე მონეტა რუსუდანის კარგად შემონახულ ვერცხლის ფულს - დრამას წარმოადგენდა. ამავე დროს მონეტების ავერსსა და რევერსზე არსებული ქართულ-არაბული წარწერები, ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულ იესო ქრისტეს გამოსახულებასთან ერთად, მათ თარიღსა და კუთვნილებას უდაოს ხდიდა. მონეტების მნიშვნელობიდან და მათი დაცულობის ხარისხიდან გამომდინარე ყოველი მათგანის დეტალურად, ცალ-ცალკე წარმოდგენა აუცილებლად მიგვაჩნია.

პირველი მონეტა; ვერცხლი, D - 25 მმ. მასა - 2.79 გრ. (ტაბ.III.1)

შუბლი: ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით. ქრისტეს მარცხენა ხელში უჭირავს ბიბლია, რომელსაც ყდაზე რელიეფურად გამოსახული სამი ბურთულა ამკობს. ქრისტეს მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული „IC XI“ -ია („იესო ქრისტე“) განლაგებული, გამოსახულებას ირგვლივ შემოუყვება ასომთავრული გარშემოწერილი: ⴑⴡⴔⴒⴑⴕⴡⴣⴑⴣⴑⴑⴡⴣⴑⴣⴑⴑⴑ

ზურგი: მაღალ რელიეფურ, ორნამენტირებული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია „ᲯᲣᲩ“ (რუსუდან). ჩარჩოს და ქარაგმას გარეშემოუყვება არაბული წარწერა:

ملك الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(„დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“).

მეოთხე მონეტა; ვერცხლი, D - 27 მმ. მასა - 2.62 გრ. (ტაბ.III.4)

შუბლი: ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით. ქრისტეს მარცხენა ხელში უჭირავს ბიბლია, ყდაზე რელიეფურად გამოსახული ოთხი (?) ბურთულით. ქრისტეს მარცხნივ ბერძნული „IC“- ია გამოსახული, მარჯვნივ კი „XC“. გამოსახულებას შემოუყვება ნაწილობრივ წარხოცილი ასომთავრული წარწერა - ᲡᲥᲔᲢᲔᲩᲠᲘᲥᲜᲘᲩᲠᲘᲡᲢᲔᲑᲪᲮᲥᲩ (სახელითა ღვთისაითა იჭედა ქორონიკონსა), თუმცა, ქორონიკონი „უნ“ (=1230) მაინც განირჩევა.

ზურგი: რელიეფურ და ორნამენტირებულ ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია „ᲯᲣᲩ“ (რუსუდან). ჩარჩოს და ქარაგმას გარეშემოუყვება ნაწილობრივ წარხოცილი არაბული წარწერა:

ملك الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(„დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“).

მეხუთე მონეტა; ვერცხლი, D - 28 მმ. მასა - 2.50 გრ. (ტაბ.IV.1)

შუბლი: ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით. ქრისტეს მარცხენა ხელში უჭირავს ბიბლია, რომელსაც ყდაზე რელიეფურად გამოსახული ოთხი ბურთულა ამკობს. ქრისტეს მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული „IC XI“-ია განლაგებული („იესო ქრისტე“). გამოსახულებას ირგვლივ შემოუყვება სრულად შემორჩენილი ასომთავრული წარწერა - ᲡᲥᲔᲢᲔᲩᲠᲘᲥᲜᲘᲩᲠᲘᲡᲢᲔᲑᲪᲮᲥᲩ (სახელითა ღვთისაითა იჭედა ქორონიკონსა „უნ“ (=1230).

ზურგი: ორნამენტირებული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი „ᲯᲣᲩ“. ჩარჩოს და ქარაგმას გარეშემოუყვება ასევე სრულად შემორჩენილი, მაღალრელიეფური არაბული წარწერა:

ملك الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(„დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“).

მეექვსე მონეტა; ვერცხლი, D - 28 მმ. მასა - 2.72 გრ. (ტაბ.IV.2)

შუბლი: ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით. სხვა მონეტებისაგან განსხვავებით, ქრისტეს თმის რელიეფი შედარებით დეტალურად არის წარმოდგენილი. ქრისტეს მარცხენა ხელში უჭირავს ბიბლია, ყდაზე ოთხი რელიეფური ბურთულით. მარჯვენა ხელი, ისევ როგორც დანარჩენ ცხრა შემთხვევაში, „მაკურთხებელ“ პოზაშია. ქრისტეს მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული „IC XI“-ია („იესო ქრისტე“) განლაგებული. გამოსახულებას ირგვლივ კარგად შემორჩენილი ასომთავრული წარწერა - ᲡᲥᲔᲢᲔᲩᲠᲘᲥᲜᲘᲩᲠᲘᲡᲢᲔᲑᲪᲮᲥᲩ (სახელითა ღვთისაითა იჭედა ქორონიკონსა „უნ“ (=1230) შემოუყვება.

ზურგი: ორნამენტირებული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულ რუსუდანის დაქარაგ-

მებულ სახელს „ᲯᲣᲩ“ შესანიშნავად შემორჩენილი არაბული წარწერა -

ملك الملكات جلال الدنيا والدين روسان بنت تامار ظهير المسيح

(„დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“) შემოუყვება.

მეშვიდე მონეტა; ვერცხლი, D - 28 მმ. მასა - 2.60 გრ. (ტაბ.IV.3)

შუბლი: ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით ძლიერ არის წარხოცილი. გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებული ბერძნული ნიშნები „IC XC“ კარგად იკითხება. ასომთავრული წარწერა, რომელიც გამოსახულებას გარშემოუყვება ასევე ნაწილობრივ არის წარხოცილი, თუმცა მაინც განირჩევა ᲡᲩᲔᲢᲖᲘᲗᲡᲘᲗᲘᲡᲢᲘᲗᲒ („სახელითა ღვთისაითა იჭედა“) და ქვნ ქორონიკონი „უნ“ (=1230).

ზურგი: ორნამენტირებული ჩარჩოს ცენტრში ჩაწერილია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი „ᲯᲣᲩ“. ჩარჩო ე.წ. „შუბისპირის მაგვარი კონტურის“ ნაცვლად, ოთხი მხრიდან კონცენტრული, მრგვალი წრეებით არის მოჩარჩოებული. წრეებს შორის არსებული სივრცეები კი ხუთ და ექვსქიმიანი, რელიეფური ვარსკვლავებითაა შევსებული. ცენტრალურ ქარაგმასა და ორნამენტირებულ ჩარჩოს გარშემოყვება არაბული წარწერა:

ملك الملكات جلال الدنيا والدين روسان بنت تامار ظهير المسيح

(„დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“).

მერვე მონეტა; ვერცხლი, D - 27 მმ. მასა - 2.45 გრ. (ტაბ.IV.4)

შუბლი: ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით. ქრისტეს მარცხენა ხელში უჭირავს ბიბლია, ყდაზე ოთხი რელიეფური ბურთულით. ქრისტეს მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული „IC XI“-ია („იესო ქრისტე“) განლაგებული. გამოსახულებას ირგვლივ კარგად შემორჩენილი ასომთავრული წარწერა - ᲡᲩᲔᲢᲖᲘᲗᲡᲘᲗᲘᲡᲢᲘᲗᲒᲪᲭᲕᲩ (სახელითა ღვთისაითა იჭედა ქორონიკონსა „უნ“ (=1230) შემოუყვება.

ზურგი: ე.წ. „შუბისპირის მაგვარი კონტურით“ გამშვენებულ ორნამენტირებული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია ქარაგმა „ᲯᲣᲩ“ („რსნ“-რუსუდან), რომელსაც გარშემოუყვება არაბული წარწერა -

ملك الملكات جلال الدنيا والدين روسان بنت تامار ظهير المسيح

(„დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“) .

მეცხრე მონეტა; ვერცხლი, D - 27 მმ. მასა - 2.61 გრ. (ტაბ.V.1)

შუბლი: ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება პირდაპირ, თავზე შარავანდედით. შარავანდედი რელიეფური წერტილებით არის მორთული. ქრისტეს მარცხენა ხელში უჭირავს ბიბლია, ყდაზე ოთხი რელიეფური ბურთულით. ქრისტეს მარცხნივ და მარჯვნივ ბერძნული „IC XI“-ი („იესო ქრისტე“) იკითხება. გამოსახულებას ირგვლივ კარგად შემორჩენილი ასომთავრული წარწერა - ᲡᲩᲔᲢᲖᲘᲗᲡᲘᲗᲘᲡᲢᲘᲗᲒᲨᲭᲕᲩ (სახელითა ღვთისაითა იჭედა ქორონიკონსა „უნ“ (=1230) შემოუყვება.

ზურგი: ე.წ. „შუბისპირის მაგვარი კონტურით“ გამშვენებული, რთული, ორნამენ-

ტირებული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია ქარაგმა „ᲯᲣᲩ“ („რსნ“-რუსუდან). ქარაგმის ქვეშ ექვსქიმიანი რელიეფური ვარსკვლავია გამოსახული. ქარაგმასა და ჩარჩოს გარშემოუყვება არაბული წარწერა -

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(„დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“).

მეათე მონეტა; ვერცხლი, D - 25 მმ. მასა - 2.52 გრ. (ტაბ.V.2)

შუბლი: ქრისტეს წელსზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდედით. გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ განლაგებულია ბერძნული ნიშნები „IC XC“ („იესო ქრისტე“). ქრისტეს მარჯვენა ხელი „მაკურთხებელ“ პოზაში აქვს, მარცხენა ხელით კი უჭირავს ბიბლია, რომელიც სხვა მონეტებზე არსებული გამოსახულებებისგან განსხვავებით, სხვაგვარად განლაგებული, ხუთი რელიეფური ბურთულით არის გამშვენებული. გამოსახულებას გარშემოუყვება ძლიერ წარხოცილი ასომთავრული წარწერა. სავარაუდოა, რომ წარწერის შინაარსი და ქორონიკონი იგივე უნდა იყოს, როგორც სხვა მონეტების შემთხვევაში.

ზურგი: ორნამენტირებული ჩარჩოს ცენტრში ჩაწერილია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი „ᲯᲣᲩ“. ჩარჩო ოთხი მხრიდან მრგვალი წრეებით არის შემკული, წრეებს შორის სივრცეები კი ხუთ (?) და ექვსქიმიანი ვარსკვლავებითაა შევსებული. ქარაგმასა და ორნამენტირებულ ჩარჩოს გარშემოყვება არაბული წარწერა:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(„დედოფალი დედოფალთა, დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი“).

აღმოჩენის მნიშვნელობა

ამგვარად, როგორც მონეტების აღწერილობიდან ჩანს, მიუხედავად მცირეოდენი განსხვავებებისა, ყველა მათგანი რუსუდანის ვერცხლის ფულს - დრამას წარმოადგენს. რუსუდანის დრამა ქართული ნუმიზმატიკისათვის ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული საფასეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასთან დაკავშირებული რიგი საკითხები კვლავაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

როგორც ცნობილია, წინამორბედი ხანის საქართველოში, ისევე როგორც მთელს მახლობელ აღმოსავლეთში, მიმოქცევაში იყო ე.წ. „უწესოდ მოჭრილი“ სპილენძის მონეტები, რაც „ვერცხლის კრიზისს“ უკავშირდებოდა. კრიზისის დასრულების შემდეგ კი, რუსუდანის სამონეტო საქმიანობით საქართველოში ახალი ეტაპი იწყება, როდესაც, შეწყდა აღნიშნული არაწესიერი მონეტების მოჭრა და განახლდა ვერცხლის ფულის გამოშვება [დუნდუა გ; დუნდუა თ. 2006. 223].

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ამ მონეტებთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მისი ემისიის ადგილია. მთავარი მიზეზი კი რის გამოც ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, ის არის, რომ უშუალოდ მონეტაზე მისი მოჭრის ადგილი მითითებული არაა. გარდა ამისა, ცნობებს რუსუდანის ამ ინოვაციის შესახებ არც წერილობითი წყაროები გვაწვდის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული, დღეისათვის გამოთქმული ყველა მოსაზრება კვლავაც

ვარაუდის დონეზე რჩება. ცნობილი რუსი ისტორიკოსი და ნუმიზმატი ევ. პახომოვი თვლიდა, რომ რუსუდანის ვერცხლის მონეტების ემისია დასავლეთ საქართველოში უნდა დაწყებულიყო. ამ ვარაუდისას იგი გულისხმობდა პერიოდს, როდესაც ჯალალ-ედ-დინისგან დევნილი რუსუდანი თავს ქუთაისს აფარებდა [Пахомов. 1910. 109]. განსხვავებულად ფიქრობდა ცნობილი ინგლისელი კავკასიოლოგი დევიდ მარშალ ლენგი, რომელსაც მიაჩნდა, რომ რუსუდანის დრამების მოჭრის ადგილი თბილისი უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ ამ მონეტების ემისიის თარიღი - 1230 წელი, სწორედ ის პერიოდია, როდესაც ქვეყნის დედაქალაქზე კონტროლი კვლავ ქართველების ხელშია [Lang . 1955. 31].

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს რუსუდანის ვერცხლის ფულის ემისიის ადგილის სიღრმისეული ძიება არ წარმოადგენს, ჩვენთვის მაინც რთულად წარმოსადგენია, რომ ეს ფული სოხუმში მოჭრილიყო. ეს ვარაუდი ეკუთვნით ქართველ ნუმიზმატებს გიორგი და თედო დუნდუებს, რომლებიც ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში რუსუდანის დრამის ემისიის ადგილად „ცხუმს“ ასახელებენ [დუნდუა. 1995.27-28; დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006. 269; დუნდუა თ., დუნდუა გ. 2015. 82].

ჩვენი აზრით, რაც არსებულ მონაცემებზე დაკვირვებასა და ანალიზს ემყარება, ყველაზე მართებულად მაინც ლენგის მოსაზრება გამოიყურება, რომელიც ამ მონეტის მოჭრის ადგილად თბილისს გულისხმობს. შესაძლოა, ამავე ვარაუდს ამყარებდეს ამ მონეტის გავრცელებისა და აღმოჩენის ის გეოგრაფიული არეალიც, რაც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოთი შემოიფარგლება.

მიუხედავად იმისა, რომ რუსუდანის ვერცხლის დრამები ის გამორჩეული ქართული ფულია, რომელიც სპეციალისტთა ყურადღებას დღემდე ინარჩუნებს, მისი გეგმაზომიერი, თანმიმდევრული არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენის შემთხვევები ძალზედ იშვიათია. ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს 1973 წელს ჟინვალის ნაქალაქარის გარეუბნის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სამონეტო განძი (ექსპედიციის ხელმძღვანელი რამინ რამიშვილი), რომელიც რუსუდანის ხუთ დრამასა და ერთ ნახევარდრამას შეიცავდა [Рамишвили., Джорбенадзе., ...1981. 129-143; Рчеулишвили. 1983. 63]. ასევე, გიორგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით წარმოებული არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც უჯარმის ციხის ციტადელში 1230 წლით დათარიღებული რუსუდანის ვერცხლის მონეტა უპოვნიათ (ამ გათხრების დროს სულ 4 მონეტა აღმოჩენილა. რუსუდანის ცალის გარდა, აქვე ყოფილა ორი თამარის, ერთი კი სელჩუკური მონეტა [ლომთათიძე, 1953. 11-12].

ჩვენთვის ცნობილი კიდევ ორი შემთხვევა, როდესაც რუსუდანის ამ მონეტების აღმოჩენის ადგილი განსაზღვრულია, სოფელ ხანდაკს და დედოფლისწყაროს უკავშირდება. 1914-1915 წლებში სოფ. ხანდაკში (კასპის რაიონი) მიწის სამუშაოების დროს დავით კაპანაძეს უპოვნია „უნიკალური შუბლისა და ზურგის“ მქონე ვერცხლის მონეტა, რომელზე არსებულ გამოსახულებებსა და წარწერებს თავის ნაშრომებში იგი საგანგებო განხილვას უძღვნის. [Капанадзе, 1955; 70-71. Таб.VI; 1957. 79-81;]. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო 1989 წელს დედოფლისწყაროში დაახ. 60 მონეტისაგან შემდგარი განძის აღმოჩენა, რომელთა შორისაც 38 ეგზემპლარი რუსუდანის ვერცხლის დრამით იყო წარმოდგენილი. ამ სამონეტო განძს ცალკე თავი აქვს დათმობილი 2010 წელს გამოცემულ ნაშრომში - „Coin finds in Georgia“, სადაც ზოგადად, საქართველოს

ტერიტორიაზე ნაპოვნი ძვ.წ.მე- 6 - ახ.წ. მე-15 საუკუნეების ნუმიზმატიკური მასალაა განხილული [Tsotselia, 2010. 220].

ამგვარად, რუსუდანის ვერცხლის ფულის მეტ-ნაკლებად დოკუმენტირებული და აღმოჩენის ადგილის ზუსტად დადასტურებული შემთხვევები ბევრი არ არის. თუმცა, მეორე მხრივ, ამავე მონეტების რაოდენობა სხვადასხვა მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში არც თუ ცოტაა. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მონეტების მოძიება არქეოლოგიური გათხრების გვერდის ავლით ხდება ხოლმე. ამავე დროს, მსგავსი უკანონო საქმიანობა რთულად გასაკონტროლებელია და სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ და იმის გააზრება, რომ სათანადო, საველე მეთოდოლოგიისა და დოკუმენტაციის წარმოების გარეშე მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა მოკლებულია ისტორიული წყაროს მნიშვნელობას და მისი სამენციერო ღირებულება ფაქტობრივად დაკარგულია*.

კომპლექსური და ინტერდისციპლინური ნაშრომი, რომელიც დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, შემაჯამებელია რუსუდანის ვერცხლის ფულის შესახებ, გამოქვეყნდა 2016 წელს [ფაღავა; სპანდერაშვილი...2016]. ამ ნაშრომში ზემოთ დასახელებულ და სხვა აღმოჩენების გვერდით განხილულია რუსუდანის ვერცხლის მონეტების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მემორიალური ბუნება, მოჭრის ტექნიკა, დადამღვა და შენადნობი. განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება მონეტის ისეთი მეტროლოგიური მონაცემების შესწავლა, როგორიცაა შენადნობი [იქვე: 233] და რომელი მიმართულებითაც ქართულ ნუმიზმატიკაში, შეიძლება ითქვას, დიდი ინფორმაციული ვაკუუმია. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს 1943 [კაპანაძე, 1943], 1950 [არეშიძე, 1950] და 2013 [Paghava, 2013] წელს გამოცემული ნაშრომები, რომელთა პატივცემული ავტორებიც შუა საუკუნეების ქართულ და ილდეგიზიდური მონეტების შენადნობთა ქიმიური ელემენტების კვლევას წარმოადგენენ. არა და, მეორეს მხრივ, თანამედროვე ეტაპზე მდგარ სამეცნიერო გამოწვევებს მხოლოდ სტატისტიკური, ვიზუალური, იკონოგრაფიული და გეოგრაფიული მონაცემები აღარ აკმაყოფილებს. ეს საჭირო ინფორმაციის მხოლოდ ნაწილია. მიგვაჩნია, რომ როგორც არქეოლოგიური, ისე ნუმიზმატიკური მასალის შემთხვევაში, ამ ტრადიციულ მეთოდებთან ერთად აუცილებლად უნდა ტარდებოდეს ანალიზები, რომლებიც ფიზიკურ-ქიმიურ, პეტროგრაფიულ, არქეომეტრულ, სპექტრულ და სხვა სახის ტექნიკურ ცოდნას ეფუძნება.


ამ თვალსაზრისით არც ჩვენი სტატია წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის კონკრეტულ მიზანსაც, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ახლად აღმოჩენილი, კარგად დოკუმენტირებული ნუმიზატიკური მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა და ამ აღმოჩენის შესახებ სპეციალისტთა ინფორმირება წარმოადგენს. რაც შეეხება კომპლექსურ კვლევებს, ეს მიმართულება ჩვენთვის კვლავაც აქტუალურია და მათ შედეგებს ცალკე სტატიას მივუძღვნით.

---

* 2015 და 2016 წლებში უშუალოდ შევესწარით სამშვილდის ნაქალაქარზე უკანონო გზით მონეტების ძიების შემთხვევებს, როდესაც დაბა თელეთიდან მოსული ადამიანები ნაქალაქარზე ლითონის საძიებო დეტექტორით „ძებნას“ აწარმოებდნენ. ორივე შემთხვევაში ჩვენი სათანადო რეაქციის შემდეგ მათ ტერიტორია სწრაფად დატოვეს, თუმცა, როგორც ითქვა, გამოსავალი არა ინდივიდუალურ ინიციატივებში, არამედ სწორედ შემუშავებულ სტრატეგიასა და მკაცრ სანქციებშია.

2016 წლის ნაშრომში ავტორებს ცალკე თავი აქვთ მიძღვნილი რუსუდანის ვერცხლის მონეტების მიმოქცევისა და გავრცელების არეალისადმი (ფაღავა....2016. 224]. აქვეა წარმოდგენილი რუკაც, სადაც აღნიშნულია, როგორც ცალკეული მონეტების, ისე მათი შემცველი განძების აღმოჩენის ადგილებიც [იქვე. 227]. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური მიზეზების გამო, ამ რუკაზე აღმოჩენის ადგილების ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატებით წარმოდგენა ვერ მოხერხდა, იგი მაინც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ამ მონეტის მიმოქცევისა და გეოგრაფიული გავრცელების შესახებ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სამშვილდის 2019 წლის აღმოჩენით ამ მონეტების გავრცელების არეალი, ისევე როგორც მისი ემისსის თარიღისა ან იკონოგრაფიის საკითხები არავითარ რევიზიას არ საჭიროებს. პირიქით, იმდენად რამდენადაც, სამშვილდე გეოგრაფიულად აღმოსავლეთ საქართველოში, ისტორიულ ქვემო ქართლში მდებარეობს, კიდევ უფრო მტკიცდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსუდანის ფული ქვეყნის სწორედ ამ ნაწილში იჭრებოდა და მიმოქცევის ძირითად არეალსაც ეს მხარე წარმოადგენდა. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ რუსუდანის მონეტების აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენის შემთხვევები აქ წარმოებულ აქტიურ არქეოლოგიურ კვლევებს უკავშირდება [იქვე. 227], უკანასკნელ წლებში დასავლეთ საქართველოში ფართოდ გაშლილი გათხრების მონაცემების ფონზე იგი ნაკლებად სავარაუდოდ მიგვაჩნია.




სურ. 7 Fig. რუსუდანის ვერცხლის დრამის აღმოჩენის ადგილები*: 1. თბილისის შემოგარენი; 4. დასავლეთ საქართველო (ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია). 5. კახეთი; 6-10. თელავის მიდამოები „თელავის განძი“; 11. თბილისი. მტკვრის მიდამოები; 14. ახალსოფელი, კახეთი; 15-16. ყვარელი, კახეთი. 17-21. ახმეტის რაიონი (?)

* 2016 გამოცემულ ნაშრომში განხილულ მონეტათა ნაწილის აღმოჩენის ადგილები უცნობია. ასეთია მე-2, მე-3, მე-12 და მე-13 მონეტები. შესაბამისად, რუკაზე, რომელიც ამავე ნაშრომიდან გვაქვს მოტანილი, ისენი აღნიშნული არ არიან (იხ. ფაღავა., სპანდერაშვილი.,... 2016. 226-227).

კახეთი; 22-25. ქვემო ქართლი; 26. სოფელი არახლო. ბოლნისის რაიონი; 27. მანავის ციხესთან; 28. უცნობი წარმომავლობის. კახეთი; 29. კახეთი; 30. თბილისის მიდამოები; 31-34. „მანავის განძი“. მანავის ციხესთან. / The places, where the silver coins of Rusudan were discovered: 1. Tbilisi surroundings; 4. West Georgia. Exact location unknown; 5. Kakheti; 6-10. Telavi surroundings. “Telavi Hoard“; 11.Tbilisi. The gorge of riv. Mtkvari; 14. Akhalsopeli, Kakheti; 15-16. Kvareli, Kakheti; 17-21. Akhmeta Region (?), Kakheti; 22-25. Kvemo Kartli; 26. Village Arakhlo. Bolnisi Region; 27. Manavi Castle surroundings; 28. Exact location unknown. Kakheti Region; 29. Kakheti Region; 30. Tbilisi surroundings. 31-34. “Manavi Hoard“. Manavi Castle surroundings*.


ტაბულები / Tables



ტაბ. I Tab.

* The geographical origin of the coins (№№ 2;3;12;13) discussed in the work - “Silver Coinage Emission by Queen Rusudan (Material for the Corpus, Minting Location, Memorability, Circulation, Countermarking, Alloy Composition)“ by: Irakli Paghava, Roland Spanderashvili, Giorgi Gogava, Davit Mikeladze, Evgeni Chanishvili, Teimuraz Gabriadze. 2016. Tbilisi - Is uncertain. For that reason they are not shown on the map.

სტატიაზე მუშაობის დროს გაწეული კონსულტაციისთვის მადლობას მოვახსენებთ ნუმიზმატებს ირაკლი ფაღავასა და დავით მიქელაძეს.



ტაბ. II Tab.



ტაბ. III Tab.



ტაბ. IV Tab.



ტაბ. V Tab.

გამოყენებული ლიტერატურა

არეშიძე, თ. (1950). *ქართული მონეტების ქიმიური შემადგენლობა.* ნაშრომი ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

არჩვაძე, თ. (1969). *თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისათვის შუა საუკუნეთა საქართველოში.* ფსაძ. ტ.II. გვ. 120-135

ბერიკაშვილი, დ ., გაბუნია, თ., გაგოშიძე, გ., ოდილავაძე, დ., ბუხსიანიძე, მ., გრიგოლია, გ., კაჭარავა, დ., ივანიშვილი, ირ., ლომიძე, ვ. (2015). *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2015 წლის სამეცნიერო ანგარიში.* გვ. 115-125.

ბერიკაშვილი, დ., ბუხსიანიძე, მ., ყვავაძე, ელ., ბითაძე, ლ., გაბუნია, თ. *საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის 2016 წლის სამეცნიერო ანგარიში.* გვ. 12-13

ბერიკაშვილი, დ., გრიგოლია, გ., ყვავაძე, ელ., მიულერი, ალ., კუპალი, იზ. (2017). *საქართველოს უნივერსიტეტსი სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.* გვ. 10-16

ბერიკაშვილი, დ., პატარიძე, მ. (2019). *სამშვილდის განძი.* თბილისი.

გაგოშიძე, გ., ჩანტლაძე, ნ. (2009). *მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში.* თბილისი. გვ. 67-72.

დუნდუა, გ., დუნდუა, თ. (2006). *ქართული ნუმიზმატიკა.* არტანუჯი I. ნაწილი I.

თბილისი. გვ. 223-225.

დუნდუა, თ. (1995). *დასავლეთი და საქართველო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*. თბილისი. გვ. 27-28.

დუნდუა, თ., დუნდუა, გ. (2015). *ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი*. მესამე ნაწილი. გვ. 82

თვალჭრელიძე, ზ., ბახტაძე, ნ., ჩხვიმიანი, ჯ., მეშველიანი, თ. (2014). *ქვემო ქართლში მიკვლეული შუა საუკუნეების ქართული საცხოვრებლის უცნობი სახეობა*. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. ტ.V(50-ბ). გვ.128-158.

კაპანაძე, დ. (1943). *ქართული ფულის სინჯადობა*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. IV. =6. თბილისი

კოპალიანი, ჯ. (1996). *დმანისის ციხე*. თბილისი. ტაბ. XLVI.1.

ლაღიაშვილი, გ. (2011). *არქეოლოგიური გათხრები „ამიდასტურის“ წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან*. თბილისი. გვ. 94. ტაბ. XX. 225.

ლომთათიძე, გ. (1953). *უჯარმის არქეოლოგიური თხრის შედეგები*. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა- ძიების შედეგებისადმი. თბილისი. გვ.11-12.

მინდორაშვილი, დ. (2015). *საქართველოს არქეოლოგია II-III*. ბათუმი. ტაბ.I. 28-31.

მინდორაშვილი დ. 2013. ნასოფლარი ნარლი დარა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. ტ. IV. თბილისი. გვ. 212-226

მინდორაშვილი, დ. (2010). *კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა*. თბილისი. გვ. 268-269

მუსხელიშვილი, ლ. (1943). *სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი*. ენიმიკის მოამბე. XIII. თბილისი. გვ. 97.

რამიშვილი, რ. (1970). *სიონი*. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები I. თბილისი.

რამიშვილი, რ. (1983). *ჟინვალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში*. თბილისი.

ფაღავა, ირ., სპანდერაშვილი, რ., გოგავა, გ., მიქელაძე, დ., ჭანიშვილი, ევ., გაბრიაძე, თ. (2016). *რუსუდან მეფის ვერცხლის ემისია (მასალები კორპუსისთვის, მოჭრის ადგილი, მემორიალური ბუნება, მიმოქცევა, დადამღვა, შენადნობის შემადგენლობა)*. საისტორიო კრებული. ტ. 1. გამომცემლობა მხედარი. თბილისი.

ჩიკოიძე, ც. (2007). *რუსთავში მცხოვრები რიგითი მოსახლეობის ყოფა და კულტურა*. საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები I. თბილისი. გვ.3. ტაბ. XXI.6,8.

ჯაფარიძე, ვ. (1969). *დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965-1966 წწ*. მუშაობის მოკლე ანგარიში. სსმაე. ტ.I. გვ. 57-76.

ჯაფარიძე, ვ. (1956). *ქართული კერამიკა (X-XIII სს)*.

Капанадзе, Д.Г. (1955). *Грузинская нумизматика*. Москва.

Капанадзе, Д.Г. (1957). Родовой знак Багратионов на грузинских средневековых монетах. Нумизматический сборник. ГИМ. Вып. 26. Часть 2. Москва.

Пахомов, Е. А. (1910). *Монеты Грузии*. Часть I. Санкт-Петербург.

Пахомов, Е. А. (1970). *Монеты Грузии*. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Вып. I-IX. Баку. 1926-66.

Рамишвили, Р., Джорбенадзе, В., Гогелиа, Д., Глонти, М., Чихладзе, В., Робакидзе, Ц., Маргвелашвили, М., Мухигулашвили, Н., Рчеулишвили, Г., Циклаури, Дж., Ломидзе,

Ц., Каландадзе, З., Циклаури, И., Церетели, К. (1981). *Археологические исследования в Арагвском ущелье*, ПАИ в 1978 г. Тбилиси. с. 129-143.

Рчеулишвили, Г. М. (1983). *Раскопки городища Жинвали*, АО - 1981 г. Тбилиси. с. 63.

Чубинашвили, Н. (1969). *Самшвилдский Сион*. Тбилиси.

Lang, D. (1955). *The reoccupation of Tiflis by Rusudan in 1230 is marked by the resumption of silver minting after the lapse of over a century*. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York.

Paghava, Ir., Geradze, G. (2013). T*he Alloy Composition of the Georgian and Ildegizid Coins of the 12th-13th Century*. Pro Georgia, 23. Tbilisi.

Tsotselia, M. (2010). *Coin Finds in Georgia (6th Century BC – 15th Century AD) Wetteren*. 220.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. სამშვილდის სიონის ჩრდილოეთით შესწავლილ სამარხთა განლაგება.

ტაბ. II. №4 სამარხში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი.

ტაბ. III- V. №4 სამარხში აღმოჩენილი რუსუდანის ვერცხლის ფული.

Silver Coins of Queen Rusudan from Samshvilde

(Discovery of 2019)

Berikashvili David,
The University of Georgia
d.berikashvili@yahoo.com

Summary

During the 2019 excavation season, the Samshvilde Archaeological Expedition of the University of Georgia discovered a burial ground within the ancient settlement of Samshvilde. The site is located in Kvemo Kartli (South Georgia, Tetritskaro Municipality) and represents a promontory surrounded by deep ravines. On the surface of the promontory, nearby the Sioni Church of 8th century A.D. Cemetery was studied by the team of Archaeologists and as a result of excavation the burial ground (№ 4) was discovered. Despite the fact that the burial ground was damaged by later occupation, finds recovered from here allow us to accurately identify its chronology.

Apart from a partially damaged skeleton, single iron ring, two items of pottery and ten silver coins located in the vicinity of the right arm of the deceased were discovered.

In this article, the burial ground is described and currently available information from the excavation is presented. This includes presenting newly discovered coins which offer an additional source of information for studying historical Samshvilde*.

Details of the ten silver coins recovered are as follows:

1.; silver, D - 25 mm, weight - 2.79 g (Tab.III.1)

Obverse: Bust of Christ, facing, with a halo above the head. Christ holds the Bible in the left hand and three relief beads decorate its cover. The Greek signs “IC XI“ (“Jesus Christ“) are located to the left and to the right of Christ. There is an inscription in “Asomtavruli“ script around the image: ⴝⵛⵒⵜⴖⵗⵛⵆⵔⵗⵝⵗⵛⵔⵛⵏⵜⵖⵛⵜⵀ (in the name of God, was struck in the K’oronikon “un“ [=1230]).

Reverse: the name Rusudan - ⴐⴝⵀ - is located in Centre of the ornamented frame. The Arabic inscription surrounds the frame and the titlo:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(“Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah“).

2.; silver, D - 26 mm, weight - 2.79 g (Tab.III.2)

Obverse: Bust of Christ, facing, with a halo above the head; the face is heavily worn. Christ holds the Bible in the left hand and four relief beads decorate its cover. The Greek signs “IC XI“ (“Jesus Christ“) are seen to the left and to the right of the Christ. There is an inscription in “Asomtavruli scrip“ around the image: ⴝⵛⵒⵜⴖⵗⵛⵆⵔⵗⵝⵗⵛⵔⵛⵏⵜⵖⵛⵜⵀ (in the name of God, was struck in the K’oronikon “un“ [=1230]). The inscription is worn above the head of Christ,

* Analyses of earth samples and textile extracted from the burial ground are planned Eliso Kvavadze PhD – University of Georgia/National Museum of Georgia), as well as anthropological analysis for the purpose of identifying the sex, age, pathologies and diet of the deceased (Isabelle Coupal – PhD student of the University of Montreal; Jade Parent – Master’s student of the same university).

but it is legible.

Reverse: the name Rusudan - ᲠᲣᲓ - is located in Centre of the ornamented frame. The slightly damaged Arabic inscription surrounds the frame and the titlo:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار مظهر المسيح

("Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah").

3.; silver, D - 25 mm, weight - 2.83 g (Tab.III.3)

Obverse: Bust of Christ, facing, with a halo above the head. Christ holds the Bible in the left hand and four relief beads decorate its cover. The Greek sign "IC" is seen to the left of Christ. To the right, presumable, "XI" has been worn away. A slightly damaged, but otherwise legible inscription in "Asomtavruli script" surrounds the image: ᲜᲠᲛᲢᲔᲘᲥᲠᲘᲡᲘᲜᲘᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲪᲮᲕᲐ (in the name of God, was struck in the K'oronikon "un" [=1230]).

Reverse: ᲠᲣᲓ ("Rusudan") is placed in the Centre of the high, relief, ornamented frame. The Arabic inscription surrounds the frame and the titlo:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار مظهر المسيح

("Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah").

4.; silver, D - 27 mm, weight - 2.62 g (Tab.III.4)

Obverse: Bust of Christ, facing, with a halo above the head. Christ holds the Bible in the left hand and four (?) relief beads decorate its cover. The Greek "IC" is to the left of the Christ and "XI" is to the right of Christ. A partially worn inscription in "Asomtavruli" script surrounds the image: ᲜᲠᲛᲢᲔᲘᲥᲠᲘᲡᲘᲜᲘᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲪᲮᲕᲐ (in the name of God, was struck in the K'oronikon), however K'oronikon "un'' [=1230]) is still legible.

Reverse: the name Rusudan "ᲠᲣᲓ" is seen in Centre of the relief and ornamented frame. A partially worn Arabic inscription surrounds the frame and the titlo:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار مظهر المسيح

("Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah").

5.; silver, D - 28 mm, weight - 2.50 g (Tab. IV. 1)

Obverse: Bust of Christ, facing, with a halo above the head. Christ holds the Bible in the left hand and four (?) relief beads decorate its cover. The Greek "IC-XI" ("Jesus Christ") is seen to the left and to the right of Christ. A fully preserved inscription in "Asomtavruli script" surrounds the image: ᲜᲠᲛᲢᲔᲘᲥᲠᲘᲡᲘᲜᲘᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲪᲮᲕᲐ (in the name of God, was struck in the K'oronikon "un'' [=1230]).

Reverse: the name Rusudan - ᲠᲣᲓ - is located in Centre of the ornamented frame. The fully preserved, highly relief, Arabic inscription surrounds the frame and the titlo:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار مظهر المسيح

("Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah").

6.; silver, D - 28 mm, weight - 2.72 g (Tab. IV. 2)

Obverse: Bust of Christ, facing, with a halo above the head. Unlike the other coins presented here, the hair of Christ is seen more clearly. Christ holds the Bible, with four beads on the cover. The right hand, like in the remaining nine cases, has a “blessing” position. The Greek “IC-XI” (“Jesus Christ”) is seen to the left and to the right of Christ. A fully preserved inscription in “Asomtavruli script” surrounds the image: ⴝⵛⵒⵜⴡⵑⵛⵎⵘⵏⵑⵛⵑⵙⵜⵠⵛⵞⵖⵃ (in the name of God, was struck in the K’oronikon “un’’ [=1230]).

Reverse: the name of Rusudan - ⴆⴝⴃ - located in Centre of the ornamented frame is surrounded by a perfectly preserved, Arabic inscription:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(“Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah”).

7.; silver, D - 28 mm, weight - 2.60 g (Tab. IV. 3)

Obverse: Bust of Christ, with a halo above the head, is worn. The Greek signs “IC-XI” seen to the left and to the right of Christ are well legible. Inscription in “Asomtavruli script” which surrounds the image is also partially worn, but is still legible: ⴝⵛⵒⵜⴡⵑⵛⵎⵘⵏⵑⵛⵑⵙⵜⵠⵛ (in the name of God, was struck and ჟვნ in the K’oronikon “un’’ [=1230]).

Reverse: the name of Rusudan - ⴆⴝⴃ - is located in Centre of the ornamented frame. The frame, instead of the so-called, cuspidal contour’’, is complicated by concentric circles from all four sides. The spaces between the circles are filled by five- and six-pointed stars. The central titlo and the ornamented frame are surrounded by the Arabic inscription:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(“Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah”).

8.; silver, D - 27 mm, weight - 2.45 g (Tab. IV. 4)

Obverse: Bust of Christ, facing, with a halo above the head. Christ holds the Bible, with four beads on the cover. The Greek signs “IC-XI” (“Jesus Christ”) are to the left and to the right of Christ. The image is surrounded by a well-preserved inscription in “Asomtavruli”: script: ⴝⵛⵒⵜⴡⵑⵛⵎⵘⵏⵑⵛⵑⵙⵜⵠⵛ (in the name of God, was struck and ჟვნ in the K’oronikon “un’’ [=1230]).

Reverse: titlo “ⴆⴝⴃ” (“RSN” – Rusudan) is located in Centre of the ornamented frame decorated by a so-called ‘cuspidal contour’ and is surrounded by the Arabic inscription:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار ظهير المسيح

(“Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daugther of Tamar, Worshipper of the Mmessiah”).

9.; silver, D - 27 mm, weight - 2.61 g (Tab. V. 1)

Obverse: Bust of Christ, facing, with a halo above the head. The halo is complicated by relief dots. Christ holds the Bible in his left hand with four relief beads on the cover. The Greek signs “IC-XI” (“Jesus Christ”) are to the left and to the right of Christ. A well-preserved inscription in “Asomtavruli” script surrounds the image - ⴝⵛⵒⵜⴡⵑⵛⵎⵘⵏⵑⵛⵑⵙⵜⵠⵛ (in the name of God, was struck and ჟვნ in the K’oronikon “un’’ [=1230]).

Reverse: titlo "ᲯᲣᲩ" ("RSN" – Rusudan) is located in Centre of the ornamented frame decorated by the so-called 'cuspidal contour'. A six-pointed, relief star is beneath the titlo. The titlo and the frame are surrounded by the Arabic inscription:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار مظهر المسيح

("Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah").

10.; silver, D - 25 mm, weight – 2.52 g (Tab. V. 2)

Obverse: Bust of Christ, with a halo above the head. The Greek signs "IC-XI" ("Jesus Christ") are to the left and to the right of the image. Christ's right hand is in the "blessing" position and in the left hand he holds the Bible, which, unlike the images shown on other coins presented here, are decorated by five relief beads located in a different position. A heavily worn inscription in "Asomtavruli script" surrounds the image. It is assumed that the content and the K'oronikon of the inscription must bethe same as in case of other coins.

Reverse: titloed name of Rusudan - ᲯᲣᲩ - is written in Centre of the ornamented frame. The frame is decorated by round circles from all four sides. The spaces between the circles are filled by five- and six-pointed stars. The titlo and the ornamented frame are surrounded by the Arabic inscription:

ملكة الملكات جلال الدنيا والدين روسدان بنت تامار مظهر المسيح

("Queen of Queens; Glory of the World and Faith, Rusudan, Daughter of Tamar, Worshipper of the Mmessiah").

As seen from the above catalogue, despite slight differences, the coins all show the same subject matter and bear the same or similar inscriptions. Having defined the K'oronikon ("un" = 450), to the first half of the 13th century, namely, the year 1230, was established as the date of all of them. Therefore, the date of the burial ground 4 of the Sioni section was assigned the same date.

These types of coins are well known in Georgian numismatics. They have been discovered during excavations of various archaeological sites in Georgia, including Zhinvali, Ujarma, Dedoplistskaro, and all of them are dated to the first half of the 13th century.

The hoard of 11-13th century coins discovered in Samshvilde in 2018-2019 should be considered in this context. This hoard contains copper coins struck in the name of four Georgian monarchs (Demetre I, Giorgi III, Queen Tamar, Giorgi IV) and the above described silver coins represent their chronological continuation.

This numismatic finds from Samshvilde are very significant in terms of the study of separate burial grounds within the settlement, for the broader understanding of the overall Samshvilde former settlement, as well as the history of medieval Georgia.

Tables

Tab. I. Grave distribution map on Sioni Area. Samshvile.

Tab. II. The pottery discovered in the Grave №4. Sioni Area. Samshvilde.

Tab. III-V. Silver Coins of Queen Rusudan of 13th century A.D. Sioni Area. Samshvilde.

რუბრიკა

პ რ ო ე ქ ტ ი

სამშვილდის კერამიკული მონაპოვარის კონსერვაცია-რესტავრაცია

(2016-2019 წლების მასალა)

ბერიკაშვილი დავით,
საქართველოს უნივერსიტეტი
d.berikashvili@ug.edu.ge
თორდია თეა,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
theatordia@yahoo.com

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.8

საკითხის დასმა

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთების თანამედროვე მეთოდებით კონსერვაცია-რესტავრაცია დღეს კვლავაც გამოწვევად რჩება, ამ მიმართულებით მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. ამ მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კვლევისა და რესტავრაციის ლაბორატორიაა, სადაც ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების მნიშვნელოვანი ნაწილის რეაბილიტაცია ხორციელდება.

ასევე, მნიშვნელოვანია ის ღონისძიებები რასაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მიმართ ანხორციელებს და ამ საქმეში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში დაგროვებულ მნიშვნელოვან გამოცდილებას იყენებს.

შესაბამისად, საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია მჭიდროდ თანამშრომლობს ორივე დასახელებულ ორგანიზაციასთან, მით უმეტეს, რომ ექსპედიციის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, სწორედ არქეოლოგიური მონაპოვარის საკონსერვაციო-კამერალური სამუშაოები და რესტავრაცია წარმოადგენს.

მონაპოვარი მასალა

2014-2019 წლებში სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნაქალაქარის ციტადელსა და „სიონის უბანზე“ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად სხვადასხვა ეპოქისა და კულტურული კუთვნილების სოლიდური რაოდენობის მასალა აღმოჩნდა. მასალის ძირითად ნაწილს (დაახ. 80%) კერამიკული ნაწარმი წარმოადგენს, რომელიც ნაქალაქარის კულტურული ფენებიდან მომდინარეობს და შესაბამისად, ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა იმ თიხის ნატეხისათვის, რომელსაც მცირე მონაპოვარის სტატუსი ენიჭება, პასპორტიზაცია ჯერ კიდევ სამშვილდეში მდებარე საექსპედიციო ბაზაზე სრულდება, ხოლო სამუზეუმო ფონდებში გადატანის შემდეგ კი მათი სრული ინვენტარიზაცია ხორციელდება.



სურათი 1. *კერამიკული მონაპოვარის პირველადი ანალიზი სამშვილდის საექსპედიციო ბაზაზე.*

Figure 1. *The primary analyzing of the pottery shreds in the expedition house of Samshvilde Archaeological Expedition.*

როგორც უკვე ითქვა, კერამიკული ნაწარმის უდიდესი ნაწილი კულტურული ფენებიდან მომდინარეობს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მომდევნო პერიოდის კონტექსტებითაა დაზიანებული. სწორედ ამიტომ, მთლიანი ან მცირედ დაზიანებული კერამიკული ნაკეთობების აღმოჩენის შემთხვევები იშვიათია, თუმცა, ასეთი ფაქტები მაინც ფიქსირდება.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა 2018-2019 წლებში სამშვილდის ციტადელის მე-60-ე თხრილში გამოვლენილი სათავსო №1 რომელიც ხანძრის შედეგად განადგურებულა. სწორედ, სწრაფი ხანძრის შედეგად გამოწვეული ნგრევა გამხდარა მიზეზი, რის გამოც სათავსოში არსებული ნივთები, მათ შორის კერამიკული ნაკეთობებიც ადგილზევე დარჩენილა. სათავსოს გათხრები ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობა და უნიკალურ სამონეტო განძთან ერთად სამი საშუალო ზომის დერგის 100-მდე ფრაგმენტი და ორი ცალი მოჭიქული ჯამის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნატეხი აღმოჩნდა. უშუალოდ იატაკზე აღმოჩენილი სამონეტო განძი ზუსტად ათარიღებს სათავსოს და აქ აღმოჩენილ ნივთებს მე-12-13 საუკუნეებით.




სურათი 2. *სამშვილდის ციტადელის მე-60-ე თხრილი. ჯამის აღმოჩენის მომენტი.*
Figure 2. *The In Situ bowl fragments discovery in the trench № 60. Samshvilde Citadel.*

გარდა ციტადელის აღნიშნული სათავსოს კერამიკისა, რესტავრაცია-კონსერვაციის თვალსაზრისით არა ნაკლებ საინტერესო იყო სიონის უბანზე გამოვლენილი კერამიკული მასალაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიონის უბნის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფენები განსაკუთრებით არის დაზიანებული, რაც სიონის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანების გამორჩეულად ინტენსიურ საქმიანობასთან უკავშირდება. მიუხედავად ამისა, 2018-2019 წლებში მიმდინარე გათხრების შედეგად აღნიშნულ უბანზე მდებარე N8 და O8 თხრილებში აღმოჩნდა ერთი ცალი თხელკედლიანი, ჩალისფერ-ზედაპირიანი, ე.წ. „კვერცხისებურტანიანი“ ცალყურა დოქი და ორყურა, დაბალყელიანი, პირგადაშილი ქოთანი, რომელთა მოპოვებულმა ფრაგმენტებმა მათი სრული რესტავრაციის შესაძლებლობა მოგვცა. აღნიშნული მასალა, სავალე და საფონდო ინვენტარიზაციის შემდეგ გადაეცა საქართველოს უნივერსიტეტის სარესტავრაციო განყოფილებას, სადაც განხორციელდა მათი რესტავრაცია და კონსერვაცია.

<u>მეთოდი</u>

სამშვილდის ნაქალაქარზე 2017-2019 წლებში მოპოვებული კერამიკული ნაწარმის გარკვეული ნაწილი სრულად დაექვემდებარა რესტავრაციას. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე, ყოველთვის წი-

ნასწარ ხდება კონკრეტული სარესტავრაციო ნივთის ფრაგმენტების პროცენტული გაანგარიშება და რეკომენდაცია სრული რესტავრაციისათვის ეძლევა მხოლოდ იმ ჭურჭელს, რომლის მინიმუმ 70% ფრაგმენტები სახეზეა წარმოდგენილი. ეს გაანგარიშება ემსახურება იმ მიზანს, რომ რესტავრირებული ნივთი როგორც ფორმით, ისე ზომითა და პროპორციებით მაქსიმალურად იყოს მიახლოებული თავდაპირველ პარამეტრებთან. დანარჩენ შემთხვევაში სრულდება ნივთის ნაწილობრივი რესტავრაცია და შემდეგ კონსერვაცია.



სურათი 3. *ნაწილობრივ რესტავრირებული მოჭიქული ჯამი. მე-13-ე საუკუნე. სამშვილდე. (რესტავრატორი თ. თორდია. ფოტო დ. ბერიკაშვილი)*

Figure 3. *The partially restored blazed bow from Samshvilde. 13th century A.D. (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*

კერამიკული მასალის რესტავრაციის საწყის ეტაპზე ხდება მისი ფრაგმეტების რეცხვა-გასუფთავება ზედაპირული ჭუჭყისაგან რბილი ჯაგრისის დახმარებით. თუ კეცს აღენიშნება სხვა სახის ნადები, როგორიცაა კარბონატი ან შეზრდილი მინერალები, ამ შემთხვევაში გამოიყენება სკალპელი და ხდება მისი უფრო ღრმა წმენდა ისე, რომ არ მოხდეს კეცის დაზიანება. ხორციელდება ამავე ფრაგმენტების დიფერენცირება და ფოტოფიქსაცია. ზემოთაღწერილი ეტაპების ჩატარების შემდეგ იწყება მზადება შემდეგი ეტაპისათვის, რაც გულისხმობს აწყობა-შეწებებას. ნატეხების შესაწებებლად გამოიყენება წებო - პოლივინილის აცეტატი, რომელსაც ახასიათებს უკუქცევადობის თვისება (ადვილად იშლება აცეტონით), რაც სრულიად მისაღებია და აპრობირებული კერამიკული ნაწარმის რესტავრაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მკაცრად განსაზღვრული არქეოლოგიური მეთოდოლოგიისა, უმეტეს შემთხვევაში მაინც ვერ ხერხდება ამა თუ იმ ჭურჭლის ფრაგმენტების სრული რაოდენობით მოპოვება, იმ შემთხვევაშიც, კი, როდესაც საქმე გვაქვს სამარხებთან. ასეთ შემთხვევაში ნივთი საჭიროებს ფორმის აღდგენის ტექნიკის გამოყენებას, რაც გულისხმობს ცარიელი ადგილების თაბაშირით შევსებას.



სურათი 4. *მოჭიქული ჯამის რესტავრაციის პროცესი. ფრაგმენტების შეწებებისათვის გამოიყენება პოლივინილის აცეტატი.*

Figure 4. *Polyvinyl acetate is used in Restoring process of the glazed bowl.*



სურათი 5. *რესტავრირებული ჭურჭლების რელიეფურად აქცენტირებული ადგილები*

Figure 5. *The Relief-accented areas of the restored pottery.*

ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ თაბაშირის გამოყენების დროს აუცილებელია ამოვსებული ადგილები დაახლოებით 2 მმ-ის სისქით ჩაწეული იყოს დედნიდან, რათა მოხდეს ორიგინალის და ამოვსებული ადგილების განსხვავებულობის დაფიქსირება. მას შემდეგ, რაც შევსებული მონაკვეთები შრობას დაასრულებს, ხდება მათი ზედაპირის დამუშავება ზუმფარის ქაღალდით და დაფერვა წყლის ბაზაზე დაფუძნებული შესაფერისი ფერის საღებავით. ამ შემთხვევაში, რეკომენდირებულია რომ დაფერილი მონაკვეთები ასევე მცირე ტონალობით, ხელოვნურად განსხვავდებოდნენ ჭურჭლის ზედაპირის ბუნებრივი ფერისგან. სარესტავრაციო პროცესის, თაბაშირისა და საღებავის შრობის სრულად დასრულების შემდეგ რესტავრირებული ნივთის ზედაპირი მთლიანად იფარება პარალოიდ B-72-ის 5%-იანი ხსნარით, რაც ჭურჭლის ზედაპირს ერთგვაროვანს ხდის და ამავე დროს ახდენს კერამიკული ნაწარმის კონსერვაციას.



სურათი 6. *ნაწილობრივ და სრულად რესტავრირებული მოჭიქული ჯამები. მე-12-13 სს. სამშვილდე. კონსერვაციის შემდეგ ჭურჭლის ზედაპირი იფარება პარალოიდ B 72-ის ხსნარით.*

Figure 6. *The partially and fully restored glazed bowls. 12th-13th cc. A.D. Samshvilde. After the restoration process the surface is covered with Paraloid B 72 solution.*

2016-2019 წლების რესტავრირებული ნივთები

საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2016-2019 წლების საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებულ იქნა კერამიკულ ნაწარმი, რომლის გარკვეული რაოდენობა ნაწილობრივ, გარკვეული კი სრულ რესტავრაციას დაექვემდებარა. ქვემოთ მოცემული გვაქვს აღნიშნული ნივთების ქრონოლოგიური კუთვნილება და ფოტო-ვიზუალური მასალა, რაც თვალსაჩინოდ წარმოადგენს მათი აღმოჩენისა და რესტავრაციის პროცესს, ისევე, როგორც მათ დღევანდელ მდგომარეობას.



სურათი 7. *სამშვილდის ციტადელის მე-60-ე თხრილში აღმოჩენილი მე-12-13 სს-ის მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები. 2017 წლის მონაპოვარი.*

Figure 7. *The fragments of the glazed bowl of 12th-13th centuries inside the trench № 60, Samshvilde Citadel. Discovery of 2017.*





სურათი 8. *ჩალისფერზედაპირიანი დოქი რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ. სიონის უბანი. სამშვილდე. მე-10-11-ე საუკუნეები. 2016 წლის მონაპოვარი (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 8. *The Jug of the 10th-11th cc. Before and after restoration. Sioni Area. Samshivlde. Discovery of 2016 (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 9. *ჩალისფერზედაპირიანი ფიალა. მე-10-11 სს. რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*


Figure 9. *The bowl with beige surface. 10th-11th cc. Before and after restoration (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 10. *მე-11-12 სს-ის სრულად და ნაწილობრივ რესტავრირებული კერამიკა (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 10. *The fully and partially restored pottery of 11th-12th centuries (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*





სურათი 11. *მე-12-13 სს-ის რესტავრირებული მოჭიქული ჯამი (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 11. *The restored glazed bowl of 12th-13th centuries (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 12. *მე-10-11 სს-ის თხელკედლიანი, ჩალისფერზედაპირიანი სასმისი (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 12. *The vessel with thin wall and beige surface of the 10th-11th centuries (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 13. *ჭრაქი. მე-12-13 სს. სამშვილდის ციტადელი (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 13. *An oil lamp. 12th-13th cc. Samshvilde Citadel (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 14. *მოჭიქული ჯამები სამშვილდედან. მე-12-13 სს. (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილი).*

Figure 14. *Glazed bowls from Samshvilde. 12th-13th cc. A.D. (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 15. *სამშვილდის ციტადელის №1 სათავსოს გათხრების დროს გამოვლენილი დერგის ფრაგმენტები. 2019 წ. (ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 15. *The fragments of "Dergi'" (middle sized clay pottery) unearthed while excavation interior of the Living room №1 inside Samshvilde Citadel (Photo by D. Berikashvili).*



სურათი 16. *სამშვილდის ციტადელის №1 სათავსოში გამოვლენილი დერგის რესტავრაცია (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 16. *Restoration of "Dergi'' discovered in the living room №1 inside the Samshvilde Citadel (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 17. *სამშვილდის ციტადელის №1 სათავსოში გამოვლენილი დერგის რესტავრაციის შემდეგ (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 17. *"Dergi" discovered in the living room №1 inside the Samshvilde Citadel. After Restoration (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*





სურათი 18. *სიონის უბანზე გამოვლენილი თიხის ჭურჭელის რესტავრაცია. 2019 წლის მონაპოვარი (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 18. *The pottery discovered in Sioni Area, Samshvilde. Discovery of 2019 (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 19. *სიონის უბანზე გამოვლენილი დერგი რესტავრაციის შემდეგ (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 19. *Dergi discovered in Sioni Area after restoration (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*



სურათი 20. *სიონის უბანზე გამოვლენილი დოქი რესტავრაციის შემდეგ (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 20. *The Jar discovered in Sioni Area after restoration (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*







სურათი 21. *სიონის უბანზე გამოვლენილი ორყურა ქოთანი რესტავრაციის შემდეგ (რესტავრატორი თ. თორდია; ფოტო დ. ბერიკაშვილის).*

Figure 21. *The Jug with two handles discovered in Sioni Area after restoration (Restorer T. Tordia; Photo by D. Berikashvili).*

რუბრიკა

ინტერვიუ

DOI: https://doi.org/10.62343/arch.2020.9



ცნობილი ქართველი არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჯუმბერ კოპალიანი დაიბადა 1939 წლის 1 ნოემბერს ცაგერის რაიონის სოფ. ქულაბქში. დაწყებითი განათლება მიიღო ხონის საშუალო სკოლაში, 1962–1967 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1968–1971 წლებში მან სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში და იმავე ინსტიტუტში დაინიშნა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის, ხოლო 1978 წელს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1980 წელს გადავიდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, სადაც დაინიშნა ჯერ უფროსი, შემდეგ წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. პარალელურად, ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უნივერსიტეტებში. 1981–1992 წლებში მუშაობდა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილედ, ხოლო 1993–2006 წლებში ამავე ექსპედიციის ხელმძღვანელად. ამასთან ერთად, 1996–2006 წლებში იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი. 2007–2011 წლებში იყო დმანისის კულტურის ცენტრის დირექტორი. იგი არის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ხუთი წიგნის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ მომზადებული და მისივე რედაქტორობით გამოქვეყნებული სოლიდური სამეცნიერო კრებული „დმანისის“ ხუთი ტომი, რომლებშიც წარმოდგენილია მთელი ქვემო ქართლის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ. ამჟამად იგი მუშაობს დმანისის კულტურის ცენტრში მისი ინიციატივით შექმნილი არქეოლოგიური ექსპოზიციის ხელმძღვანელად და ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორად.

- **ბატონო ჯუმბერ, რამ გადაგაწყვეტინათ არქეოლოგის პროფესიის არჩევა? ახლა რომ თავიდან ირჩევდეთ პროფესიას, მიიღებდით თუ არა იმავე გადაწყვეტილებას?**

ასპირანტურა საქართველოს ისტორიის სპეციალობით დავამთავრე. 1974 წელს კი საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიაში დავიცავი. ამის შემდეგ სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი და 1980 წლისთვის თითქმის მზად მქონდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამ წელს გადავედი არქეოლოგიაში, კერძოდ, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ბატონი ვახტანგ ჯაფარიძის მოადგილედ. რატომ? ჯერ ერთი, საქართველოს ისტორიაში ვღებულობდი სპეციალისტ-მკვლევრის პროფესიას და სულ ვფიქრობდი, რომ საქართველოს ისტორიის სპეციალისტი არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების ნაშრომებიდან კი არ უნდა იცნობდეს ამა თუ იმ ძეგლის მასალებს, არამედ თვითონ უშუალოდ უნდა

მიიღოს მონაწილეობა არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული ექსპედიციების საველე სამუშაოებში. ამიტომაც, ორი წელი რუსთავის ციხის გათხრებში ვმონაწილეობდი, ვიმუშავე აგრეთვე ჟინვალისა და სვანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში. ასევე, მონაწილეობა მივიღე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში. ეტყობა, ყველაფერმა ამან მიბიძგა, მთლიანად არქეოლოგიაში გადავსულიყავი.

მეორე მიზეზიც არსებობდა, კერძოდ, 70-იანი წლებიდან აქტიურად ვიყავი ჩართული ე.წ. დისიდენტურ მოძრაობაში და კარგად მქონდა გაცნობიერებული ჩვენი ეროვნული პრობლემები ზოგადად, კერძოდ კი ჩვენს ზოგიერთ რეგიონში არსებული მძიმე მდგომარეობა.

1978 წელს ქართველმა ხალხმა გამოხატა მძაფრი პროტესტი ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის ფუნქციის წართმევის მცდელობასთან დაკავშირებით. ხოლო 1979 წელს მოსკოვში მიიღეს ცნობილი დადგენილება (კოსიგინის ხელმოწერით) იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში სამეცნიერო ნაშრომები (დისერტაციები) მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა წარმოედგინათ, უნივერსიტეტში საგნები რუსულ ენაზე უნდა წაეკითხათ, საშუალო სკოლებში უნდა შემცირებულიყო საქართველოს ისტორიის საათები, საბავშვო ბაღებიდან უნდა დაეწყოთ ბავშვებს რუსული ენის შესწავლა და სხვა. ამგვარად ქართულ ენაზე ტოტალური შეტევა იწყებოდა. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ და ამ მზაკვრული გეგმის განხორციელებას წინ აღვუდექით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, კერძოდ ქვემო ქართლშიც, მძიმე სიტუაცია იყო. ეს მხარე, სადაც ქართული კულტურის აკვანი დაირწა, ქართული გენი და სული, ფაქტობრივად, სულს ღაფავდა. ამანაც გადამაწყვეტინა დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობის დაწყება.

მიწისქვეშეთიდან ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენასთან ერთად ვცდილობდით მიწისზემოთა პრობლემების მოგვარებისთვისაც გვეზრუნა. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთა: რამდენიმე ათას ადამიანს დაუბრუნდა ქართული გვარი და ეროვნება; გარკვეულად აღდგა ქართული ტოპონიმიკა, დაარსდა ქართული თეატრი და სხვა. უკვე 40 წელია, არქეოლოგიაში ვარ, სადოქტორო დისერტაციაც გვიან დავიცავი.

ვფიქრობ, დაუფიქრებლად მივიღებდი იმავე გადაწყვეტილებას და ღმერთს მადლობას ვეუბნები, ამ არჩევანისთვის.

- **ბატონო ჯუმბერ, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც კვალი დატოვეს თქვენი განათლების საქმეში?**

როცა უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ჩემთვის განსაკუთრებული და გამორჩეული ლექტორი, მასწავლებელი, რომელმაც საქართველოს ისტორიაში ღრმად ჩამახედა, იყო ჩვენი ფაკულტეტის დეკანი პროფესორი შოთა მესხია. დიდებული პიროვნება იყო. რამდენიმე ფაქტს გავიხსენებ. მე სტუდქალაქში ვცხოვრობდი. ბატონი შოთა ყოველ ახალ წელს მოდიოდა ჩვენთან, სტუდენტებთან, და რაიონებიდან მისთვის გამოგზავნილი საახალწლო ძღვენი მოჰქონდა. ამაშიც გამოიხატებოდა სტუდენტებისადმი მისი ყურადღებიანი და კეთილი დამოკიდებულება.

მესამე კურსზე რომ გადავედი, დავიწყე ფიქრი სადიპლომო თემაზე. თემად ავირჩიე - „ქართველები შაჰ-აბას 1-ის კარზე“. მაგრამ, როგორც გავარკვიე, წერილობითი წყაროები ქართულ ენაზე ძალზე ცოტა იყო. ამიტომ გადავწყვიტე სპარსული ენის

შესწავლა. დავიწყე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველ კურსელებთან ერთად სპარსულის სწავლა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ უნდა გამეცდინა ლექცია ისტორიის ფაკულტეტზე. ჩვენს დეკანს, ბატონ შოთა მესხიას მივმართე თხოვნით, რომ ჩემი გაცდენილი ლექცია საპატიოდ ჩაეთვალათ. იგი გაგებით მოეკიდა ჩემს თხოვნას და ნება დამრთო.

ერთი მომენტიც მინდა გავიხსენო. მეხუთე კურსზე რომ ვიყავი, უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსი აკადემიურ ჯგუფებს შორის. მე გახლდით საქართველოს ისტორიის აკადემიური ჯგუფის ხელმძღვანელი. ჯგუფში 8 სტუდენტი იყო გაერთიანებული. ასეთი ჯგუფები მთელ უნივერსიტეტში რამდენიმე ასეული იყო. გამარჯვებულის გამოსავლენად ითვალისწინებდნენ ჯგუფის ლექცია-სემინარებზე დასწრებას, აკადემიურ მოსწრებას, სხვადასხვა სტუდენტურ წრეებსა და კონფერენციებში მონაწილეობას და სხვ. და მოხდა საოცრება: უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულზე არქეოლოგიის კაბინეტის წინ ბატონ შოთას შევხვდი. მან დამინახა, გახარებული გადამეხვია და უნივერსიტეტის კონკურსში ჩემი ჯგუფის მიერ პირველი ადგილის დაკავება მომილოცა. დაგვაჯილდოვეს მოსკოვსა და ლენინგრადში უფასო ექსკურსიით.

- **რომელ განსაკუთრებულ არქეოლოგიურ ექსპედიციას ან ძეგლს გამოჰყოფდით თქვენი მრავალწლიანი საველე-სამეცნიერო მოღვაწეობიდან? და, ასევე, თუ გაიხსენებთ რაიმე განსაკუთრებულ არტეფაქტს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად მიგაჩნიათ?**

არაერთი არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენამ მოგვიტანა დიდი სიხარული მეც და ექსპედიციის წევრებსაც, მაგრამ ამ აღმოჩენათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დმანისში შუა საუკუნეების ნაგებობების ქვეშ უძველესი ჰომინიდის ადგილსამყოფელის აღმოჩენა.

მინდა ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოგითხროთ: ბატონ ვახტანგ ჯაფარიძესთან რომ გადავედი, თითქმის ორი წელი რაიონის ტერიტორიაზე დაზვერვებზე დავდიოდი. 1982 წელს ბატონი ვახტანგი ძალზე დაკავებული აღმოჩნდა, კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდებოდა „შინამრეწველობის მასალების“ მორიგი ტომი, ამიტომ იმ ზაფხულს მე დამავალა თავის უბანზე (ნაქალაქარის 111 უბანზე) არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. ამ უბანზე მის მიერ წლების მანძილზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლენილი იყო შუა საუკუნეების ქალაქის ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი კვარტალი თავისი ყველა ატრიბუტით. იმ წელს მე გავთხარე X1V ნაგებობის B და C სათავსოები, სადაც იატაკის ქვეშ „დედაქანში“ აღმოჩნდა ხელით ჩაჭრილი სხვადასხვა ზომის ორმოები და მათ კედლებში (ორმოს ჭრილში) გამოვლინდა განმარხებული ცხოველების ძვლები. ამ ძალზე საინტერესო აღმოჩენის შესახებ მე მაშინვე მოვახსენე ბ-ნ ვახტანგს. მან კი შემდეგი მიამბო: „70-იან წლებში გათხრების დროს x1 შენობაში იატაკის დონეზე აღმოჩნდა ქვევრის მსგავსი დიდი სამეურნეო ორმო, ჩაჭრილი ნიადაგში, რომელიც უძრავ, სტერილურ დედაქანად იყო მიჩნეული, ნიადაგში. ორმო ძალზე დიდი იყო, თავი კი ქვევრის ყელივით ჰქონდა დავიწროებული და სათანადოდ მოწყობილი. ამ ორმოს ფსკერზე და კედლებში (ჭრილში) შევამჩნიეთ რაღაც ცხოველების ძვლების ფრაგმენტები. მივმართე პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ლეო გაბუნიას. დმანისში ჩამოვიდა ცნობილი პალეონტოლოგი, პროფესორი აბესალომ ვეკუა. მან შეაგროვა ძვლოვანი მასალა და შეისწავლა ისინი. გაირკვა, რომ ისინი მარტორქისა და სხვა

უძველესი ცხოველების ძვლები იყო“.

ამის შემდეგ არაერთხელ გვქონდა მე და ბატონ ვახტანგს ამასთან დაკავშირებით საუბარი. ერთხელ ხუმრობით ისიც კი თქვა - შეიძლება მარტორქის აქ არსებობის დროს უძველესი ადამიანიც ბინადრობდაო.

ეს ნათქვამი მეხსიერებაში ჩამრჩა და შეიძლება ითქვას, მოსვენება დამაკარგვინა და ბ-ნ ვახტანგს რამდენჯერმე ვთხოვე საკონტროლო თხრილი (1,0 X 1,0 მეტრის) გაგვეკეთებინა ამ დიდ ორმოსთან. 1983 წლის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების დაწყების წინ ისევ ვთხოვე ბ-ნ ვახტანგს საკონტროლო თხრილის გაკეთება. ამ გადაწყვეტილების მიღება იმანაც განაპირობა, რომ ჩვენს ექსპედიციაში სამუშაოდ გადმოვიდა არქეოლოგი ნუგზარ მგელაძე (იგი მაშინ ნაქალაქარის „ქვემო უბნის“ ეკლესიისა და სამაროვნის გათხრას შეუდგა). ნუგზარი წლების მანძილზე არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის განყოფილებაში მუშაობდა. საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში ჩემს უფროს მეგობართან, ცნობილ არქეოლოგთან პროფესორ გურამ გრიგოლიასთან ერთად დადიოდა. ამდენად მას შეეძლო საკონტროლო თხრილში ქვის არტეფაქტების განსაზღვრა და შეგროვება. მართლაც, ამ თხრილში უძველესი ცხოველების ძვლებთან ერთად აღმოჩნდა ქვის იარაღებიც, რომლის ნახვის შემდეგ პალეოლითის ცნობილმა მკვლევარმა დავით თუშაბრამიშვილმა გახარებულმა წარმოთქვა: „ეს მსოფლიო მნიშველობის აღმოჩენაა!“ ამრიგად გამართლდა ვარაუდი, რომ უძველეს ცხოველებთან ერთად დმანისის ტრიტორიაზე უძველესი ადამიანიც ბინადრობდა.

დღეს უკვე დიდი რაოდენობით გვაქვს აღმოჩენილი თვით უძველესი ადამიანის ნაშთები. მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ევროპასა და აზიაში ყველაზე უძველესი (1,8-1,7 მლ წლები) ადამიანი დმანისშია აღმოჩენილი. ამიტომ ამ აღმოჩენას, სხვადასხვა მნიშვნელოვან აღმოჩენასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩემს ცხოვრებაში.

- **ბატონო ჯუმბერ, საქართველოს უნივერსიტეტის პროექტი „სამშვილდე“ შედარებით ახალგაზრდა ექსპედიციაა. რას ფიქრობთ საქართველოს უნივერსიტეტის ამ პროექტზე?**

მე ძალიან გამახარა იმან, რომ, როგორც იქნა, დაიწყო საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის, სამშვილდის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა. სამშვილდე უძველესი დროიდან ქვემო ქართლის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა, ამიტომ ძალიან მწყვეტდა გულს ამ ძეგლის შესწავლისადმი ცოტა გულგრილი დამოკიდებულება.

დიდ წარმატებებს ვუსურვებ სამშვილდის ექსპედიციას. ვისურვებდი, ბევრი საინტერესო აღმოჩენის მოწმენი ვყოფილიყავით. რამდენად სასიხარულოა, რომ სამშვილდის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ადრე შუა საუკუნეების სიონის ტაძრის ნანგრევებს ვრცელი ქართული წარწერები ამშვენებს. როცა დმანისის ნაქალაქარის შიდა ციხეს ვთხრიდი, სხვა მასალასთან ერთად მხოლოდ ქართულ წარწერებიანი არქეოლოგიური მასალა (კრამიტი, სფეროკონუსი, ქვევრი, ცალკეული ქვები) აღმოჩნდა. ეს ძალზე დიდ სიხარულს მანიჭებდა. აუცილებლად ვეწვევი (ჩემი ხანდაზმულობის მიუხედავად) სამშვილდის ექსპედიციას.

ინტერვიუ მოამზადა
ლევან კვახაძემ

ISSN 2449-2922

